# პრეზიდენტო, დუმილი ამჯერად ოქრო არ არის! 14

ალია

„ალია“ ელისაშვილს:
„გაქვს თუ არა „მესიჯების“ ასლები? პროკურატურის განცხადების შემდეგ უცხადებ თუ არა უნდობლობას და გადადიხარ პრესით მათ მხილებაზე?“



10

N189/3311/ 16 დეკემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE

## რას აპირებენ ადვოკატები თუკი ლევან მურუსიძეს სააპელაციო სასამართლოში აირჩევენ?



**ზაზა ხატიაშვილი:**
„ახლა მურუსიძე რომ დანიშნონ სააპელაციოს მოსამართლედ, ეს დაახლოებით რა არის, იცით? კახი კახიშვილი რომ მოხსნან და ხათუნა კალმახელიძე დანიშნონ სასჯელაღსრულების მინისტრად, ეს ხომ არანორმალური იქნება, არა?! თუმცა, მე ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილისგან არც ეს გამიკვირდება“



11

## ფულების მფლანგველი ცესკოს დასჯის ნაცვლად „ოცნების“ პარლამენტმა არნახულად, 58 მილიონ 500 ათასით გაზარდა მათი ბიუჯეტი!

რესტორანში იყო 6 ადამიანი და დახარჯა 406 ათას 78 ლარი!



5

## არც გიორგი მღებრიშვილს, არც არჩილ თალაკვაძეს, არც ირაკლი ღარიბაშვილს და არც არავის, მორალური უფლება არ აქვს, საკუთარი ხუშტურები რიგითი მოქალაქეების გამწარების ხარჯზე დაიკმაყოფილოს!!!

საგზაო წესების რომელ დარღვევაზე რამდენი ქულა დააკლდება მართვის მოწმობას

მოდით, ახლა შევაჯამოთ ყველაფერი და შესაბამისი დასკვნაც გამოვიტანოთ — „შუსუსუს“ მთავარი მიზანია, მძღოლების აბსოლუტური უმრავლესობა გაამწაროს, „პრავის“ გარეშე დატოვოს, რითიც ერთი, რომ მოძრაობა განიტვირთება და ამით მდიდარ ღიპიან-ჯიპიანებს (ბიზნესკლასის სედანიანებსაც) თავისუფლად შხუილის საშუალება მიეცემათ და მეორე — ბიუჯეტი ხალხის გაყვლეფის ახალი ხერხების მეშვეობით შეივსება. 12



შეგვიძლია, სამუდამოდ დავემშვიდობოთ კომფორტულ იაპონურ ავტომობილებს – „ოცნება“ აღარც საჭის გადატანის უფლებას მოგვცემს! 2

საგზაო უსაფრთხოების გეგმის ავტორები რასაც აუცილებლად მიაღწევენ, ასობით ათასი ადამიანის გულისწყრომა იქნება, თანაც საარჩევნო წელს – თუ ეს უნდოდა შინაგან საქმეთა მინისტრს, შეუძლია, ჩათვალოს, რომ მიზანი მიღწეულია!!! 2

## სწორედ აქეთკენ მიდის საქმე, რომ ასობით ათასი ადამიანი „ოცნების“ ხელისუფლებას ქირის დღესავით შეიძულებს. რაში აწყობს ეს ამბავი გიორგი მღებრიშვილს?

რას ფიქრობენ პარლამენტარები მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვაზე? 4



## „მომავალი წლიდან ნარმანიას ლაშა აბაშიძე ჩაანაცვლებს“

მერიის თანამშრომელთა რაოდენობა 3 919-დან 5 794-მდე იზრდება 9



## საიდან იშოვა მილიარდები და რისთვის დააჯარიმეს „ბედნიერი საქართველოს“ ლიდერი ლეონიდ ჩერნოვეცკი?



7

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ბესელიასა და კობახიძეს უფლებამოსილება უნდა შეუჩერდეთ“ — მინაშვილი



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი აკაკი მინაშვილი მიიჩნევს, რომ ზეგავლენით ვაჭრობის მუხლით დაწყებული გამოძიების დასრულებამდე ეკა ბესელიამ უნდა დატოვოს კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი, მანანა კობახიძეს კი ვიცე-სპიკერის უფლებამოსილება უნდა შეუჩერდეს.

– ძალიან საფუძვლიანი ეჭვები არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ სიების შედგენაში ძალიან დიდი ფული იქნა აღებული კორუფციული გზებით. ეს კიდევ ერთხელ არის „ქართული ოცნების“ სახე და მე მოვუწოდებ მათ, რომ ერთი მხრივ, ქალბატონ კობახიძეს შეუჩერდეს ვიცესპიკერობის პოზიცია და ქალბატონ ბესელიას – კომიტეტის თავმჯდომარეობის პოზიცია. ერთი საკითხია ძალიან მნიშვნელოვანი, ქალბატონი ბესელია არის საპროკურორო საბჭოს წევრი, ის რეალურად არის პროკურორი, ახორციელებს საპროკურორო ზედამხედველობას საქართველოს პარლამენტზე და არა პირიქით და ყველა ლოგიკით, მაშინ, როდესაც საზოგადოებაში არსებობს ძალიან საფუძვლიანი ეჭვები, რომ მას ფული აქვს აღებული და კორუფციულ საქმიანობაშია ჩართული, მას ეს უფლებამოსილება მაინც უნდა შეუჩერდეს საპროკურორო საბჭოში, – განაცხადა მინაშვილმა. (პირველი რადიო)

## რატომ მოკლეს ახალგაზრდა ექიმი — ისანში მომხდარი ტრაგედიის დეტალები

ბერი გაბრიელის გამზირზე მომხდარი მკვლელობის შესახებ ახალი დეტალები გახდა ცნობილი.

ადგილობრივების განცხადებით, მოკლულია 38 წლის ექიმი. არსებული ინფორმაციით, დაახლოებით 50 წლის მამაკაცს ფსიქიკური პრობლემა ჰქონდა, რომლის ოჯახის წევრმაც ექიმებს მიმართა მისი კლინიკაში გადაყვანის თაობაზე.

მისამართზე მისული ექიმებიდან ერთ-ერთს მამაკაცმა ესროლა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა, კიდევ ერთი ექიმი დაიჭრა, რის შემდეგაც მამაკაცი ბინაში ჩაიკეტა. ადგილზე სამართალდამცველები გამოიძახეს. სპეცოპერაციის შედეგად, რომელიც დაახლოებით ნახევარ საათს მიმდინარეობდა, თავდამსხმელიც დაიჭრა.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულია 1961 წელს დაბადებული ანდრო მ. განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით.

დაკავებისას ბრალდებულმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია, რა დროსაც ფეხში მსუბუქად დაიჭრა. ანდრო მ.-ს და ზურაბ ბ.-ს შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდებათ. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. დანაშაულის ჩადენის იარაღი შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ნივთმტკიცებად. (pia.ge)

**აი, კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ სპეციფიკური, სახიფათო პროფესიის მქონე ადამიანებს იარაღის ტარების უფლება უნდა ჰქონდეთ! გვიპასუხოს იუსტიციის მინისტრმა - ხომ შეძლებდა თავის დაცვას ექიმი და ხომ არ დასრულდებოდა ეს შემთხვევა ტრაგედიით, რომ არა მისი და კიდევ ბევრის მოღალატეობრივი პოლიტიკა?!**

## შეგვიძლია, სამუდამოდ დავემშვიდობოთ კომფორტულ იაპონურ ავტომობილებს — „ოცნება“ აღარც საჭის გადატანის უფლებას მოგვცემს!

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



**2016 წლის 1-ლი მარტიდან მარჯვენასაჭიან ავტომობილებთან ერთად, ე.წ. საჭეგადატანილი მანქანების რეგისტრაციაც იკრძალება. ეს აკრძალვა, ავტომობილების გარდა, ასეთი ტიპის ავტობუსებსაც შეეხება.**

**ცვლილებას მთავრობის მიერ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტში უკვე ინიცირებულია.**

**პროექტის მიხედვით, 2016 წლის 1-ლი მარტის შემდგომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი/შემოყვანილი ავტობუსი ან მსუბუქი ავტომობილი, რომელსაც საჭე აქვს მარჯვენა მხარეს, ან რომლის საჭეც გადატანილია მარცხენა მხარეს ქარხანა-დამამზადებლის მიერ გამოშვების შემდეგ, რეგისტრაციას არ დაექვემდებარება.**

ამასთანავე, რეგისტრაციის აკრძალვა საქართველოში უკვე ექსპლუატაციაში მყოფ მარჯვენასაჭიან და საჭეგადატანილ მანქანებსა და ავტობუსებზე არ გავრცელდება და მათი ხელახალი რეგისტრაცია დასაშვები იქნება.

როგორც პარლამენტის ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა განაცხადა, პროექტის მიღებას პარლამენტი არ იჩქარებს და საკითხი მიმდინარე წლის დღის წესრიგში შეტანილი არ იქნება.

– არ უნდა დავტოვოთ არც ერთი პასუხგაუცემელი კითხვა. მინდა კიდევ ერთხელ განვმარტოთ ის, რაც შსს-ს მხრიდან არაერთხელ ითქვა, რომ კანონის მიღების შემდეგ არანაირი პრობლემა არ შეექმნება არც ერთ იმ ადამიანს, რომელიც მარჯვენასაჭიანი ავტომობილით სარგებლობს. ამასთანავე, საუბარია იმაზე, რომ საქართველოშიც, ისევე როგორც ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, მოწესრიგდეს საგზაო მოძრაობა და ეს მოწესრიგება იყოს არა შოკისმომგვრელი, არა რაიმეს აკრძალვები, არამედ დროში გაწელილი იმისთვის, რომ ჩვენ სასურველი შედეგი მივიღოთ. პრობლემა ის არის, რომ თავის დროზე, ძალიან ბევრი წლის წინათ, ეს საკითხი არ მოგვარდა და ახლა გვიწევს ამ თემებზე საუბარი, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, პარლამენტი ინიციატივას ძალიან დეტალურად განიხილავს.

– კომიტეტებს, რომლებიც შეირჩა, მინდა ვთხოვო, რომ განსაკუთრებით მიიღონ ზომები, რათა ამ საკითხის განხილვისას უზრუნველვყოთ საჯაროობაც, ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობაც. რაც შეიძლება კარგად განვმარტოთ, რა ნოვაციები შემოდის, რა იქნება სიახლე, ვისთვის რა იცვლება. კარგად ავუხსნათ მოსახლეობას, მათთვის რა იცვლება და პირველ რიგში, ავუხსნათ ის, რომ ვისაც უკვე ჰყავს ასეთი ავტომობილი, მათ რაიმე პრობლემები არ შეექმნებათ. არის სხვა თემებიც ამ კანონპროექტში, რომელსაც კარგი შესწავლა სჭირდება. დარწმუნებული ვარ, ისეთ კანონს მივიღებთ, რომელიც ყველა მოქალაქისთვის ყოველმხრივ დასაბუთებული და გააზრებული იქნება, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

ცვლილებები „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონსა და მასთან ერთად, ოთხ კანონში შედის. საკანონმდებლო პაკეტი შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა. ინიციატორი საქართველოს მთავრობაა. (ინტერპრესნიუსი)

არა, რომელი კანონი აუხსნია და დაუსაბუთებია მოქალაქეებისთვის პატივცემულ უსუფაშვილს ან მთელ პარლამენტს, ამჯერად რომ შეიწუხოს ვინმემ თავი?! თუმცა დაველოდოთ, ვნახოთ, თუ იკადრებენ რაიმე განმარტების გაკეთებას...

ისე, რაც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვაზე დაიწყო საუბარი, „ალია“-„ქრონიკა“ თემას აქტიურად აშუქებს და მაქსიმალურად ცდილობს, მოისმინოს როგორც სიახლის მოწინააღმდეგეების, ისე მხარდამჭერების პოზიციები.

მოწინააღმდეგე, იცოცხლე, ბევრია და ალბათ, აბსოლუტური უმრავლესობაც კი, აი, მომხრეებს რაც შეეხება, მათგან ერთი ნორმალური არგუმენტიც ვერ მოვისმინეთ – ერთთავად ყველა იმას გაიძახის და თან გვაყვედრის, ჩვენი თავი ჭირსაც წაუღია, თქვენზე, ხალხის უსაფრთხოებაზე ვზრუნავთო. ეს კი აბსურდია, რადგან დღემდე ვერავინ წარმოადგინა ვერავითარი დასაბუთება, რა საფრთხეებს ქმნის მარჯვენასაჭიანი ავტომობილი, როგორია ავარიების სტატისტიკა და ახდენს თუ არა ავტოსაგზაო შემთხვევებზე გავლენას ის ფაქტი, რომელ მხარეს აქვს მანქანას საჭე.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ თავიდან საუბარი იყო იმაზე, თითქოს საჭეგადატანილი ავტომობილების მფლობელებს 150 ლარი უნდა გადაეხადათ, რის სანაცვლოდაც მანქანაზე სტიკერს დააკრავდნენ. თუმცა რა დანიშნულება შეიძლება ჰქონოდა ამ სტიკერს, ეს უკვე ვერავინ ახსნა.

როგორც მოგვიანებით „ალიას“ შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა განუმარტა, 150 ლარის გადახდის იდეა შეიცვალა:

– თუ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების შემოყვანა აიკრძალება და ვიღაცამ მაინც შემოიყვანა, მას არ განუბაჟებენ, მისცემენ დროებით „სტიკერს“, ანუ უფლებას, რომ მიხედოს მანქანას, ან სხვა ქვეყანაში გაიყვანოს და გაყიდოს, ან საჭე გადაიტანოს 72 საათის განმავლობაში. 150 ლარი ღირდა სწორედ ეს „სტიკერი“, მაგრამ შემდეგ ჩასწორდა და ეღირება 30 ლარი, – გვითხრა შს მინისტრის მოადგილემ.

ესე იგი, თუ ვინმე მაინც შეიძენდა მარჯვენასაჭიან მანქანას, არ ჩამოერთმეოდა, მას 30-ლარიან „სტიკერს“ მისცემდნენ და 72 საათის განმავლობაში ვალდებული იქნებოდა, ქონებისთვის მიეხედა.





**ამ მორიგი უაზრო ცვლილებითაც ვრწმუნდებით, რომ თავად ე.წ. საგზაო უსაფრთხოების გეგმის ავტორებიც ბოლომდე ვერ ჩამოყალიბებულან, რა უნდათ, რის მიღწევას ცდილობენ, თუმცა ერთი, რასაც აუცილებლად მიაღწევენ, ასობით ათასი ადამიანის გულისწყრომა იქნება, თანაც საარჩევნო წელს – თუ ეს უნდოდა შინაგან საქმეთა მინისტრს, შეუძლია, ჩათვალოს, რომ მიზანი მიღწეულია!!!**





**გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და მიუხედავად ორი მასშტაბური აქციისა, სიახლის ავტორებმა ხალხის პოზიცია მაინც ფეხებზე დაიკიდეს და მოსალოდნელი ცვლილებები კიდევ უფრო მეტად დაამძიმეს — თუ ვინმეს იმედი ჰქონდა, რომ ჯანდაბას, ვიყიდი მარჯვენასაჭიანს, 30 ლარს გადავიხდი ამ უაზრო სტიკერში, შემდეგ კი ისევ ჯანდაბას — გადავიხდი გარკვეულ თანხას და საჭეს გადავიტანო, ახლა ამის საშუალებაც აღარ ექნება.**

**ამ მორიგი უაზრო ცვლილებითაც ვრწმუნდებით, რომ თავად ე.წ. საგზაო უსაფრთხოების გეგმის ავტორებიც ბოლომდე ვერ ჩამოყალიბებულან, რა უნდათ, რის მიღწევას ცდილობენ, თუმცა ერთი, რასაც აუცილებლად მიაღწევენ, ასობით ათასი ადამიანის გულისწყრომა იქნება, თანაც საარჩევნო წელს — თუ ეს უნდოდა შინაგან საქმეთა მინისტრს, შეუძლია, ჩათვალოს, რომ მიზანი მიღწეულია!!!**

# „კარფურში“ ნაყიდ ლობიანში მომხმარებელმა რეზინის ხელთათმანის ნაგლეჯი იპოვა!










მარიკა არღვლიანი
551 81-55-88

საფრანგეთში არსებობდა დღესასწაული, როდესაც მეფე და დედოფალი აწყობდნენ საზეიმო წვეულებას ყველა ქალი-მოსამსახურისთვის და ვინც საზეიმო ნამცხვარში მუხუდოს მარცვალს აღმოაჩენდა, ის ერთი დღით პრინცესა იყო, მეფე უხვად ასაჩუქრებდა და ამ დღეს მას დედოფლის გვირგვინის ტარების უფლებაც ჰქონდა. სამწუხაროდ, ჩვენთან ასეთ დღესასწაულებს არ ატარებენ, თუმცა „კარფურმა“ ერთ გოგონას „სიურპრიზი“ მართლაც მოუწყო.

საქმე ისაა, რომ ამ გოგონამ ახალ სავაჭრო ცენტრ „ისთ ფოინთის“ ტერიტორიაზე გახსნილ ჰიპერმარკეტ „კარფურის“ საცხობში ლობიანი შეიძინა, რომელშიც რეზინის ხელთათმანის ნაგლეჯი აღმოაჩინა... გოგონას რეაქციას დიდი წარმოდგენა არ სჭირდება, რადგან ასეთ დროს თითქმის ყველა ადამიანს ერთი და იგივე რეაქცია აქვს – ზიზღის, სიბრაზის, შეიძლება, გემოზე შეგინებისაც კი...

„პრინცესას“ რეაქცია კი შემდეგი აღმოჩნდა – „სიურპრიზი ასეთი არ უნდაო“ და ლობიანის ფოტოები „ალიას“ გამოუგზავნა.

დასაფიქრებელი ამბავია, იქნებ ეს იმ თეთრი ხელთათმანის ნაჭერია, რომელიც შალვა ნათელაშვილმა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ესროლა წინა წლებში, დებატებში გამოწვევის მიზნით?!

ჯადოსნურმა ხელთათმანმა კი იფრინა, იფრინა, გადაიარა ცხრა მთა, გაუძლო წლებს და ჰოი, საოცრებავ – „კარფურში“ აღმოჩნდა...

ბატონი შალვა ხომ „კარფურის“ აშენების დიდი წინააღმდეგი იყო, თუმცა, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა თავისი „თეთრი ხელთათმანი“ იმედებს ასე თუ გაუმართლებდა...

ხუმრობა იქით იყოს და როდესაც ჰიპერმარკეტი „კარფური“, რომელიც თავს ყველაზე პრესტიჟულ და ცნობილ ბრენდად ასახელებს და ყველაფერ საუკეთესოს გვთავაზობს, თანაც ყველაზე დაბალ ფასებში, ასეთი „სიურპრიზები“ ნამდვილად არ უნდა მოუწყოს მომხმარებელს.

**„ალია“ „კარფურის“ ადმინისტრაციას დაუკავშირდა, სადაც გვითხრეს, რომ მომხდარს აუცილებლად გამოიძიებენ:**

– რეალურად არ ვიცით, რა და როგორ მოხდა, დაწყებულია გამოძიება და შედეგებს უახლოეს მომავალში გაცნობებთ. მეტს ახლა ვერაფერს გეტყვით და ნუ დაწერთ სტატიაში, რომ არ ვაკეთებთ კომენტარს, არასწორი იქნება, იმიტომ, რომ ვიძიებთ და ვერ გაგცემთ ზუსტ პასუხს.

**— რატომ გგონიათ, რომ იმაზე მეტს დავწერთ, ვიდრე ამბობთ?!**

– დიახ, ანუ ამ ყველაფერს აუცილებლად მოჰყვება რეაგირება – მე სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებ, მე მომსახურების სერვისის განყოფილებიდან ვარ, ფოტოები ადმინისტრაციას უკვე გადავუგზავნე და ამ ფაქტს რეაგირება აუცილებლად მოჰყვება.

**— რეაგირებაში რას გულისხმობთ?**

– იმას, რომ ამ ფაქტს გამოიკვლევენ, რა მოხდა და როგორ მოხდა, ანუ საიდან აღმოჩნდა რეზინის ხელთათმანის ნაწილი ლობიანში.

**— იმედი მაქვს, არავის გაათავისუფლებენ...**

– არა, განთავისუფლებით არა... ადმინისტრაციამ რაც მითხრა, ის ინფორმაცია მოგაწოდეთ...

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სამტრედიის რაიონში ავტოსაგზაო შემთხვევას 13 წლის მოზარდი ემსხვერპლა




სამტრედიის რაიონში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი მოჰყვა. მსუბუქი მარკის ავტომობილი 13 წლის მოზარდს დაეჯახა. მოზარდი ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდართან დაკავშირებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევას ითვალისწინებს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

## იაშვილში მცირეწლოვანი მოათავსეს, რომელმაც ბურბუშელასთან ერთად ასაფეთქებელი შეჭამა




სურსათის ეროვნულმა სააგენტომ იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკიდან ინფორმაცია მიიღო, რომლის მიხედვითაც, კლინიკაში მცირეწლოვანი მოათავსეს, რომელმაც ბურბუშელაში საჩუქრის სახით მოთავსებული პიროტექნიკა შეჭამა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სააგენტომ მიიღო შეტყობინება იმის შესახებ, რომ შეძენილ იქნა ბურბუშელა „მინსტერი“ საჩუქრით, რომელშიც საახალწლო საჩუქრის სახით პიროტექნიკა იყო მოთავსებული, რომელიც მცირეწლოვანმა ბურბუშელასთან ერთად შეჭამა.

– სურსათის ეროვნული სააგენტო აღნიშნულ ფაქტს სწავლობს. ამავე დროს, მოსახლეობას მოუწოდებს სიფრთხილისკენ და მსგავსი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართავს, დაუკავშირდნენ სურსათის ეროვნულ სააგენტოს ცხელ ხაზზე – 91 91 68, ან 91 91 67, – ნათქვამია სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.

ამასთანავე, სურსათის ეროვნული სააგენტო მშობლებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს. როგორც სააგენტოში აცხადებენ, დაუშვებელია სურსათთან რაიმე სახის სხვა ნივთიერებების რეალიზება და შენახვა.

როგორც იაშვილის კლინიკაში ამბობენ, პაციენტი 2 წლისაა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მედიკოსთა თქმით, ბავშვმა პიროტექნიკა დაღეჭვის გარეშე გადაყლაპა.

როგორც იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში განაცხადეს, შესაბამისი მკურნალობის შემდეგ მცირეწლოვანი სახლში გაწერეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...




## „შავი ოქროს“ ფასი ბარელზე 36 დოლარამდე ჩამოვიდა

მსოფლიო ბაზარზე „შავი ოქროს“ ფასი ვარდნას განაგრძობს.

„დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, „ბრენთის“ მარკის ნავთობის ფასმა ბარელზე უკვე 36,62 აშშ დოლარი შეადგინა. ასეთი ფასი 2008 წლის დეკემბრის შემდეგ არ დაფიქსირებულა. მოგვიანებით, ფასმა ოდნავ აიწია და 36.78 აშშ დოლარი შეადგინა.

**WTI** მარკის ნავთობის ფასმა კი ვაჭრობის შედეგად ბარელზე 34,77 აშშ დოლარი შეადგინა. 2009 წლის შემდეგ მაჩვენებელი 35 დოლარზე ქვემოთ პირველად დაეცა.

ნავთობის გაიაფების მიზეზად თეირანის განცხადება დასახელდა, რომლის თანახმადაც ირანი არავითარ შემთხვევაში არ გადაიტანს სანავთობო ექსპორტის გაზრდის ვადებს. (ინტერპრესნიუსი)

## გვეამა, ბატონო პრეზიდენტო მოქალაქისთვის ასეთი რუდუნებით რომ ზრუნავთ, მაგრამ გამოდით და თქვით, რა იცით შეწყალების საქმეებზე, რას დადუმებულხართ?!



პრეზიდენტი ალეკო ელისაშვილს პირადი დაცვით სარგებლობას სთავაზობს. თუმცა გამოიყენებს, თუ არა ამ შეთავაზებას ალეკო ელისაშვილი, ცნობილი არ არის.

შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე და თბილისის საკრებულოს მოქმედი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი ამბობს, რომ საქმის დეტალებზე საუბრისგან ამ დრომდე თავს იკავებს.

– მე რა ინფორმაციაც მომდის, კარგად მიდის გამოძიება. მანანა კობახიძე, ბესელია და ნანა კაკაბაძე რას ლაპარაკობენ, არ მაინტერესებს. მათი უფლებაა, რაც უნდათ ის ილაპარაკონ. მე ჯერ კიდევ დეტალებზე ლაპარაკი არ მინდა. ის შეეხება თუ არა სწორედ ამ საქმეს, არც უარვყოფ, არც ვადასტურებ, – აცხადებს ალეკო ელისაშვილი. (mediamall.ge)



**ბატონო პრეზიდენტო, დიდად პატივცემულო გიორგი, თუ არ გახსოვთ, ნამეტანი მოკრძალებით შეგახსენებთ, რომ კი, ბიძინა ივანიშვილის ხათრით, მაგრამ მაინც ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი გქვიათ, იმ ხალხის, რომელსაც აინტერესებს, რა იცით შეწყალების საქმეებზე? რა გითხრათ და ვის შესახებ გესაუბრათ ალეკო ელისაშვილი? რატომ დუმხართ ასე საეჭვოდ, როცა მთელი ქვეყანა ამ ამბებზე ლაპარაკობს?!**

**არ თქვათ ახლა, სიტუაციის არევას ვერიდები, ხალხზე ვზრუნავ და არ მინდა, გული გავუხეთქოო. ისედაც გადარევას ვართ მისულები ამდენი მამაძაღლობით და გავუძლებთ სიმართლესაც, თქვენ, უბრალოდ, გაბედეთ და თქვით ის, რაც იცით!!!**

## პროკურატურაც კი გახმაურებულ საქმეებს მედიის საშუალებით იგებს — და არ გვეტყვით მადლობას, რომ ვარსებობთ, ბატონო ირაკლი?!



საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე აცხადებს, რომ შეწყალების კომისიის ყოფილი ხელმძღვანელის ალეკო ელისაშვილის ბადაშვილთან და გოგაძესთან შეხვედრის შესახებ, მედიის საშუალებით გაიგო.

როგორც შოთაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, გამოძიება ამ მიმართულებითაც ჩატარდება.

მთავარი პროკურორის ინფორმაციით, შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ნათია სუხიაშვილი, გიორგი ბადაშვილი, გიორგი გოგაძე, რაიონული პროკურორი და დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სისხლის სამართლის სხვა საქმეს ეხებოდა და საუბარი არ ყოფილა შეწყალების კომისიის საქმიანობაზე.

– ამ ადამიანების განცხადება წინააღმდეგობაში მოდის ელისაშვილის ჩვენებასთან. ფაქტია, ელისაშვილს შესაძლებლობა ჰქონდა, ამ ხნის განმავლობაში პროკურატურისთვის წერილობით მოემართა. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ფაქტებზე მას წერილობით მომართული აქვს პროკურატურისთვის, ამ საკითხთან დაკავშირებით მას ჩვენთვის არ მოუმართავს, – განაცხადა შოთაძემ.

რაც შეეხება უშუალოდ ალეკო ელისაშვილის ბრალდებებზე დაწყებულ გამოძიებას, შოთაძემ განმარტა, რომ საქმესთან დაკავშირებით, ოცამდე მოწმეა დაკითხული.

– მიმდინარეობს ალეკო ელისაშვილის დაკითხვა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც გამოძიების პროცესში წარმოიშვა. ასევე, დაგიდასტურებთ, რომ გამოძიების მიერ დაკითხულები არიან დეპუტატები მანანა კობახიძე და ეკა ბესელია. ასევე, დაკითხულია ოცამდე მოწმე. თუმცა, ჯერ კიდევ არის რიგი საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ამოწურვისას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის შემდეგ შესაბამის ინფორმაციას ამომწურავად მივაწვდით საზოგადოებას, – აღნიშნა ირაკლი შოთაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## უკრაინის შს მინისტრი სააკაშვილზე — თავი შევიკავე, რომ მისთვის არ დამერტყა და სახეში წყალი შევასხი, დიდი ხანია, არ მინახავს ასეთი შეშლილი პოპულისტი



უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი არსენი ავაკოვი სოციალურ ქსელ „ფეისბუკში" ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ვრცელ პოსტს აქვეყნებს.

– ცოტა ხნის წინ სააკაშვილმა ჩემი კითხვის გამო – რატომ ჰქონდა ურთიერთობა ურალხიმის რუს ოლიგარქთან ოდესის საპორტო ქარხანაზე და როგორ არის ეს დაკავშირებული ამ ქარხნის პრივატიზაციასთან, საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა.

ოდესის გუბერნატორი ისტერიკაში ჩავარდა და ყვირილი დამიწყო: „არავის აქვს უფლება მიხეილ სააკაშვილს ასე ელაპარაკოს... შე კორუმპირებულო მინისტრო... მე კი პატიოსანი ადამიანი ვარ..." – გადმოვიდა პირდაპირ შეურაცხყოფაზე.

მე თავი შევიკავე, რომ მისთვის არ დამერტყა და სახეში წყალი შევასხი. დიდი ხანია არ მინახავს ასეთი შეშლილი პოპულისტი... არაფრის თქმის საშუალებას არ იძლეოდა, ყველას აწყვეტინებდა, მათ შორის პრეზიდენტსაც.



სააკაშვილი – ყბედი, რომელიც არაფერზე პასუხს არ აგებს... საკმარისია ჩემთვის არტისტები და ცირკის მსახიობები. საჭიროა მუშაობა და არა მეტიჩრობა! უხერხული კითხვები ისტერიკას იწვევს? – საკმარისია... არ ვაპირებ, ავიტანო აგრესიული არამზადა, რომელიც ხმამაღალ საბაბს ეძებს თანამდებობის დატოვებისთვის, რომელმაც ჩააგდო სამუშაო თავის უშუალო სამუშაო ადგილზე. არ ვაპირებ, ავიტანო თავხედი, რომელიც ჩემს ქვეყანას ატყუებს ლამაზი პოზით – ყველა ნეხვია და ის კი სუფთა... კორუმპირებულები უნდა დააპატიმრო, კი არ უნდა ილაპარაკო მათზე თვეობით და არ წარმოადგინო ფაქტები. თუ საყვარელიძე არ არის დაკავებული ამ ქარხნით? რა შუაშია აქ სააკაშვილის საუბრები ურალხიმთან?

ქარხანა ღიად უნდა გაიყიდოს – დასავლურ სახელოვან კომპანიაზე და არა ოფშორზე რუს ოლიგარქზე, რომელთანაც ლაპარაკობენ ჩინოვნიკები, რომლებიც ხმამაღალ ფრაზებს არიან ამოფარებულები.

უბრალოდ, საჭირო იყო სააკაშვილისთვის პასუხის გაცემა... მან კი აიწყვიტა... უწყინარმა კითხვამ ისტერიკა და შეურაცხყოფა გამოიწვია... ქურდს ქუდი აეწვა?! – წერს ავაკოვი.

# სწორედ აქეთკენ მიდის საქმე, რომ ასობით ათასი ადამიანი „ოცნების" ხელისუფლებას ჭირის დღესავით შეიძულებს. რაში აწყობს ეს ამბავი გიორგი მღებრიშვილს?

## რას ფიქრობენ პარლამენტარები მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვაზე?












ნინო ლაგარტყავა

571 99-92-33


*თითქმის ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვისა და კიდევ სხვა სიახლეების შესახებ განაცხადა.*

*მოსალოდნელმა აკრძალვებმა და შეზღუდვებმა ასობით ათასი ადამიანის, ვფიქრობთ, სრულიად სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია და ამის შესახებ „ალია"-„ქრონიკა" რეგულარულად წერს.*

*ჰოდა, ჩვენ კი ვწერთ და ვცდილობთ, მკითხველი სიტუაციაში გავარკვიოთ, მაგრამ თუ შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილს, მის მოადგილე არჩილ თალაკვაძესა და ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილს არ ჩავთვლით, პრაქტიკულად არც ერთ ჩინოვნიკს ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.*

*„კვირის ქრონიკაში" დაგპირდით, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვასთან დაკავშირებით კანონმდებლების, თბილ სავარძლებში რიგითი მოქალაქეების წყალობით მოკალათებული პარლამენტარების დამოკიდებულებას შემოგთავაზებდით და ბუნებრივია, ამჯერადაც ვასრულებთ მკითხველისთვის მიცემულ პირობას.*

*სწორედ პარლამენტარებმა უნდა განიხილონ კანონპროექტი და ის კანონად აქციონ, თუმცა რატომღაც არც ერთ მათგანს არ გაუჩნდა სურვილი, რიგითი მოქალაქეების მიერ გამართული ორი მასშტაბური საპროტესტო აქცია შეეფასებინა და ხალხი დაემშვიდებინა! დავიჯეროთ, ფეხებზე ჰკიდიათ ასობით ათასი ადამიანის ბედი?*

*ეჰ, რას ვიზამთ, თუ ისევ გულუბრყვილო დამოკიდებულება გაქვთ პოლიტიკოსების მიმართ და ისევ გჯერათ მათი, გული უნდა დაგწყვიტოთ და გითხრათ, რომ დაუჯერებელი ამაში სულაც არაფერია და დიახ, ფეხებზე ჰკიდიათ, რა გვტკივა, რა გვაწუხებს, რა გვინდა და რა არ გვინდა! სწორედ ამას ამბობს „ალიასთან" საუბრისას უმრავლესობის წევრი ვახტანგ ხმალაძე — ნაკლებად გვაინტერესებს აქციაო!..*

*ჰო, რაში აინტერესებს ან ხმალაძეს ან დანარჩენებს, რა გვინდა ჩვენ, რიგით მოქალაქეებს? პრემიების ამკრძალავი კანონპროექტი ხომ ჩააგდეს და ფუფუნებაზე ხომ არ თქვეს უარი? მთავარი ეს არის მათთვის — თვითონ იყვნენ კარგად, არც უახლესი თაობის მანქანები მოაკლდეთ, არც მივლინებები, არც მაღალი ხელფასები, პრემიები, დანამატები და ხალხი ყველას ფეხებზე ჰკიდია!*

*და ეს ყველაფერი მინისტრმა მღებრიშვილმა დაატრიალა — მოამზადა სიახლეები, ინიციატივები და ისედაც გამწარებულ ხალხს კიდევ უფრო მეტად გაუმწარა ყოველდღიური ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, სწორედ აქეთკენ მიდის საქმე, რომ ასობით ათასი ადამიანი „ოცნების" ხელისუფლებას ჭირის დღესავით შეიძულებს. რაში აწყობს ეს ამბავი გიორგი მღებრიშვილს? რა ვიცით, იქნებ რამე ჩუმი ჩანაფიქრი აქვს კიდეც ისეთი, რომელიც ნელ-ნელა იჩენს თავს და მთავრობიან-პარლამენტარებიანად ხალხს ყველა საბოლოოდ შეეზიზღება?!*

*მოკლედ, გთავაზობთ საპარლამენტო უმრავლესობის წევრების შეფასებებს და დასკვნები შეგიძლიათ, თავად გამოიტანოთ:*

**ვახტანგ ხმალაძე:**

– ამის თაობაზე ვიმსჯელებთ კომიტეტის სხდომაზე, რადგან უნდა მოვისმინოთ ყველა მოსაზრება, როგორც მომხრეების, ასევე, მოწინააღმდეგეების. მე არ ვარ ამ საქმის სპეციალისტი, ამიტომ უნდა მოვისმინოთ სპეციალისტების აზრი. აქცია, ამ შემთხვევაში, ნაკლებად გვაინტერესებს, სწორი რაც არის, ისე უნდა გავაკეთოთ... მე არ მყავს მარჯვენასაჭიანი მანქანა.

**ლევან ბერძენიშვილი:**

– მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვაზე საერთოდ არ არის საუბარი, მე არ ვარ იმ აზრზე, რომ უნდა აიკრძალოს, მაგრამ არ არის ასეთი კანონპროექტი აკრძალვაზე.

**— კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაცია აღარ მოხდება და ეს აკრძალვა არ არის?**

– უკაცრავად, კითხვას მე უკვე ვუპასუხე, კიდევ გაქვთ რამე კითხვა (კითხვის თავიდან დასმას ვცდილობ. – ნ.ლ.)? კაი, ამდენი დრო არ მაქვს და თუ მეტი კითხვა არ გაქვთ, კარგად ბრძანდებოდეთ...

**გედევან ფოფხაძე:**

– რადგანაც ეს ინიციატივა ვიღაცის თავში გაჩნდა, ესე იგი, რაღაც მოტივაცია ამას აქვს და მთლად უსამართლო არ არის, რადგან, ზოგადად, უსაფრთხოების თვალსაზრისით, მარჯვენასაჭიანების ასეთი სიმრავლე კარგი არ არის. თუმცა არის მეორე, უფლებრივი მხარე – ეს არის საკუთრების უფლება, ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი და ადამიანები მანქანაში 500 დოლარით მეტს გადაიხდიან თუ ნაკლებს, ეს ხალხისთვის სულ ერთი არ არის. როდესაც პროექტის განხილვა იქნება და გავიცნობ, მერე ჩამოვაყალიბებ ჩემს პოზიციას. ჯერ არ მინდა, რომ კატეგორიული მოსაზრებები გამოვთქვა. ამ ორ ფაქტორს შორის ბალანსი უნდა გამოინახოს.

**— გადაწყვეტილების მიღებისას თუ გაითვალისწინებთ იმ ორ დიდ აქციას, რომელიც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მფლობელებმა ჩაატარეს?**

– მესმის, ზოგადად, განსხვავებულ აზრს პატივს ვცემ, მაგრამ ჩემს აზრს მაინცდამაინც აქციებს არ ვუკავშირებ. თუ მე შინაგანად ვარ დარწმუნებული რამეში, შეიძლება აზრი არ შევიცვალო. ფაქტია, რომ არ მინდა არც საჯარო ინტერესი დაზარალდეს და არც იმ ადამიანების ინტერესი, რომლებსაც მარჯვენასაჭიანი მანქანები ჰყავთ. ყოველ შემთხვევაში, ვისაც ჰყავს, იმას რომ არ უნდა შეეხოს კანონი, ამაზე ორი აზრი არ არის და მეტსაც გეტყვით, ვისაც ასეთი ავტომობილების შეძენა-გაფორმების პროცესი აქვს დაწყებული, იმ ადამიანებსაც უნდა მივცეთ პროცესის დასრულების საშუალება. პირადად მე, საკუთარი მანქანა არ მყავს.

**თამაზ მეჭიაური:**

– პირველი, რასაც ერთმნიშვნელოვნად ვიცი, რომ ვეთანხმები, არის ის, რომ ეს არ უნდა შეეხოს მათ, ვისაც უკვე ჰყავთ მარჯვენასაჭიანი ავტომობილები შემოყვანილი. დანარჩენ საკითხებს რაც შეეხება, როდესაც საკომიტეტო მოსმენაზე ყველა მხარეს მოვუსმენ, დასკვნებს შემდეგ გამოვიტან. მე ავტომობილი საერთოდ არ მყავს, სახელმწიფო მანქანა მემსახურება და ის მარცხენასაჭიანია. ჩატარებულ აქციებს რაც შეეხება, გვინდა, არგუმენტირებული მსჯელობა იყოს და როცა ყველა მხარეს მოვუსმენთ, ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას. გარანტიას გაძლევთ, რომ ისეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რომელიც არც მოსახლეობას და არც ქვეყნის ინტერესს არ დააზიანებს.

**ელისო ჩაფიძე:**

– „ალიას" დიდი სიყვარულისა და თქვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ამ თემაზე მე ჯერ კომენტარს არ ვაკეთებ, რადგან მასთან დაკავშირებულ გარკვეულ სიტუაციებში ვერკვევი და მას შემდეგ გავაკეთებ კომენტარს, რაც კანონპროექტს გავეცნობი.

**— „მარჯვენასაჭიანებმა" უკვე ორი დიდი აქცია მოაწყვეს და ამას თუ გაითვალისწინებთ გადაწყვეტილების მიღების დროს?**

– დიახ, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ადამიანების შეხედულებებს, მაგრამ ვფიქრობ, მათ უნდა ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია, სანამ რამეს გააპროტესტებენ. ჯერ ჩვენთვის არ არის დაწვრილებით ცნობილი, რა ტიპის კანონპროექტი შემოდის და მის გარეშე მსჯელობა ძალიან ზედაპირული იქნება. რა თქმა უნდა, ამ ადამიანების გულისტკივილი, მათი სოციალური მდგომარეობა გასათვალისწინებელია. ასევე, ჩვენ უნდა მოვუსმინოთ სპეციალისტებს საავარიო სიტუაციებთან დაკავშირებით. მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას.

**ანი მიროტაძე:**

– მინდა ჯერ ინიციატორებისგან მოვისმინო, რა არის ამის მიზეზი და რამდენად დასაბუთებული და არგუმენტირებული იქნება მათ მიერ წარმოდგენილი მიზეზი. მაგალითად, თუ ისინი მეტყვიან, რომ ეს არის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მინდა ვიცოდე სტატისტიკა, დავუშვათ, რამდენი საავარიო შემთხვევა შექმნეს მარჯვენასაჭიანმა ავტომობილებმა... ამ დროისთვის, ზოგადად, მიმაჩნია, რომ რაღაც რეგულაციამ არ უნდა შეზღუდოს ადამიანის უფლება, ჰყავდეს ის ავტომობილი, რომელიც მას მოსწონს და მისთვის არის უკეთესი. მაგრამ თუ ეს ყველაფერი უსაფრთხოებას უკავშირდება და მე ამაში ინიციატორები დამარწმუნებენ, ამის შემდეგ მივიღებ გადაწყვეტილებას. აქ ერთ მხარეზეა მოქალაქეების აბსოლუტურად ლეგიტიმური პოზიცია და მეორე მხარეზეა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია, რომელიც ვალდებულია უსაფრთხოებაზე. თუ მყარი არგუმენტები ექნებათ, მხარს დავუჭერ, თუ არა და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ასე უნდათ და მათი ინიციატივაა, აუცილებლად გავითვალისწინებ მოქალაქეების ინტერესებს. რაც შეეხება ჩემს მანქანას: ჩემი ავტომობილი მარჯვენასაჭიანი არ არის და საკმაოდ ძველია. თავის დროზე, იაპონიაშივე არის გადატანილი საჭე მარჯვნიდან მარცხნივ, მაგრამ არ აქვს ამას მნიშვნელობა. თუ არ ვცდები, სტატისტიკით, 300 ათასზე მეტი მარჯვენასაჭიანი მანქანის მფლობელი ადამიანი არსებობს და მათ აუცილებლად არგუმენტირებულად უნდა განუმარტო, რატომ ართმევ ამის უფლებას, ან რატომ აჯარიმებ ამისთვის.

**P.S. ამდენი დრო გავიდა და როგორ დავიჯეროთ, არც ერთ პარლამენტარს არ გასჩენია კითხვა, რატომ ანერვიულებს და ამწარებს შს სამინისტრო ასობით ათას ადამიანს, რატომ აიძულებს ქუჩაში გამოსვლას და რატომ არგუმენტირებულად არ უსაბუთებს, საიდან მოაფიქრდათ ეს აკრძალვები? ვითომ არ ეკადრება შს სამინისტროს, ხალხის კითხვებს უპასუხოს?!**

**თუ სიახლის ავტორებს აქვთ რამე სათქმელი, თქვენ და მოვუსმენთ, მაგრამ არანაირი სტატისტიკა არ არსებობს იმის შესახებ, რომ მარჯვენა საჭე მარცხენაზე სახიფათოა.**

# ფულების მფლანგველი ცესკოს დასჯის ნაცვლად „ოცნების“ პარლამენტმა არანახულად, 58 მილიონ 500 ათასით გაზარდა მათი ბიუჯეტი!




გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პროკურატურა შევიდა. როგორც მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, გამოძიება აუდიტის სახელმწიფო სამსახურის დასკვნის საფუძველზე დაიწყო და ფინანსურ დარღვევებს უკავშირდება. 2013-2014 წლების ანგარიშს თუ გადავხედავთ, აშკარად დავინახავთ, რომ ცესკოს თავმჯდომარეს, თამარ ჟვანიას და მისი უწყების წევრებს ფულში კარგად უბანავიათ. როგორც აუდიტის სამსახურის ჯგუფის წევრები წერენ, საქმე გვაქვს გრანტების არასწორ გაცემასთან არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ანუ თანხები იხარჯებოდა, სრულიად დაუსაბუთებლად. ასევე, ცესკოს შესყიდვების წლიური გეგმები არ ეფუძნება რეალურ მონაცემებს. 2013-2014 წლებში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ცესკოსთვის დამატებით გამოყოფილი იყო 11 მილიონ 158 ათასი ლარი, აუდიტის ჯგუფმა კი ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება დამატებითი თანხების მოთხოვნის აუცილებლობის თაობაზე. როგორც ჩანს, სამსახურში დიდი რაოდენობით შტატგარეშე თანამშრომლების აყვანა უკვე სერიოზულ დაავადებად იქცა საჯარო სამსახურების მესვეურებისთვის. ცესკოს შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებული ჰქონია ვადიანი ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების ვადა უწყვეტად გრძელდებოდა ორი წლის განმავლობაში (ახლაც გრძელდება). ცესკომ ვერ წარადგინა საკმარისი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ხელფასების დეკლარირება ხდებოდა ზუსტად და სამართლიანად. გაცემული დანამატების ოდენობა გაუმართლებელია, რადგან „საარჩევნო კოდექსის“ მე-9 მუხლის თანახმად, საარჩევნო და სარეფერენდუმო პერიოდში ცესკოს და საოლქო კომისიების წევრებსა და ხელმძღვანელ პირებს, ასევე, ცესკოს აპარატის თანამშრომლებს ეძლევათ თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობა. 2013-ში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, 2014-ში – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ამ დასკვნის მიხედვით, ცესკოს ყველა წევრმა მიიღო ორმაგი სარგო, ანუ ხელფასი და ასევე დანამატი. სრული ქაოსია ქვეყნის გარეთ მივლინებებშიც – არ არის წარმოდგენილი მიწვევები, ან სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია, სადაც მითითებული იქნება მივლინების მიზნობრიობა და საფუძველი. ცესკოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ბრძანებები, ან მოხსენებითი ბარათები კონკრეტული ღონისძიების მოწყობის აუცილებლობის თაობაზე. აუდიტი გვეუბნება, ესენი ღონისძიებებს მართავდნენ, ან არ მართავდნენ, მაგრამ ფულს კი ნამდვილად ხარჯავდნენო.

2013-2014 წლებში ცესკოს განკარგულებებით დადგენილია საოლქო კომისიების დამხმარე და ტექნიკური პერსონალის ზღვრული ოდენობა, თუმცა დადგენილებები არ განსაზღვრავდა დაქირავებულ პირთა ხელფასების ოდენობას. ზოგიერთ შემთხვევაში, საოლქო კომისიების მიერ დამხმარე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ვადა სცდებოდა საარჩევნო პერიოდს. შედეგად, შრომის ანაზღაურება ზედმეტი ოდენობით იყო გაცემული. იყო შემთხვევები, როდესაც საოლქო კომისიების მიერ დამხმარე პერსონალის სახით დაქირავებული იყვნენ საოლქო კომისიის თავმჯდომარის, საოლქო კომისიის მუდმივი წევრების ახლო ნათესავები. საწვავის ხარჯვის პროცესზე არ იყო საკმარისი კონტროლი დაწესებული, ადგილი ჰქონდა საწვავის არაეკონომიურად, არამიზნობრივად და დაუსაბუთებლად ხარჯვის ფაქტებს. შეძენილი იყო ისეთი ღირებულებისა და დასახელების საქონელი, რომლის შესყიდვაც არ იყო არჩევნებისთვის საჭირო. საოლქო საარჩევნო კომისიები საარჩევნო უბნის განსათავსებლად შენობებს ქირაობდნენ სხვადასხვა პირებისგან მაშინ, როდესაც მათ უფლება ჰქონდათ, ადგილობრივი თვითმმართველობებისგან მიეღოთ უსასყიდლოდ.

2013 წელს ცესკო ბიუჯეტიდან დაფინანსდა 47 მილიონ 523 ათასი ლარით. ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ თამარ ჟვანიამ დამატებით მოითხოვა დაახლოებით 6 მილიონი (5 მილიონამდე შემდეგ წელს მისცეს), რაც უპრობლემოდ მიიღო მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. არ გაინტერესებთ, სად წავიდა აქედან 3 მილიონ 146 ათასი ლარი? დანამატის სახით წავიდა ცესკოს თავმჯდომარეზე, თავმჯდომარის მოადგილეზე, მდივანზე, ცესკოს წევრებზე, ცესკოს და სწავლების ცენტრის შტატით გათვალისწინებულ თანამშრომლებზე და ასევე, შტატგარეშე თანამშრომლებზე.

2014 წელი, ცესკოს დაფინანსება გაიზარდა და საბოლოო ჯამში ბიუჯეტიდან გამოიყო 54 მილიონ 500 ათასი ლარი. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაემატა 4 მილიონ 770 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფმა ისევ ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დამატებითი თანხების მოთხოვნის აუცილებლობის თაობაზე. ზემოჩამოთვლილ პირებზე ისევ გაიცა 2 მილიონ 882 ათასი ლარი დანამატის სახით. მათ შორის, 80 შტატგარეშე მოსამსახურეზე. სხვათა შორის, ცესკოს ადმინისტრაციამ აუდიტის სამსახურს ვერ წარუდგინა დოკუმენტაცია, ვინ რა ზეგანაკვეთურ სამუშაოში აიღო დანამატი. მაგალითად, 2013 წლის ნოემბერში დანამატი გაცემულია 2-ჯერ, ასევე მოხდა 2014 წელსაც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ადგილი ჰქონდა სამმაგი ოდენობით გაცემის ფაქტებს. მაშ ასე, ახლა „ვალიდოლი“ ახლოს იქონიეთ და იმაზეც ვთქვათ, ვინ რამდენი წაიღო სახლში. 2013 წელი: ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე – 170 ათას 835 ლარი; კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – 159 ათას 355 ლარი; კომისიის მდივანი – 149 ათას 444 ლარი; კომისიის რიგითი წევრის მაქსიმალური წლიური ანაზღაურებაა 133 ათას 452 ლარი, ხოლო მინიმალური – 127 ათასი ლარი. კომისიაში სულ გახლავთ 10 წევრი და შესაბამისად, იხარჯება 1 მილიონ 765 ათას 449 ლარი.

2014 წელი: ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სახლში წაიღო 154 ათას 485 ლარი, მისმა მოადგილემ – 132 ათას 83 ლარი, მდივანმა – 128 ათას 736 ლარი. კომისიის თითოეულმა წევრმა – 114 ათას 781 ლარი. მართალია, შარშანდელი შემოსავლები 2013 წელთან შედარებით ცოტა შემცირებულია, მაგრამ მაინც მსუყეა. მაგალითად, 2 წელიწადში ქალი რომ სახლში 325 ათას 320 ლარს შემოგიტანს, თუნდაც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყოს, თუ კაცი ხარ, მისაღებ ოთახში ძეგლი უნდა დაუდგა.

გინდათ, ცოცხალი ანეკდოტი? შარშან სომხეთის საპარლამენტო არჩევნებში ცესკოს 1 დამკვირვებელი გაუშვია და იმნაირი ხარჯთაღრიცხვა ჩამოუტანია, მარტო სასტუმროს ქვითრების მიხედვით 5 ათას 355 დოლარი აუნაზღაურეს. აუდიტის ჯგუფის წევრები გაოცებულები კითხულობენ, ერევანში სასტუმროს ღირებულება 1 დღე-ღამით 115 დოლარია, ამდენი საიდან და როგორ გამოვიდაო? არადა, არჩევნები 1 დღეა, ჰა და ჰა, 3 დღე იყოს, სანამ საბოლოო შედეგები გამოცხადდება. ეს ერთი „ანეკდოტია“, თორემ ასეთები ბევრია, მაგალითად, მეორე მინსკში გაგზავნეს და იმანაც 5 ათას დოლარამდე აიღო. მეტიც, აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ „სწავლების ცენტრის“ თანამშრომლები ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინებებისას სარგებლობენ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტით, სხვადასხვა მეწარმე სუბიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე დაქირავებული მანქანებით (მძღოლთან ერთად). ამ მომსახურებაზე 2013 წელს დახარჯულია 25 ათას 947 ლარი, ხოლო 2014 წელს – 27 ათას 324 ლარი.

და აი, მივადექით რესტორნების თემასაც აქ ისეთი ამბავია, ნოდარ ხადურიც კი არიფად მოგეჩვენებათ. მაგალითად, 2014 წლის 18 ივნისს შპს „თბილისური მუხამბაზის“ მიერ გაწეულია 406 ათას 78 ლარის სარესტორნო მომსახურება 6 პერსონაზე. გაიგონეთ, ხალხო? რესტორანში იყო 6 ადამიანი და დახარჯა 406 ათას 78 ლარი! აქ აშკარად ფული იქნება „მოტეხილი“, თორემ ამდენს ვინ ჭამს?! მეტიც, 2014 წლის 13 ივლისს შპს „ფართი ჰაუსის“ მიერ გაწეულია 5 ათას 747 ლარის ფურშეტით მომსახურება 100 პერსონაზე. ცესკოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი ან სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია, თუ ვისზე და რა მიზნით გაიწია აღნიშნული მომსახურება.

ჩვენ დასაწყისშიც აღვნიშნეთ, რომ საგანგებო გამოძიებას იმსახურებს არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემული გრანტების თემა. 2013 წელს ამ კუთხით დაიხარჯა 1 მილიონ 244 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს – 1 მილიონ 511 ათასი ლარი. ეს უკვე დარღვევების დიდი „საბადოა“ და ამაზე ცალკე გავამახვილებთ ყურადღებას. ასევე, ცალკე სასაუბრო თემაა სარეკლამო თანხების ხარჯვა-გაფლანგვა.

როგორც ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ქეთევან დანგაძემ განაცხადა „ალიასთან“ საუბარში, პროკურატურა შევიდა არა მთლიანად ცესკოში, არამედ მათ სტრუქტურაში შემავალი „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან“ მოითხოვეს დოკუმენტაცია. მართალია, თუ პროკურატურა ცესკოს რომელიმე სტრუქტურით უნდა დაინტერესებულიყო, სწორედ ეს ცენტრი გახლავთ, სწორედ იქ ხორციელდება შესყიდვები, გაიცემა გრანტები და ასე შემდეგ. ქეთევან დანგაძემ, ბუნებრივია, ჩვენ ამ ცენტრის დირექტორთან, ნათია ზაალიშვილთან გადაგვამისამართა, რომელიც ადასტურებს, რომ დოკუმენტაციას პროკურატურა სწავლობს, მაგრამ აუდიტის დასკვნას კატეგორიულად არ ეთანხმება: „ჩვენ არ ვიზიარებთ აუდიტის სამსახურის აღნიშნულ ანგარიშს და შესაბამისად, მივმართეთ კიდეც კანონმდებლობით გათვალისწინებულ მექანიზმებს. 21 დეკემბერს აუდიტის სამსახურში ჩანიშნულია სხდომა, სადაც იქნება განხილვა და მე დარწმუნებული ვარ, შეიტანენ ცვლილებებს, შეცვლიან და ამის შესაბამისად იმოქმედებს პროკურატურაც“.

როგორც ხედავთ, ქალბატონი ნათია დარწმუნებულია, რომ აუდიტის სამსახური თავის ანგარიშს შეცვლის და პროკურატურაც გამოძიებას შეაჩერებს (?!). რაღა დაგიმალოთ და ეს უკვე შეუძლებელი გვგონია, ყოველ შემთხვევაში, ნორმალურ ქვეყანაში ასეა ხოლმე. რა უნდა თქვას აუდიტის სამსახურმა, უი, უი, არა, შემეშალა, პატივცემულო პროკურატურავ, გამოძიება ტყუილად დაგაწყებინეო? მაშინ აქ უკვე საქმე უნდა აღიძრას აუდიტის იმ ჯგუფის წინააღმდეგ, რომელმაც ეს ანგარიში დადო. როგორც სახელმწიფო აუდიტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი, რუსა შამუგია ამბობს „ალიასთან“, მათ ეს ანგარიში პროკურატურაში არ გადაუგზავნიათ, გამოძიება დამოუკიდებლად დაიწყო და ამიტომაც ძნელი სათქმელია, რა მოხდება.

ვინაიდან, 2015 წელი ცესკოსთვის „მკვდარი“ სეზონი იყო, ანუ არ ჩატარებულა არანაირი არჩევნები, დაფინანსდა მხოლოდ 22 მილიონ 500 ათასი ლარით. მომავალი წლის ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნები გვაქვს და შესაბამისად, დაფინანსებაც მოიმატებს, პარლამენტმა უკვე დაამტკიცა 58 მილიონ 500 ათასი ლარი (ეს უკვე პიკია ყველა წელთან შედარებით). რაც შეეხება პარლამენტს, აქვს თუ არა ამ ორგანოს ცესკოს გაკონტროლების ბერკეტები? აქ სქემა ასეთია: ამისთვის არსებობს მხოლოდ აუდიტის სახელმწიფო სამსახური, რომელიც ანგარიშვალდებულია იგივე პარლამენტთან. დეპუტატებს საშუალება აქვთ, ცესკოს ფინანსური მდგომარეობის შემოწმება მოითხოვონ აუდიტის სამსახურის საშუალებით და დააინტერესონ პროკურატურა. რა სასჯელი ელოდება ცესკოს ხელმძღვანელობას, თუკი პროკურატურამ დანაშაული დაამტკიცა? გააჩნია, რა მუხლებით წავა გამოძიება – თაღლითობის, თანხების დატაცების თუ თანამდებობის ბოროტად გამოყენების. ამ შემთხვევაში 7-9 წელი ციხეა. არსებობს სხვა გზაც – შესაძლოა, ცესკოს ხელმძღვანელები სახლში გაუშვან, მაგრამ ეს პოლიტიკურ ნებაზე და გავლენიან ახლობლებზეა დამოკიდებული.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პუტინმა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების იგნორირების უფლება მიანიჭა



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უფლება მისცა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების იგნორირება მოახდინოს. შესაბამის ბრძანებულებას პუტინმა ხელი უკვე მოაწერა.

კანონის მიღება ნიშნავს, რომ პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა ინსტანციის სასამართლოს მოთხოვნით, საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს, შეასრულოს თუ არა საერთაშორისო ინსტანციის, მათ შორის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილება შეიძლება არ შესრულდეს იმ შემთხვევაში, თუ ის რუსეთის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. როგორც სააგენტო „რბკ“-ს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ სერგეი მავრინმა განუცხადა, საერთაშორისო სამართალს კვლავ აქვს უპირატესობა ეროვნულ კანონმდებლობასთან შედარებით. მაგრამ, მისი თქმით, „კონსტიტუცია უბრალო კანონი არ არის და ის სამართლებრივი სისტემის უმაღლესი წერტილია“. რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ ამ კანონპროექტს მესამე მოსმენით 4 დეკემბერს დაუჭირა მხარი. (kvira.ge)

## დასკვნის გამოქვეყნების გადადება არ არის დაკავშირებული საქართველოსთან — ევროკავშირში საქართველოს ელჩი



საქართველოსთან დაკავშირებული ანგარიშის განხილვის გადადებაზე საუბრობს ევროკავშირში საქართველოს ელჩი. ნატა საბანაძე ამბობს, რომ პროცესი ტექნიკური ხასიათისაა და რომ ანგარიში აუცილებლად დადებითი იქნება.

ელჩი კონკრეტული ვადების დასახელებისგან ამ ეტაპზე თავს იკავებს, თუმცა იმედოვნებს, რომ საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირში უვიზოდ გადაადგილების შესაძლებლობა 2016 წლისთვის ექნებათ.

– არაფერი არ შეცვლილა, გადადება არ არის დაკავშირებული საქართველოსთან და არ ხდება საქართველოს მიზეზით. მე მარწმუნებენ, რომ ანგარიში საქართველოსთან მიმართებაში არის დადებითი. კომისია ანიჭებს უპირატესობას, რომ რამდენიმე ანგარიშის გამოქვეყნება მოხდეს ერთდროულად. ჩვენ ველოდებით, რომ 2016 წლის რაღაც მომენტში საქართველოს მოქალაქეებს შეეძლებათ მოკლევადიანი ვიზიტით ევროპაში უვიზოდ იმოგზაურონ, – განაცხადა ნატალი საბანაძემ. (rustavi2.com)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ირაკლი აბუსერიძემ კანდიდატურა მოხსნა



რაგბის კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატმა ირაკლი აბუსერიძემ საპრეზიდენტო არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. რაგბის ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი და თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი გადაწყვეტილების მიზეზებს არ ასახელებს. შესაბამისად, უცნობია, უკავშირდება თუ არა მისი გადაწყვეტილება იმ სკანდალს, რომელიც ბოლო ორი დღეა ქართულ რაგბიშია.



რაგბის კავშირის სკანდალური განცხადების მიხედვით არ იყო გამორიცხული, არჩევნებში მაღალი თანამდებობის გულშემატკივარი ჩარეულიყო, ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აბუსერიძეს, როგორც ე.წ. სახელმწიფო კანდიდატს, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ლობირებდა, თუმცა რაგბის კავშირის გამგეობის წევრებმა და ვიცე-პრემიერმაც ბრალდებები უარყვეს.

არჩევნები 20 დეკემბერს არის დანიშნული და როგორც ჩანს, მასში მონაწილეობას მხოლოდ გია ნიჟარაძე მიიღებს. (პირველი რადიო)

## „მარგველაშვილი ახალ პოლიტიკურ ჯგუფს ქმნის, რომელიც, რატომღაც, ასეთი ფორმით იწყებს არენაზე გამოსვლას“







არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ვარაუდობს, რომ ელისაშვილის განცხადებები, კორუფციულ სქემასთან დაკავშირებით, ახალი პოლიტიკური ძალის შექმნის წინაპირობაა.

როგორც კაკაბაძემ აღნიშნავს, სავარაუდოდ, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, წინასაარჩევნოდ ახალ პოლიტიკურ ჯგუფს ქმნის.

კაკაბაძე მიიჩნევს, რომ კორუფციაზე საუბრის დაწყებამდე ელისაშვილი ჯერ უნდა დაინტერესებულიყო, იყო თუ არა პოლიტიკური საფუძვლები იმ ადამიანების საქმეებში, რომლებსაც მოგვიანებით პარლამენტმა პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა.

– რა ინტერესი აქვთ, ძალიან მალე გამოჩნდება. მგონია, რომ ახალი პოლიტიკური გადაჯგუფებები იწყება და არჩევნების წინ რაღაც ახალი პოლიტიკური გაერთიანება კეთდება მარგველაშვილის ირგვლივ. მე მესმის საზოგადოების, რომ აი, ამხილა კორუფციაში... – ბუნებრივია, საზოგადოების გულის მოგება ამითი დროებით მოხდება, მაგრამ გაივლის დრო და ეს ყველაფერი ზედაპირზე აღმოჩნდება. მე არ მგონია, რომ რომელიმე პოლიტიკური ძალა, თუნდაც ახალი პოლიტიკური ძალა, ასეთნაირად უნდა იმკვიდრებდეს თავს.

ყველაფერი უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობას. ჯერ დაამტკიცე, რომ ეს ასეა და მერე ილაპარაკე და არა წინმსწრებად, პირდაპირ რომ შეფასებებს აკეთებ და მტკიცებულებებს არ დებ.

ძალიან ცუდია, რომ ასეთი სახით ფიქრობს ახალი პოლიტიკური ძალა არენაზე გამოსვლას. ეს არის ჩემი ვარაუდი. შეიძლება ეს ასე არ არის და სხვა რამ დევს ამის უკან, მაგრამ ჯერჯერობით, მე მგონია, რომ მარგველაშვილი თავის ირგვლივ ახალ პოლიტიკურ ჯგუფს ქმნის, რომელიც, რატომღაც, ასეთი ფორმით იწყებს არენაზე გამოსვლას.

მე არ ვიცი, რა ხდებოდა შეწყალების კომისიაში და არ გამოვრიცხავ, რომ ნებისმიერ სიტუაციაში, შესაძლებელია, არსებულიყო კორუფცია, მაგრამ ჩემთვის არ არის საკმარისი ის მოტივები, რასაც ელისაშვილი ამბობს, რომ წელიწად-ნახევრის განმავლობაში მალავდა ამ ინფორმაციას, როდესაც მან გადასარევად იცოდა პროცედურები, როგორ უნდა მომხდარიყო ამის მხილება, თუკი მას ამის არგუმენტები გააჩნდა.

ალბათ, იქნება გადასვლებიც. იმის წინააღმდეგი არ ვარ, რომ ახალი პოლიტიკური ძალა გაჩნდეს – გაჩნდეს, ბატონო, უბრალოდ, არ არის ლამაზი ასეთი ფორმით გამოსვლა არენაზე. მესმის, რომ უცბად ატყდა დიდი პიარი, მაგრამ მიზნისთვის არ შეიძლება ყველა გზა იყოს გამართლებული, – განაცხადა კაკაბაძემ. (news.ge)

**აბა, რაღა გვიჭირს აწი, თუ მორიგი პარტია შეემატა ქართულ პოლიტიკურ სივრცეს — ხალხისთვის ტვინის ბურღვის კიდევ ერთი საშუალება გაჩნდება.**

**ისე, ქალბატონო ნანა, მოგიბრუნდებათ მარგველაშვილი ან რა ვიცით, ვინც მის პარტიაში შევა (თუ საერთოდ გამოჩნდა მსგავსი რამ) და გეტყვით — „ნაცმოძრაობა“ „ვარდების რევოლუციით“, ხოლო „ქართული ოცნება“ „ციხის კადრების“ გასაჯაროებით თუ მოვიდა ქვეყნის სათავეში, ჩვენ რა პეწი გვირევია, უკვე აპრობირებული მეთოდი რომ არ გამოვიყენოთო და პრინციპში, მართლებიც იქნებიან.**

**საერთოდაც, ნამეტანი ბინძური რამეა ეს ოხერი პოლიტიკა და ყველა თავისებურად ცდილობს ხალხის გადარევა-გადაბირებას, რაც ძალიან კი არ მოგვწონს, მაგრამ მაინც ეჭვი გვეპარება, მარგველაშვილი პარტიის შექმნას აპირებდეს - ამდენი ხანია, ხმა არ ამოუღია ამ სკანდალზე. უფრო მეტიც, მან კარგა ხნის წინ მიიღო ელისაშვილისგან ინფორმაცია ზოგიერთების მამაძაღლობების შესახებ, თუმცა თქვა რამე? არა, ბატონო, არ აიტკივა თავი და ვითომ, უახლოეს მომავალში იზამს რამეს?**

**რა ვიცი, რა ვიცი...**

## კომპანია „ჯანმრთელი პროდუქტები“ პარტნიორი სუპერმარკეტების რაოდენობას აფართოებს

„ჯანმრთელი პროდუქტების“ უნიტრატო პომიდორი „სმარტის“ შემდეგ „გუდვილისა“ და „2 ნაბიჯის“ ქსელშიც გაიყიდება.

პროდუქციის შესყიდვის სურვილი გამოთქვეს სხვა კომპანიებმაც, რომლებთანაც ამ ეტაპზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

– დახლზე გამოტანილი თითოეული პროდუქტი ეტიკეტირებულია, რითაც მომხმარებელი ადვილად ამოიცნობს. პომიდორი უნიტრატოა, რომლის ხარისხიც ლაბორატორიაში მოწმდება. პომიდორში ნიტრატების ოდენობა მხოლოდ 17 ერთეულია, მაშინ როდესაც დასაშვები ნორმა 300 ერთეულს შეადგენს. პროდუქციის მოყვანა ბიოსტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიით ხორციელდება და უკვე დაწყებულია მუშაობა ბიოსერტიფიკატის მისაღებად, – აცხადებს კომპანიის დირექტორი მამუკა გუნია.

კომპანიამ საცდელი წარმოება წელს გაზაფხულზე დაიწყო. გამოიცადა სხვადასხვა ჯიშის პომიდორი და საბოლოოდ ფართო წარმოებისთვის ერთ-ერთი სახის პომიდორი შეირჩა.

– იმის გამო, რომ ჩვენ არ ვიყენებთ ქიმიურ ნივთიერებებს, პომიდორი განსაკუთრებით მგრძნობიარეა სხვადასხვა მავნებლებისა თუ დაავადებების მიმართ. პროცესი ძალიან საფრთხილოა, რომ მცენარის დაზიანებისა და ქიმიური პრეპარატებით გაჯერების გარეშე, შევძლოთ ხარისხის შენარჩუნება. აღსანიშნავია, რომ ჩვენ წარმოების მთელ ჯაჭვს მოვიცავთ – ჩითილის წარმოებიდან საბოლოო პროდუქტამდე და შედეგად, უკვე დახლზე ხვდება ჩვენი ეტიკეტირებული პომიდორი, – აცხადებს მამუკა გუნია და განმარტავს, რომ დღეს დიდი სათბურების უმეტესობას ბოსტნეული ჰიდროპონიკურ სისტემაზე მოჰყავს, რაც ადვილია, რადგანაც ადვილია მცენარის დაავადებების მართვა და კონტროლი.

გაცილებით რთულია ნიადაგზე პომიდვრის მოყვანა. შესაბამისად, ამ სახით მოყვანილი პომიდვრის თვითღირებულება მაღალია, რაოდენობა – ნაკლები.

კომპანიაში აცხადებენ, რომ სამომავლოდ გაფართოება და სხვა სახის ბოსტნეულის წარმოებაც იგეგმება.

კომპანია სასათბურე მეურნეობას თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ კოდაში ფლობს. 2000 კვ.მ-ის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სათბურის მშენებლობისთვის 200 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა.

თანხის ნაწილი სესხია, რომელიც კომპანიამ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში, „საქართველოს ბანკისგან“ მოიპოვა.


სასათბურე მეურნეობა

ჯანმრთელი პროდუქტები



მოყვანილია ბიოსტანდარტების შესაბამისად

ჯანმრთელი პროდუქტები

www.healthyproducts.ge
www.agso.ge


ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისის აეროპორტის საშობაო-საახალწლო განწყობა — აეროპორტი კი არა, ზოიას ბუტკაა



სოციალურ ქსელში თბილისის აეროპორტში გადაღებული ფოტო ვრცელდება. „ფეისბუკის“ მომხმარებლები აეროპორტის საახალწლო მორთულობაზე ხალისობენ...

– თბილისის აეროპორტის საშობაო-საახალწლო განწყობა.

სად გაიზარდეთ? ლილოში ოპტომ აიღეს, ალბათ.

– იმენა ჩამოსვლას არ გაცდიან, ისე გაფარებენ რეალობას.

– ელექტრო „ფეჩი“ არსად იდგა?

– ევროპიდან რომ ჩამოდიხარ და ეს რო გხვდება...

– ეგრევე განარცხებენ მიწაზე, რეალობის შეგრძნება რო არ დაკარგო!

– მგონი, რაღაც ძალიან კონცეპტუალურია.

– უნდა იცინო, სხვა რა უნდა ქნა, აბა, ამ ფაქტზე! (ვაი ჩვენს პატრონს)...

– რიჟა ბაზარია, გუშინ ვიყავი აეროპორტში და მშვენიერი დიდი ნაძვის ხე იდგა.

– აეროპორტი ქოცების არ არის და რას ერჩი, ვინც განარცხებს, იმას ჰკითხე :) თურქული კომპანიის არის და იმ თურქული კომპანიის უკან ვინ დგას, ესაა საინტერესო. ან იქნებ რომელიღაც მალაზიამ დადგა აეროპორტში.

– დაჯღანული პატრონის დაჯღანული ნაძვის ხე, აგიხდათ ოცნება!

– ევროპიდან ჩამოთრეულებისთვის ეგეც ზედმეტია! რას დაძრწიან ამ ევროპაში, რას დაეძებენ?

– რა გინდოდათ მერე აქ, ლობიო და ვიჩინა? ვაუ, ვერ შეხვდით ახალ წელს ევროპაში?! გადეირევა კაცი!

– ნაძვის ხეს კიდევ აიტანს ხალხი, მაგრამ ჩამოფრენის წუთიდან უჟმური და დაღრეჯილი სახეებით რომ დგანან, სრულიად არაკომპეტენტური მუშაკები და კიდევ მედიდურად იყურებიან, ეგ მართლა პრობლემაა.

– რეებს აქცევენ ყურადღებას ამ დაქცეულ და ღატაკ ქვეყანაში?!

– აეროპორტი თურქების, ბორჯომი უკრაინელების, წყალი რუსების, თელასი რუსების, ჯარი ნატოსი, მთავრობა სოროსის. ხალხი გამოშტერებული და გაუბედურებული. რამე დარჩა ჩვენი ამ ქვეყანაში? გაჭირვებული, დანარცხებული და კიდო გადენილ-გადადენილი ხალხისა?

– ნაძვის ხე ხომ „უნიკალურია“, მაგრამ უფრო უნიკალურია, აეროპორტის გამოსასვლელში 37 ავტობუსი რომ დაგვხდება... სირცხვილია. ნაძვის ხეს კი მალე აიღებენ, მაგრამ დანგრეულ ავტობუსებს რა ეშველება? ვისაც ეხება, მიხედეთ... ქალაქისა და ქვეყნის პრესტიჟია. (ambebi.ge)

# საიდან იშოვა მილიარდები და რისთვის დააჯარიმეს „ბედნიერი საქართველოს“ ლიდერი ლეონიდ ჩერნოვეცკი?






ნინო სამხარაძე
599 71-14-22


**კიევის ყოფილი მერი ლეონიდ ჩერნოვეცკი, რომელმაც პარტია „ბედნიერი საქართველოსთვის“ დააანონსა, სადამფუძნებლო ყრილობის მოსამზადებლად საინიციატივო ჯგუფთან ერთად მუშაობს. როგორც ირკვევა, მურმან დუმბაძის ტელეფონზე შედის უამრავი სმს-გზავნილი, რომ მან ლეონიდ ჩერნოვეცკიზე გაიყვანოს კონკრეტული პოლიტიკოსები, თუმცა დუმბაძე არ ასახელებს მათ ვინაობას, ვისაც აქვს სურვილი, გაერთიანდეს კიევის ყოფილი მერის პოლიტიკურ გუნდში. ვინ გაერთიანდება მასთან, არსებობს სია, მაგრამ პერსონალიების გაჟღერებისგან ჯერ თავს იკავებენ. მაშ ასე, როგორ მოხდა მურმან დუმბაძესთან დაკავშირება და რატომ არჩია ლეონიდ ჩერნოვეცკიმ დუმბაძე? იცის თუ არა ბატონმა მურმანმა, რა ბრალდებები წაუყენეს საკუთარ ქვეყანაში კიევის ყოფილ მერს, რატომ ედავებიან მას კორუფციაში, ნარკოტიკების მოხმარებაში და საერთოდ, რა იცის ამ პიროვნების შესახებ?**

**ამ და სხვა კითხვებზე „ალიას“ თავად მურმან დუმბაძე პასუხობს...**

**— რატომ აგირჩიათ ჩერნოვეცკიმ, ვისი საშუალებით დაგიკავშირდათ და რა ენაზე ესაუბრეთ მას?**

– მას შემდეგ, რაც ლეონიდ ჩერნოვეცკიმ პარტიის შექმნა დააანონსა, დამიკავშირდა მისი თანაშემწე გიორგი ქვრივიშვილი. ბატონ ლეონიდთან საუბარი არის ძალიან მარტივი იმ თვალსაზრისით, რომ ის არის ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი, ის გახლდათ რადას დეპუტატი, ორჯერ კი – არჩეული წესით კიევის მერი, მან იცის საპარლამენტო ცხოვრება, ორგანიზაციული სტრუქტურა და ყველა დეტალში ჩახედულია. რაც მთავარია, მას გული შესტკივა საქართველოში არსებულ სიღარიბეზე. საუბრისას მითხრა, – მიუხედავად იმისა, რომ კიევში არის სამოქალაქო ომი, დაძაბულობა, რუსეთის მხრიდან აგრესიული ქმედებები, კიევი ეკონომიურად გაცილებით წელგამართულია, ვიდრე საქართველო. მას ძალიან სწყდება გული სიღარიბეზე. თქვენ გაინტერესებთ, რა ენაზე მესაუბრა იგი... მესაუბრებოდა რუსულად, თუმცა ესმის ქართული და სწავლობს ქართულ ენას...

**— წლების მანძილზე ის ქართველების სიძე იყო, კაცი რომელიც ქართულ პოლიტიკაში მოდის, ოკუპანტის ენაზე არ უნდა საუბრობდეს, ეს არის ქართველებისადმი უპატივცემულობა... მაგალითად, დავით ჟვანიამ სანამ უკრაინული არ ისწავლა, არ გასჩენია პოლიტიკაში მოსვლის ამბიცია. მან ერთხელ ჩემთან ინტერვიუში ისიც თქვა, რომ, როცა უკრაინაში პოლიტიკოსი რუსულად საუბრობს, ეს უკრაინელების შეურაცხყოფააო...**

– მას საქართველო ძალიან უყვარს, მისი პირველი მეუღლე საქართველოდან იყო, მისი შვილები ქართული წესით არიან გაზრდილები, საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭული ზეპირად იცის...

**— მას ბიზნესინტერესები აქვს გუდაურსა და ბაკურიანში და მოგზაურობა მისი გატაცებაა, საქართველოს სიყვარულთან ამას რა კავშირი აქვს?**

– ამით იმის თქმა მინდა, რომ ბატონი ლეონიდი საქართველოს საკმაოდ კარგად იცნობს. თქვენ, როგორც ჟურნალისტი, სწორად იქცევით, რომ ადამიანს, რომელიც პოლიტიკაში მოსვლას აანონსებს, გამადიდებელი შუშით უყურებთ, თუმცა ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მის საგარეო ვექტორს და ორიენტაციას, ეს იქნება ევროპული ორიენტაციის პარტია და ბატონი ლეონიდი ამბობს, რომ ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება უნდა მოხდეს ევროპული გზით. მასთან საკმაოდ ხანგრძლივი შეხვედრა მქონდა, რა ნიშნით შემარჩია, მისთვის არ მიკითხავს, ჩვენ ვისაუბრეთ ბევრ საკითხზე, საკადრო პოლიტიკიდან დაწყებული, საპარლამენტო მუშაობით დასრულებული... მან თქვა, რომ 10-მილიარდიანი ბიუჯეტის პირობებშიც კი შესაძლებელია დაიძლიოს საქართველოში სიღარიბე, თუკი სწორად დაიხარჯება თანხები. ის ამბობს, რომ გაბერილია სამინისტროების რაოდენობა. ეს კარგად გასააზრებელი საკითხია. ხელისუფლება ფუფუნებაში ცხოვრობს, ხალხი მშეიერია, პრემიების, დანამატების შემცირებით შესაძლებელია სოციალური პროექტების დაფინანსება. მოვიდა დრო, რომ პიროვნებების კვალდაკვალ პოლიტიკოსებმა ერთმანეთში პროგრამებით იდავონ, ამიტომ უახლოეს დღეებში ჩვენი მთავარი ამოცანაა საინიციატივო ჯგუფის შექმნა, რომელიც დამფუძნებელ ყრილობას მოამზადებს.

**— ვინ შევა საინიციატივო ჯგუფში?**

– გვარების დასახელების ინიციატივა ჩერნოვეცკის დავუტოვოთ, გეტყვით, რომ ეს იქნება საკმაოდ კონკურენტუნარიანი პარტია.

**— გამოდის, რომ ჩვენ ვეწევით ძებნილების, სისხლის სამართლის დამნაშავეების ექსპორტსა და იმპორტს, ქვეყნიდან გაგვექცა სააკაშვილი უკრაინაში და სანაცვლოდ ქართულ პოლიტიკაში მივიღეთ ძებნილი, პოლიტიკოსი, რომლის დაპირებებზეც კიევში ანეკდოტები დადის...**

– მე ასე არ ვიტყოდი, ჩერნოვეცკი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეა, მას საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა...

**— ბატონო მურმან, მინდა ჩაგიტაროთ ერთგვარი ტესტი და გავიგო, რა ინფორმაციას ფლობთ თქვენი პოლიტიკური ლიდერის შესახებ?**

– ვიცი, რომ უკრაინაში მას შოთა რუსთაველის ძეგლი აქვს დადგმული, უფასოდ გადასცა მიწა საქართველოს საელჩოს კიევში. მე ვიცი, რომ უკრაინაში დაღუპულ ქართველ ჟურნალისტ გიორგი ღონღაძეს მემორიალი დაუდგა...

**— ბატონო მურმან, საკუთარი ცოდვების მოსანანიებლად ე.წ. კანონიერი ქურდებიც აშენებენ ეკლესიებს, მაგრამ ეს მათ ღირსებას არ მატებს... როგორც ვხვდები, ამ პიროვნების პოლიტიკურ ბიოგრაფიას არ იცნობთ. ეს პიროვნება არის ეპატაჟური, მეტსახელად „ლიონია კოსმოსს“ ეძახიან, თავის დროზე „ნიუ-იორკ ტაიმსიც“ წერდა, რომ ჩერნოვეცკის ოცნება იყო თავის კატასთან ერთად კოსმოსში გაფრენა... ფრთხილად იყავით, ემანდ, თქვენთან ერთად არ მოინდომოს კოსმოსში გაფრენა... „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ასევე წერდა, რომ უკრაინელები მას „გიჟს“ ეძახდნენ და დაპირებებს სიმღერით გასცემდა... ახლა როგორ არის თქვენი საქმე, პენსიონერებს სიმღერით აუხსნით, როგორ გაუზრდით მათ პენსიას 500 ლარამდე? რატომ გვეკაიფებით ეს პოლიტიკოსები, ბატონო მურმან?**

– ქალბატონო ნინო, აქ არის ძალიან მარტივი პასუხი, ე.ი. ამომრჩეველს, ვისაც სჯერა, რომ ამ პიროვნებას რაღაც სარგებლის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის, ასეთი ამომრჩეველი მივა საარჩევნო ყუთთან და ხმას მისცემს პარტიას „საქართველოს ბედნიერებისთვის“. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ 2 მილიონ-ნახევარი ამომრჩეველი ხელებს დაიკაპიწებს და საარჩევნო ურნასთან 2016 წლის ოქტომბერში უკლებლივ ჩვენ მოგვცემს ხმას... მაგრამ, გარწმუნებთ, რომ „ბედნიერი საქართველო“ იქნება ის ძალა, რომელიც ღია კონკურენციაში შევა არა მარტო კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“, არამედ არსებულ პოლიტიკურ სპექტრთან და საკმაო რაოდენობით აღმოვჩნდებით პარლამენტში... მე უფრო მეტად ის მაინტერესებს, რატომ უკრძალავს საქართველოს მთავრობა ლეონიდ ჩერნოვეცკის საქველმოქმედო საქმიანობას...

**— ამ საკითხზე ლეონიდ ჩერნოვეცკიმ ჯანდაცვის სამინისტროსგან ამომწურავი პასუხი მიიღო... მან თვითნებურ ქველმოქმედებას მიჰყო ხელი ისე, რომ სამინისტრო საქმის კურსში არ ჩაუყენებია.**

– დიახ, მან ბავშვთა თავშესაფარი გააკეთ მაგრამ ჯანდაცვის სამინისტრო ამბობს, რომ მისი ქმედება კანონთან შეუსაბამოა. საქართველოს კანონის მიხედვით მზრუნველობამოკლებული ბავშვი უნდა იზრდებოდეს ან მშობელთან, ან მიმღებ ოჯახში... საქმე ის არის, რომ ბავშვთა თავშესაფარის გამო ჩერნოვეცკის საქველმოქმედო ფონდი „სოციალური პარტნიორობა“ დააჯარიმეს...

**— დააჯარიმეს, სულ რაღაც, 2000 ლარით, ეს კაცი „ფორბსის“ სიაში უკრაინელ მილიარდერთა ასეულში შედიოდა... საიდან დააგროვა სახელმწიფო მოხელემ მილიარდები? თქვენ ჩერნოვეცკისთვის ეს კითხვა არ დაგისვამთ?**

– კარგი კითხვაა... როცა ბატონ ბიძინა ივანიშვილთან მივედი, ეს კითხვა არც მისთვის დამისვამს, თუ საიდან იშოვა მილიარდები...

**— ბიძინა ივანიშვილი საჯარო მოხელე არასდროს ყოფილა და შესაბამისად, ამ კითხვის დასმა სწორი არ იქნებოდა... პარალელს ნუ ავლებთ ჩერნოვეცკისა და ივანიშვილს შორის, მე კონკრეტულად გეკითხებით, საიდან იშოვა მილიარდები უკრაინის სახელმწიფო მოხელემ?**

– თუ პიროვნება კანონის ფარგლებში მოქმედებს და კანონი საშუალებას აძლევს, დააგროვოს ფული, ღმერთმა ხელი მოუმართოს. ჩემი ამოცანაა, საქართველოს ჰყავდეს მეტი მილიარდერი... მე მასთან არ მილაპარაკია კონკრეტულ თემებზე, კერძოდ კი, მისი ცხოვრების უკრაინული ნაწილით არ დავინტერესებულვარ.

**— ბატონ ლეონიდს კიევის ახლანდელი მერი ვიტალი კლიჩკო ბრალს სდებს კორუფციულ გარიგებებში, მიწების გასხვისებაში, ჯერ კიდევ 2008 წელს იმუქრებოდა, რომ მას აუცილებლად ჩასვამდა ციხეში. ჩერნოვეცკი ჯერ ისრაელს აფარებდა თავს, ხოლო შემდეგ უკრაინის ხელისუფლების ძებნილი საქართველოში ჩამოვიდა, რადგან ის ახლო ურთიერთობაში იყო მიხეილ სააკაშვილთან.**

– მე როგორც ვიცი, ვიტალი კლიჩკომ ბოდიში მოუხადა ლეონიდ ჩერნოვეცკის, ეს მან თავად მითხრა. საქართველოს სახელმწიფოს უკრაინასთან აქვს სტრატეგიული ურთიერთობა, ერთ-ერთი მოკავშირე სახელმწიფოა ჩვენი, ხომ მართალია?

**— გააჩნია, რა შემთხვევაში... მიხეილ სააკაშვილი სისხლის სამართლის დამნაშავეა და მისი დაჯგუფება უკრაინის ხელისუფლებას აფარებს თავს, ამის შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება ჩვენი მოკავშირეა?**

– მაშინ, გამოდის, რომ საქართველოს მთავრობა კანონგარეშე იქცევა და დღევანდელი ხელისუფლება კანონის მიღმა მოქმედებს? ეს შეკითხვები უნდა დავუსვათ საგამოძიებო ორგანოებს, რომელთაც ევალებათ, კანონი აღასრულონ საქმის ამ ნაწილში. ჩემი ინტერესია, რომ გვერდით დავუდგე ადამიანს, რომელმაც სამი წლის განმავლობაში საქართველოსთვის ბევრი სიკეთე გააკეთა. მე ვუფასებ იმ შრომას, რაც მან გასწია, უამრავი ბავშვი გადაარჩინა, მოხუცებს უვლის, პატრონობს. რაც შეეხება კრიმინალურ ნაწილს, დანაშაულს, კანონის მიღმა მოქმედებას, ეს არის სპეციალური ორგანოების გადასაწყვეტი საქმე და არა ჩემი...

**— ლეონიდ ჩერნოვეცკი ერთ-ერთ ინტერვიუში თავად ამბობს, რომ „გიჟს“ ეძახიან, როგორ შეატყვეთ პირად საუბარში, გიჟია?**

– მიხეილ სააკაშვილი მეც გიჟს მეძახდა. ასე რომ, ეს ეპითეტები პოლიტიკაში დამახასიათებელია, ვინც პოლიტიკაში შედის, ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს.

**— ბატონო მურმან, მოდით, მოვითხოვოთ, ამ ადამიანმა ნარკოლოგიური შემოწმება გაიაროს, რადგანაც, უკრაინის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ნარკომანს ეძახდა, რის გამოც უხერხულ ადგილას წიხლი მიიღო ჩერნოვეცკისგან.**

– მინდა გითხრათ, რომ ფიზიკურად ლეონიდ ჩერნოვეცკი არის ძალიან მომზადებული, ათლეტური, ნარკომანობისა მას არაფერი ეტყობა, ეს არის ჭორი. ის ძალიან დიდ დროს უთმობს სპორტს.

**— სხვათა შორის, როცა კიეველმა ექიმებმა განაცხადეს, რომ მას აქვს გადახრები და ფსიქიკური პრობლემები და მის ნარკომანობაზე მიდგა საქმე, ლეონიდ ჩერნოვეცკიმ ტელეკამერების წინ გაიხადა და საცვლის ამარა „ბოდი ბილდინგი“ ჩაატარა...**

– ჩვენ ხომ ლიაობა გვინდა და ესეც ლიაობის ერთ-ერთი მეთოდია.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## დავით უსუფაშვილი — ჩემი ხელმოწერილი წერილია, რომ ნუგზარ ბოჭორიშვილი „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი იყო 2008 წლამდე



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, ე.წ. კოკაინის საქმის მთავარ ფიგურანტ ნუგზარ ბოჭორიშვილს „რესპუბლიკურ პარტიასთან“ შეხება მხოლოდ 2005-2008 წლებში ჰქონდა. ასე ეხმაურება უსუფაშვილი ბოჭორიშვილთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც ე.წ. კოკაინის საქმეს უკავშირდება.

– ბოჭორიშვილთან დაკავშირებით მიმდინარეობს საკითხის გარკვევა. ამ თემაზე 2011-2012 წელს პარტიას ოფიციალურად მიმართა მანანა კობახიძემ, როგორც ბოჭორიშვილის ადვოკატმა, და გვთხოვა, მიგვეწოდებინა მისთვის ინფორმაცია, იყო თუ არა ბოჭორიშვილი აქტივისტი. ჩემი ხელმოწერილი წერილი არის გაცემული, რომ ის იყო პარტიის წევრი 2008 წლამდე და ასევე, იხდიდა საწევროს, თუმცა სხვა რაიმე განსაკუთრებული აქტივობა მისი მხრიდან არ ფიქსირდებოდა. აქვე არის მეორე ეპიზოდი – 2012 წლის შემოდგომაზე, როცა პარლამენტი პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირების განთავისუფლების საკითხებზე მუშაობდა, მაშინ ბოჭორიშვილის გვარიც მოხვდა წინასწარ სიაში, თუმცა, როგორც კი ჩვენ, „რესპუბლიკელებს“, ამ საკითხზე პოზიციის დაფიქსირება გვთხოვეს, ჩვენ განვაცხადეთ, რომ ბოჭორიშვილი არც ერთ ეტაპზე პოლიტპატიმრად არ ჩაგვითვლია და რომ მის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ზომები მის პოლიტიკურ საქმიანობას არ უკავშირდებოდა, – განაცხადა უსუფაშვილმა და დასძინა, რომ ამის შემდეგ ბოჭორიშვილი პირველადი სიიდან ამოიღეს, რის შედეგადაც ის ამნისტირებულთა საბოლოო სიაში ვერ მოხვდა.

დავით უსუფაშვილის თქმით, სწორედ ეს იყო ბოჭორიშვილის შეხება „რესპუბლიკურ პარტიასთან“ და პარტიას მისი შეწყალება არც ერთ ეტაპზე არ მოუთხოვია. (ინტერპრესნიუსი)

## საოკუპაციო ხაზთან კიდევ ერთი პირი დააკავეს

ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით კიდევ ერთი პირი დააკავეს – გიორგი თოთლაძე ცხინვალის მილიციაშია გადაყვანილი.

დაკავებულის ოჯახის წევრების განცხადებით, თოთლაძე, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, თავად გადავიდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რა დროსაც რუსმა ე.წ. მესაზღვრეებმა დააკავეს და ცხინვალის მიმართულებით წაიყვანეს.

დაკავებულის მამის ამირან თოთლაძის თქმით, ვლადიკავკაზში მცხოვრებმა ნათესავებმა ე.წ. ჯარიმისთვის მოთხოვნილი თანხა უკვე გადაიხადეს და გიორგი თოთლაძის განთავისუფლებას უახლოეს ხანებში ელოდებიან. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გადავარჩინოთ 14 წლის ანა — სიმსივნით დაავადებული გოგონას ოჯახი დახმარებას ითხოვს



სიმსივნით დაავადებული 14 წლის გოგონას ოჯახი დახმარებას ითხოვს.

ანა ლომაიას სასწრაფო სამედიცინო დახმარება სჭირდება. მედიკოსებმა გოგონას კუჭის ავთვისებიანი სიმსივნე – კარცინომა დაუდგინეს

14 წლის ანას სიცოცხლის გადასარჩენად მისი საზღვარგარეთ ჰოსპიტალიზაციაა საჭირო, რაც სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული, რისი საშუალებაც გოგონას ოჯახს არ გააჩნია.

გთხოვთ ყველას, გამოიჩინეთ გულისხმიერება და შევუნარჩუნოთ 14 წლის ანას სიცოცხლე.

დახმარების მსურველებს შეუძლიათ თანხა გადარიცხონ მითითებულ ანგარიშზე:

საბანკო კოდი – **TBCBGE 22**

მიმღები – ცისანა იზორია

ანგარიშის ნომერი – **GE36TB7512045063600030**

ტელ. 571858282 (ნიუპოსტი)

## ერთი იმ დღეს მოგვასწრო, იქით მიშა არ არახუნებდეს, იმის იქით კიდევ — რუსეთი!



ნატოს სამხედრო აქტივობის გაძლიერება და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგება ახალი კონფლიქტების შექმნისა და უკვე არსებული კონფლიქტების ესკალაციის საფრთხეს ქმნის. როგორც „რია ნოვოსტი“ წერს, ამის შესახებ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა ვალერი გერასიმოვმა რუსეთში აკრედიტებული უცხო ქვეყნების სამხედრო ატაშეებისთვის გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– შეშფოთებას იწვევს ნატოს სამხედრო პოლიტიკა, რომელიც რუსეთთან მიმართებაში არამეგობრულ ხასიათს ატარებს. ალიანსი სამხედრო გაფართოებისკენ მიმართულ საქმიანობას განაგრძობს და აძლიერებს ბლოკის შეიარაღებული ძალების აქტივობას რუსეთის საზღვრების გასწვრივ, – განაცხადა გერასიმოვმა. (ინტერპრესნიუსი)

# ესეც შს სამინისტროს მორიგი შეტევა ხალხის წინააღმდეგ — მარჯვენასაჭიანი იკრძალება, მარცხენასაჭიანი ძვირდება







3-დან 6 წლამდე ავტომობილები შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმში ექცევა, ხოლო მნიშვნელოვნად იზრდება აქციზის გადასახადი 9 წელზე მეტი ასაკის ავტომობილებისთვის. გარდა ამისა, შეღავათიან რეჟიმში გადადის მოპედებისა და მოტოციკლების აქციზით დაბეგვრა. ამას მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტში უკვე ინიცირებულია. „საგადასახადო კოდექსში“ დაგეგმილ ცვლილებებს მთავრობა ახალი ავტომობილების იმპორტის წახალისებისა და ქვეყნის ავტოპარკის გადახალისების გზად განიხილავს.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, უკანასკნელ პერიოდში საქართველოში რეგისტრირებულმა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოდენობამ მილიონს გადააჭარბა, რაც ქვეყნის მოსახლეობის ოდენობასთან მიმართებით საკმაოდ სოლიდური ციფრია. ამასთანავე, შსს-ს განმარტებით, საქართველოს ავტოპარკის ძირითად ნაწილს მეორადი – 5-დან 15 წლამდე ასაკის ავტომობილები წარმოადგენს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, ტექნიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

– ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის არსებული განაკვეთები 2004 წელს დადგინდა, როდესაც სატრანსპორტო სფეროში დღევანდელისგან კარდინალურად განსხვავებული სურათი იყო. გარდა ამისა, არსებული განაკვეთები იმ პერიოდში ბევრად უფრო მეტი ფისკალური ეფექტის მქონე იყო, ვიდრე დღეს. შესაბამისად, შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ მსუბუქი ავტომობილების დაბეგვრის რეჟიმი დღეს ბევრად უფრო ლიბერალურია, ვიდრე არსებული განაკვეთის შემოღების მომენტში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მოხდეს მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის განაკვეთების ცვლილება, არსებული რეალობის გათვალისწინებით. აქციზის განაკვეთების წარმოდგენილი ოდენობა მიზნად ისახავს შედარებით ნაკლები წლოვანების ავტომობილების იმპორტის ხელშეწყობას და შესაბამისად, ძველი ავტომობილების იმპორტისთვის გარკვეული ბარიერის შექმნას, მაღალი გადასახადის სახით, – ნათქვამია განმარტებით ბარათში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივას თან ერთვის.

გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს მოტოციკლებისა (მოპედების ჩათვლით) და ძრავიანი ველოსიპედების იმპორტისა და მიწოდების განთავისუფლებას დამატებული ღირებულების გადასახადისგან და მათი იმპორტის დაბეგვრას აქციზით, მათი წლოვანებისა და ძრავის მოცულობის მიხედვით.

– ვინაიდან აქციზით მხოლოდ მსუბუქი ავტომობილების კატეგორია იბეგრება, განაკვეთების გაზრდა კომერციული დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებებს ნაკლებად შეეხება და შესაბამისად, არ გახდება ბიზნესის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორი. ამრიგად, კანონპროექტის მიღება განპირობებულია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, ავტოპარკის განახლების აუცილებლობით, – აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. (ინტერპრესნიუსი)

**ტყუილი, ტყუილი და კიდევ ერთხელ ტყუილი!!!**

**ჯერ ერთი, შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე თავიდან გვარწმუნებდა, რომ კი, მარჯვენასაჭიანის რეგისტრაცია აიკრძალება, მაგრამ მარცხენასაჭიანის განბაჟებაზე შეღავათებს შემოვიღებთო. ოღონდ მას საერთოდ არ უხსენებია, რომ ვთქვათ, 2006-წლიანი ავტომობილი, რომლის მფლობელსაც ჰგონია და თავი მოაქვს, ახალი მანქანა მყავსო, დამატებითი ხარჯების გამჩენი იქნებოდა.**

**შთაბეჭდილება ასეთი იქმნება — სიახლის ავტორები ან გვეღადავებიან, ან უფრო უარესი — საბოტაჟს აწყობენ და შეგნებულად, მიზანმიმართულად სურთ, ხალხს მოთმინების ფიალა აუვსონ.**

**თქვე დალოცვილებო, ვინ გითხრათ და რატომ გინდათ, დაგვარწმუნოთ, რომ 2006 წელს გამოშვებული ავტომობილი ძველია? არა, თქვენ რომ უახლესი თაობის მოდელები გყავთ ხალხის ხარჯზე ნაყიდი, იმათთან შედარებით კი, ბატონო, შეიძლება ძველად მოგეჩვენოთ, მაგრამ რა გინდათ, რას გადაგვეკიდეთ, რატომ გვისპობთ საკუთარი თავისთვის ელემენტარული პირობების შექმნის შესაძლებლობებს?!**

**მოპედებით მოძრაობა სულაც არ „ტეხავს“ და ველოსიპედებით მით უმეტეს, პირიქით, ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, მაგრამ თქვენ ვინ მოგცათ იმის უფლება, ასეთი შეზღუდვები დაგვიწესოთ?**

**ხალხს სამუშაო რომ ჰქონდეს, ნორმალურ ხელფასებს იღებდნენ, უზარმაზარი სიამოვნებით მიუჯდებოდა 2015 წლის „კაკ მინიმუმ“ დეკემბერში გამოშვებული ავტომობილის საჭეს და იშხუილებდა აღმადაღმა, მაგრამ არ გვაქვს ამის საშუალება, ოღრაშებო, არა!**

**მოდით, რა, აღიარეთ, რომ ვეღარ უმკლავდებით საცობებს და იმის ნაცვლად, თავი შეიწუხოთ და რამე სხვა მოიფიქროთ, ჯოხის გადატეხა რიგით მოქალაქეებზე გსურთ!**

**თუ ასეა, მაგის დედაც ვატირე, მოგვიშვით ავტომატის ჯერი, მოწამლეთ სასმელი წყალი, პურის ფქვილი და ისე გაგვავლეთ მუსრი, ან არა და შეგვეშვით და თუ ვიღაც რაღაცას ფაფხურობს და ოჯახს მინიმალურ პირობებს უქმნის, ნუ გაუმწარებთ ცხოვრებას, ნუ გაუჩენთ დამატებით ხარჯებს!**

**ამ თქვენს ლოგიკას თუ გავყვებით, მაშინ მაცივრებიც უნდა ავიკრძალოთ — ძველი მოდელები საკვებ პროდუქტებს კარგად ვერ ყინავს, ან პირიქით, ძალიან ყინავს და სასწრაფოდ ახლები უნდა იყიდოთ, თორემ თავებს წაგასლეკთო!**

**მთავარი — თუ ეჭვი გეპარებათ, რომ თუნდაც 2006 წლის მოდელი ტექნიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, აღადგინეთ ეს ოხერი „ტეხასმოტრი“ და ვნახოთ, ხართ თუ არა მართლები!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## პატრულს თავი ქვით გაუტეხეს

## უნდა აიკრძალოს ქვის ტარება!!!



თბილისში სადგურის მოედანთან პატრულის თანამშრომელს თავს დაესხნენ.

ამ დრომდე დაუდგენელმა პირმა სამართალდამცავს თავის არეში დაზიანება ქვით მიაყენა.

რაც შეეხება პატრულის თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, დაშავებული საავადმყოფოშია გადაყვანილი და მისი მდგომარეობა სტაბილურია.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს წინააღმდეგობას, მუქარას ან ძალადობას საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ. დანაშაული თავისუფლების 4-დან 7 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

## ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის დაწესების წინააღმდეგ გამოდის

ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრი იოაჰიმ ჰერმანი საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის დაწესების წინააღმდეგ გამოდის.



Passau | 14.12.2015 | 06:01 Uhr

Herrmann: "Visumpflicht für Ukraine und Georgien muss bleiben"

Lesenswert (4) | 4 Kommentare | Weitersagen | drucken | merken

Artikel — Artikel 24 / 325

Der bayerische Innenminister Joachim Herrmann (CSU) hat sich gegen Visa-Erleichterungen für Ukrainer und Georgier ausgesprochen. "Statt d[…] Fehler, die mit der Visum-Befreiung für die Westbalkanstaaten begange[…] wurden, zu wiederholen, sollte Europa sich endlich ernsthaft um die Sicherung der europäischen Grenzen kümmern", sagte Herrmann der Passauer Neuen Presse. In der aktuellen Situation die Visumspflicht für Ukrainer und Georgier abzuschaffen, würde seiner Ansicht nach die Flüchtlingskrise weiter verschärfen.

Die Ukraine und Georgien drängen auf eine Aufhebung der Visumspflicht für Einreisen in die Europäische Unio[…] Die Verhandlungen laufen noch. Ende des Jahres will die EU prüfen, ob es dafür eine Perspektive gibt.

Die Zahl der ukrainischen Asylbewerber in Deutschland habe sich seit dem Konflikt mit Russland vervielfacht.

გერმანული გამოცემა „დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, შესაბამისი კომენტარი მაღალჩინოსანმა გამოცემა **Passauer Neue Presse**-თან საუბარში გააკეთა.

– იმის ნაცვლად, რომ გავიმეოროთ შეცდომები, რომელიც დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის დაწესებით დავუშვით, უმჯობესია, ევროპა ევროპული საზღვრების დაცვის გაძლიერებით სერიოზულად დაკავდეს, – განაცხადა მან.

ჰერმანის მოსაზრებით, საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის გაუქმება გამოიწვევს მიგრაციული კრიზისის გამწვავებას.

როგორც მან აღნიშნა, „რუსეთთან კონფლიქტის“ დაწყების შემდეგ გაიზარდა უკრაინელების რაოდენობა, რომლებმაც გერმანიას თავშესაფრის თხოვნით მიმართეს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## 2016 წლის დახვედრა თბილისელებს 1,5 მილიონი ლარი უჯდებათ!



31 დეკემბერს თავისუფლების მოედანზე გალა კონცერტის მოსაწყობად 235 ათასი ლარი დაიხარჯება. ამის შესახებ თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ია მაქაცარია საუბრობს.

მისივე თქმით, მიშა მდინარაძის მიერ მოწყობილ გალა კონცერტში 200-მდე შემსრულებელი მიიღებს მონაწილეობას.

კითხვაზე, გასული წლის საახალწლო გალა კონცერტის მსგავსად, ხომ არ შეიქმნება პრობლემები მუსიკოს-შემსრულებლების შერჩევასთან დაკავშირებით, მაქაცარიას განმარტებით, ეს არის საავტორო პროექტი და მიშა მდინარე თავად იღებს გადაწყვეტილებას, რომელი შემსრულებლები მიიღებენ მასში მონაწილეობას.

– ეს არის გამომდინარე სწორედ ამ პროექტის შინაარსიდან. ვფიქრობ, მსგავსი ტიპის პრობლემას არ უნდა წავაწყდეთ. თბილისის მერიის მხრიდან გალა კონცერტის დასაფინანსებლად 235 ათასი ლარი გამოიყოფა, – განაცხადა მაქაცარიამ.

მისივე თქმით, საახალწლო ღონისძიებების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია საკრებულოს წარუდგინეს.

ღონისძიებები 25 დეკემბერს, ვარდების მოედანზე საახალწლო ქალაქის გახსნით დაიწყება და 7 იანვარს „ალილოთი“ დასრულდება.

თბილისის მერიის ინფორმაციით, წელს სულ საშობაო-საახალწლო ღონისძიებებისთვის დაახლოებით 1,5 მილიონი ლარი დაიხარჯება. (ინტერპრესნიუსი)

## მონსერატ კაბალიეს 6-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს



ესპანელ საოპერო მომღერალს მონსერატ კაბალიეს ექვსთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ესპანური გამოცემა **ABC**-ის ინფორმაციით, 82 წლის მომღერალი, რომელიც საბუთების მიხედვით ანდორაში ცხოვრობს, ესპანეთის საგადასახადო ორგანოებს ჰონორარების გადასახადებს უმალავდა.

ბარსელონის სასამართლოს 15 დეკემბრის სხდომაზე 82 წლის მომღერალს, ასევე, 225 ათასი ევროს ჯარიმის გადახდა დააკისრეს. თავად მომღერალი, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, სასამართლოს სხდომას არ ესწრებოდა.

სახლიდან ვიდეოკონფერენციის მეშვეობით მან განცხადება გააკეთა, რომელშიც საკუთარი დანაშაული აღიარა. კაბალიეს წინააღმდეგ გამოძიება 2014 წელს დაიწყო. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ კაბალიე კონცერტების კონტრაქტებს ანდორის კომპანიებით აფორმებდა, თუმცა რეალურად ბარსელონაში ცხოვრობდა. 2014 წლის დეკემბერში მან პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა, რათა დაპატიმრება თავიდან აეცილებინა. მონსერატ კაბალიე მსოფლიოში ცნობილი სოპრანოა, რომელიც ბელკანტოს ტექნიკის მეშვეობით გახდა პოპულარული. ის 80-ზე მეტ ოპერაში მონაწილეობდა. (kvira.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**ვინ ულაგებს თბილისის მერ დავით ნარმანიას სახლში წასასვლელად ჩემოდანს? რა ნაღმებია ჩადებული 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში?**

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრი გივი კუბლაშვილი ესაუბრა:**

– თბილისის მერს, დავით ნარმანიას, ჩემოდანს ულაგებენ და სახლში გასამგზავრებლად ამზადებენ. ამ ყველაფერზე ზრუნავს ქალაქის ვიცე-მერი, ბატონი ლაშა აბაშიძე და ამას ჰგონია, რომ მშრალი ამოვა წყლიდან.

**— აბაშიძე როგორ ზრუნავს, რას აკეთებს სამაგისოს?**

– ის კორექტირებული ბიუჯეტი, რომელიც თბილისის მერიამ საკრებულოში წარადგინა, არის იმის გარანტი, რომ 2016 წელს ბატონი დავითი გაემგზავრება სახლში. 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში ჩადებულია კონკრეტული ნაღმები.

**— რას გულისხმობთ ამ ნაღმებში?**

– ბიუჯეტის პროექტის პირველ ვარიანტში, ყველას კარგად გვახსოვს რაც იყო. პროექტის თანახმად, საუბარი იყო გამგეობების, გარკვეულწილად საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებისთვის ხელფასის ზრდაზე. დღეს დაკორექტირებულ ვარიანტში ვხედავთ, რომ ბიუჯეტი იზრდება 5 მილიონით სახელფასო მიმართულებით. ეს გამოიწვია იმან, რომ მანამდე სსიპ-ები არ იყო პირდაპირ ხელფასებზე გაშვებული. მანამდე სსიპ-ებს მერიის ბიუჯეტიდან ეძლეოდათ ხელფასი, ახლა კი ცალკე სახელფასო პროექტები მისცეს სსიპ-ებს.

იზრდება თანამშრომელთა რაოდენობაც მერიაში – 1 875-ით. მერიაში, 2015 წელს, შტატიანი თანამშრომელი იყო 3 919, ხოლო, 2016 წელს, ჩვენ გვეყოლება, მერიის 5 794 თანამშრომელი. მოკლედ გეტყვით, რატომ იქნება ნარმანიასთვის 2016 წელი მომაკვდინებელი – რიგი მიმართულებებით მცირდება ბიუჯეტი.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც მიმდინარე წელს თავს დაატყდა ქალაქს, ეს იყო დასუფთავების მიმართულებით. სავსე იყო ნაგვის ურნები გასატანი ნაგვით, ნაკლები ინტენსივობით დადიოდნენ ნაგვის მანქანები და არ სუფთავდებოდა ქალაქი. ახლა ვნახოთ, რა ხდება 2016 წლის ბიუჯეტში – ბიუჯეტი მცირდება 2 მილიონ 900 ათასით. თუკი მეტი დაფინანსების ფარგლებში თუ ეს ვერ მოახერხეს, ამდენივეთი ნაკლები ბიუჯეტის ფარგლებში ეს როგორ უნდა მოახერხონ, არ ვიცი.

სამაგიეროდ, თანხა იზრდება საზოგადოებრივი — საბაგირო ტრანსპორტისთვის. ამისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 7 მილიონი. ალბათ, ადვილი მისახვედრია, რატომ დანიშნეს ბატონი კუბლაშვილი ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის უფროსად. დანიშნეს იმისთვის, რომ მერე ამ ადამიანმა შეასრულოს ბრძენი ბატონი ბიძინას დავალებები პანორამა თბილისთან დაკავშირებით. ეს 7 მილიონი, სწორედაც რომ პანორამისთვისაა გამიზნული და პანორამის საბაგიროებს უნდა მოხმარდეს.

ასევე, სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარება მცირდება და 1 მილიონ 370 ლარის ნაცვლად, 1 მილიონ 300 ათასი იქნება. სამაგიეროდ, შიდა აუდიტის ტრენინგები, თავისი მივლინებებით დაგვიჯდება 230 ათასი ლარით.

უფასო სასადილოებისთვის გამოყოფილი თანხებიც მცირდება ზოგიერთ რაიონში. მცირდება ნაძალადევის რაიონში – 114 ათას 200 ლარით, ვაკეში – 40 ათასით, სამგორში 113 ათასით, მთაწმინდაზე 34 ათასით – რატომ, ეს ხალხი გაქრა? იქ აღარ ცხოვრობს?!

ასევე, სხვადასხვა რაიონში, სხვადასხვა თანხებით მცირდება ომის ვეტერანების დახმარებები. ამავდროულად მცირდება ბინათმესაკუთრეებისთვის თანხები. რატომ? პრობლემები აღარ აქვთ კორპუსებს? 7 მილიონ 810 ათასით მცირდება გზების მოვლა-პატრონობის ხარჯებიც.

სამაგიეროდ, ნაძალადევის გამგეობაში, ხელფასების ოდენობა იზრდება 323 ათასი ლარით, ვაკის გამგეობას – 313 ათასით. 251 ათასით – სამგორის გამგეობას. სოციალური მიმართულებით ამცირებენ ბიუჯეტს და ხელფასებს ზრდიან.

სოციალური დახმარებები, როგორიცაა მედიკამენტებით დახმარებები, ოპერაციები და ა.შ. 15 მილიონის ნაცვლად, დაფინანსდება 7 მილიონით. სამაგიეროდ, ხომ გახსოვთ, ჩვენი ორგანიზაციის დამფუძნებელი რომ საუბრობდა კუბოების ამბებზე – 400 ათასი ლარი, მომავალი წლის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული კუბოებისთვის. დავიკრიფოთ ბარემ მკერდზე ხელები და ეგაა...

ამ ფონზე, 1 მილიონ 313 ათასით იზრდება მერიის ადმინისტრაციის ხელფასები – რაში? რით დაიმსახურებს ხელფასების ზრდა, იმით, რომ დანგრეული ქალაქი გვაქვს სახეზე?

სხვათა შორის, ქალბატონი რიმა ბერაძე რომ ამბობდა, მომავალი წლის ბიუჯეტში პრემიები არ იქნებაო, ძალიან კარგად არის ასახული ბიუჯეტის პროექტში – პრემიებიც იქნება.

მუნიციპალური ტრანსპორტის მიმართულებით თუ ვიმსჯელებთ, ამ მიმართულებით საერთოდ არაფერი არ იცვლება და ისევ ამ ძველი ტრანსპორტით მოუწევთ მოძრაობა თბილისელებს.

ასევე, შემცირებულია თანხა მიწისქვეშა გადასასვლელების მოსავლელად. გაუგებარია რატომ? ალბათ, არც არავინ აგვიხსნის, იმიტომ, რომ დავით ნარმანია მიჩვეულია პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას – მე რა შუაში ვარო და კომენტარსაც კი არ აკეთებს. იმიტომ კი არ ამბობს უარს კომენტარზე, რომ მართლა არაფერ შუაში არაა, არამედ იმიტომ, რომ მართლა არ იცის, ქალაქის პრობლემების აზრზე არაა. დღეს თბილისის მერიას არ განკარგავს დავით ნარმანია. თბილისს განკარგავს ვიცე-მერი ლაშა აბაშიძე.

დააკვირდით, თუ პოზიტიური ინფორმაცია უნდა გაჟღერდეს, ასეთ შემთხვევაში, ლაშა აბაშიძე წინა პლანზეა წამოწეული. ეს ხდება ბაღების, გზებისა და ა.შ. გახსნებზე. მაქსიმალურად ცდილობენ, ლაშა აბაშიძე, მაქსიმალურად კაი ტიპი გამოიყვანონ, ხოლო ნარმანიას პერსონაზე ფეხებს იწმენდენ.

**— ვინ ლობირებს ლაშა აბაშიძეს?**

– რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, უშიშროება, ყველა დეტალს ათანხმებს ლაშა აბაშიძესთან. აბაშიძე დადის თათბირებზე მაღალ ეშელონებში. ნურავის ნუ ეგონება, რომ ნარმანიაა ქალაქის მერი. მთელი „ქოცელიტა“ მფარველობს ამ კაცს. მომავალი წლიდან ნარმანიას ლაშა აბაშიძე ჩაანაცვლებს და ერთი წელი, უბრალოდ, მერის პოსტს შეინარჩუნებს. ამის მერე ვერც ვერაფერს მოსთხოვ აბაშიძეს – იტყვის, მე რა უნდა გამეკეთებინა, მანამდე ნარმანია იყო მერიო.

ასევე, ჩვენი ინფორმაციით, ცნობილი ხდება, რომ კულუარებში საუბარი მიდის იმაზე, რომ 2018 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის ირაკლი ღარიბაშვილი მოამზადონ. მომავალ პრემიერად კახი კალაძეს მოიაზრებენ. ამათ ჰგონიათ, სულ ღიღინღიღინით მივლენ არჩევნებამდე, მაგრამ ნურას უკაცრავად!

# „მომავალი წლიდან ნარმანიას ლაშა აბაშიძე ჩაანაცვლებს“

**მერიის თანამშრომელთა რაოდენობა 3 919-დან 5 794-მდე იზრდება**



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ეკა ზღულაძე ბორისპოლის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე 4 მილიონი დოლარის გატანისას დააკავეს



უკრაინის შს ყოფილი მინისტრის ვიტალი ზახარჩენკოს ინფორმაციით, შს მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძე დააკავეს. შემთხვევა ორი კვირის წინ ბორისპოლის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე მოხდა. ზღულაძე ფულით სავსე ჩემოდნით ხელში დააკავეს, სადაც 4 მილიონი დოლარი იყო.

ზღულაძე საფრანგეთში მიემგზავრებოდა და განაცხადა, რომ ეს მისი პირადი საკუთრებაა. 4 საათის შემდეგ, მინისტრ ავაკოვის ჩარევის შედეგად, სამართალდამცავებმა ზღულაძე გაუშვეს.

ზახარჩენკოს სიტყვებით, **СБУ**-ს უფროსმა ვასილი გრიცაკმა ბრძანება გასცა, დაედგინათ ამ ფულის წარმომავლობა, რის შედეგადაც უკრაინის კონტრდაზვერვის შეფს მოახსენეს, რომ 10 მილიონი ამერიკული დოლარი განკუთვნილი იყო სამართალდამცავი ორგანოების რეფორმებისთვის, თუმცა შსს-ს ხელმძღვანელებმა თანხის ნაწილი მიითვისეს. (რეპორტიორი)

## ისლამური სახელმწიფოები ახალ სამხედრო კოალიციას ქმნიან



საუდის არაბეთის ხელისუფლების განცხადებით, ისლამური სახელმწიფოები ახალ ანტიტერორისტულ სამხედრო კოალიციას ქმნიან. ამის შესახებ ტელეკომპანია „ალ-არაბია“ იტყობინება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ 34 ისლამური სახელმწიფო არაბეთის გაერთიანებული საამიროების მეთაურობით, ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით ახალ სამხედრო კავშირს ქმნიან, რომლის ოპერატიული შტაბი საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში იქნება.

ცნობილია, რომ კოალიციაში, არაბეთის გაერთიანებული საამიროების გარდა, შედიან იორდანია, ეგვიპტე, თურქეთი, ტუნისი, მალაიზია ყატარი, პაკისტანი. ასევე, პალესტინა (როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო), სომალი, ნიგერია, მაროკო, იემენი და ა.შ. დასახელებულ კოალიციაში, გარკვეული მიზეზების გამო არ იქნება ირანი და სირია.

კონკრეტულად რა სტრატეგიით აპირებენ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, განცხადებაში დაკონკრეტებული არ არის.

დოკუმენტში საუბარია, რომ აუცილებელია, მუსლიმანი ერების დაცვა იმ საშინელებებისგან, რომელსაც ტერორიზმი და ტერორისტული ორგანიზაციები ჰქვია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## საბურთალოს სასაფლაოზე სროლის შედეგად 2 ადამიანი დაიჭრა



თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე სროლის შედეგად ორი ადამიანი დაჭრეს. გავრცელებული ინფორმაციით, ნიღბიანმა პირებმა ცეცხლი ორ ახალგაზრდა მამაკაცს გაუხსნეს. თავდამსხმელებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოასწრეს.

სროლის შედეგად დაჭრილი ახალგაზრდები სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმების განცხადებით, დაჭრილთა მდგომარეობა სტაბილურია.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით აღიძრა.

– გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს და 236-ე მუხლით, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას ეხება, – აცხადებენ შსს-ში.

საბურთალოზე კიდევ ერთი დანაშაული მოხდა. კერძოდ, ვაჟა-ფშაველას გამზირზე ქალმა მამაკაცი დანით მოკლა. (kvira.ge; interpressnews.ge)

## იმოქმედებს თუ არა შეღავათები კომპანიაზე, რომელიც მთაში დარეგისტრირდება და საქმიანობას ბარში გააგრძელებს?






გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


*პარლამენტმა საქართველოს მასშტაბით საბოლოოდ განისაზღვრა 1600 სოფელი თუ დაბა, რომელიც მაღალმთიანი დასახლების სტატუსსა და შესაბამისად, შეღავათებსაც მიიღებს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გია ჟორჟოლიანის თქმით, ახალ საწარმოებს, რომლებიც მთაში იქნება დაფუძნებული და იქ დაიწყებენ ფუნქციონირებას, მიეცემათ საგადასახადო შეღავათები წარმოების სფეროში საქმიანობისთვის. კანონპროექტის მიხედვით, მაღალმთიან დასახლებად ითვლება ადგილი, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით. თუმცა კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე განლაგებულ დასახლებებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და გურიის დასახლებებში მცირდება 1000 მეტრამდე (გამონაკლის შემთხვევაში — 800 მეტრამდე), ხოლო ზღვის დონიდან შესაბამისი სიმაღლის მიუხედავად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭება ხევში, მთიულეთში, გუდამაყრის ხეობაში, ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში, ზემო სვანეთში, ქვემო სვანეთში, ლეჩხუმსა და რაჭაში მდებარე დასახლებებს.*

*კონკრეტულად რა შეღავათები დაწესდება ახლად გახსნილი საწარმოებისთვის და საჯარო სამსახურებში დასაქმებულთათვის? მაგალითად, პენსიონერს, რომელიც ყოველთვიურად იღებს 160 ლარს, ასევე, დაერიცხება ამ თანხის 20 პროცენტი დანამატის სახით (ჯამში 192 ლარი). ყოველთვიური დანამატები (პენსიის ორმაგი ოდენობით) დაუწესდებათ სამედიცინო სამსახურების თანამშრომლებს, განათლების მუშაკებს და ასე შემდეგ. აბონენტების (საყოფაცხოვრებო მომხმარებლები) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტს (არა უმეტეს 100 კვტ.სთ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურისა) იხდის სახელმწიფო. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებული თითოეული ბავშვისთვის, რომლის მშობლები არიან მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები, გაიცემა 100 ლარი. მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირები სარგებლობენ საშემოსავლო და ქონების გადასახადებში შეღავათებით. პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს „მაღალმთიანი დასახლების საწარმოს“ სტატუსი, განსაზღვრული ვადით და წესით თავისუფლდება გადასახადებისგან.*

აქ ჩნდება ასეთი შეკითხვა: მაგალითად, ვინმეს გაუჩნდა აზრი, თავისი საწარმო დაარეგისტრიროს მთაში, ხოლო ამუშაოს ბარში და მიიღოს შეღავათები, ანუ განთავისუფლდეს საშემოსავლო და ქონების გადასახადებისგან. შეიძლება ზოგს ასეთი რამ უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ამ აზრს ნამდვილად აქვს არსებობის უფლება. რა ხდება ამ კუთხით კანონში? აქ კანონი გვეუბნება: „პირს, „მაღალმთიანი დასახლების საწარმოს“ სტატუსი არ ენიჭება ან ეს სტატუსი უუქმდება თუ ის ახორციელებს: ლიცენზირებას, ნებართვას დაქვემდებარებულ საქმიანობას, მომსახურების გაწევას, გარდა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მომსახურებისა – საქონლით ვაჭრობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება შესყიდული საქონლის გადამუშავება და მიწოდება“.

როგორც ხედავთ, განმარტება ბუნდოვანია – მაგალითად, რას ნიშნავს ლიცენზირებას და ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობა? შესაძლებელია თუ არა, მთაში დარეგისტრირებულმა საწარმომ იმუშაოს ბარში? როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ზაქარია ქუცნაშვილი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, მთაში დარეგისტრირება და ბარში მუშაობა არ გამოვა, რადგან, კანონის მიხედვით, მთის საწარმოდ ჩაითვლება კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არა მხოლოდ რეგისტრირებულია მთაში, არამედ სასაქონლო მომსახურებაც უნდა გასწიოს ადგილზე:

– რაც შეეხება ლიცენზირებასა და ნებართვას დაქვემდებარებულ საქმიანობას, ასეთი გახლავთ რამდენიმე ათეული სფერო. მაგალითად, ხე-ტყის მოპოვება, მადნეულის მოპოვება, ძვირფასი ქვების მოპოვება და ასე შემდეგ. თუ შენ ხე-ტყის დამზადებას დაიწყებ, ეს არის ლიცენზირებული და საწარმოს ამ კუთხით ვერ გახსნი. აქ საჭიროა, რომ მოპოვებული ნედლეული გადაამუშაო ადგილზე და აქციო, მაგალითად, ავეჯად. თუ მადნეულს ან ძვირფას ქვებს მოიპოვებ, ისიც უნდა გადაამუშაო ადგილზე და მაგალითად, აქციო სამკაულებად. მხოლოდ ხე-ტყის მოპოვება და მთიდან გამოტანა არ კმარა, ამის გამო საწარმო შეიძლება დარეგისტრირდეს, მაგრამ შეღავათებს ვერ მიიღებს. არსებობს მოსაპირკეთებელი მასალების მოპოვება, აქვთ ლიცენზიები, მაგრამ თუ ადგილზე არ შეიქმნება სამუშაო ადგილები და ეს მასალები საბოლოო სახეს არ მიიღებს იქვე, მაშინ არ იქნება შეღავათები.

**— მაგალითად, „ალია ჰოლდინგი“ დავარეგისტრიერეთ მთაში და გაზეთები გამოვეცით თბილისში, ამ შემთხვევაში ვიბეგრებით?**

– თუ მთავრობის მიერ გამოცემული განკარგულების პირობებში თავსდებით, თუ თქვენ დარეგისტრირდებით მთაში და საქონელს, ანუ გაზეთს, აწარმოებთ ადგილზე, რა თქმა უნდა, გადასახადებისგან განთავისუფლდებით. გარდა ამისა, ვინაიდან, საგამომცემლო საქმიანობა არ ექვემდებარება ლიცენზირებას, თავისუფლად შეგიძლიათ, გადახვიდეთ მთაში. გამოეცით გაზეთი და შემდეგ გაყიდეთ სადაც გინდათ, გნებავთ მთელი საქართველოს მასშტაბით.

**მთის კანონის თანახმად, ყველა საკითხი რეგულირდება მთავრობის დადგენილებებით, რომელსაც განიხილავს მთის ეროვნული საბჭო. ამ საბჭოს შემადგენლობაში შედიან აღმასრულებელი ხელისუფლებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ პრემიერ-მინისტრი და მისი საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.**

## „ალია“ ელისაშვილს: „გაქვს თუ არა „მესიჯების“ ასლები? პროკურატურის განცხადების შემდეგ უცხადებ თუ არა უნდობლობას და გადადიხარ პრესით მათ მხილებაზე?“






გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


რაც დრო გადის, ელისაშვილ-ბესელია-კობახიძის საქმე, რომელიც შეწყალების კომისიაში დატრიალებულ სკანდალს უკავშირდება, კურიოზულ სახეს იღებს. 15 დეკემბერს მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, ალეკო ელისაშვილის მიერ პროკურატურაში მოტანილ მობილურ ტელეფონში იმ მაღალჩინოსნების მესიჯები არ აღმოჩნდა, რომლებსაც ის ასახელებსო: ***„გამოძიებას წარედგინა ის მობილური ტელეფონი, რომელშიც, მისი განმარტებით, უნდა ყოფილიყო ცალკეული მაღალჩინოსნების მიერ გამოგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები. ელისაშვილის თანდასწრებით მოხდა ამ მობილური ტელეფონის დათვალიერება და იქ არ აღმოჩნდა მის მიერ დასახელებული მაღალჩინოსნების მიერ გამოგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები“.***

ეს განცხადება პროკურორმა კოკა კაციტაძემ გააკეთა და იქვე დასძინა, ელისაშვილის თანხმობით მობილურ ტელეფონს ექსპერტიზა ჩაუტარდებაო.

შეგახსენებთ, აქ საუბარია ე.წ. კოკაინის საქმეზე, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 წლის წინათ გახსნა. ოფიციალური ინფორმაციით, 2010 წლის 2 ივნისს ქუთაისსა და თბილისში დააკავეს საერთაშორისო ნარკოკარტელის 5 წევრი. მათ ესპანეთში მცხოვრები ნუგზარ ბოჭორიშვილი პანამიდან, პერუდან და კოლუმბიიდან უგზავნიდათ ჯართს, რომელშიც კოკაინის დიდი პარტიები იყო გადამალული. დაკავებულებს 30-30-წლიანი პატიმრობა მიესაჯათ, ნუგზარ ბოჭორიშვილს კი განაჩენი დაუსწრებლად წარუდგინეს და უვადო პატიმრობა მიუსაჯეს. ელისაშვილი ამბობს, რომ დამნაშავეებს მაღალჩინოსნები ლობირებდნენ და ფულის სანაცვლოდ მათ შეწყალებას ითხოვდნენ. მიაქციეთ ყურადღება ერთ რამეს, პროკურორი კაციტაძე ამბობს, მობილური ტელეფონის დათვალიერება ელისაშვილის თანდასწრებით მოხდა და იქ მაღალჩინოსნების მესიჯები არ აღმოჩნდაო. თავად ელისაშვილის თქმით, მან ტელეფონი გამოძიებას 11 დეკემბერს ჩააბარა. გამოდის, ტელეფონში მესიჯები 11-დან 15 დეკემბრამდე წაიშალა და პატრონი შემდეგ დაიბარეს დათვალიერებაზე. კი, მაგრამ თუ ელისაშვილი იმდენად არიფია, რომ გამოძიებას ასე იოლად ჩაუგდო ხელში ტელეფონი და მაშინვე არ მოითხოვა დათვალიერება, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, ასევე იოლად გააბითურებენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ელისაშვილს ამ მესიჯების ასლები მაინც უნდა გაეკეთებინა. პროკურატურა იმასაც ამბობს, მისი თანხმობით ტელეფონს ექსპერტიზა ჩაუტარდებაო. თუ ვიღაც დაინტერესებულმა პირმა იმდენი მოახერხა, რომ პროკურატურაში შენახულ ტელეფონში მესიჯები წაშალა, მაშინ იმასაც შეძლებს, ექსპერტიზის დასკვნა გააყალბოს. ამ შემთხვევაში არსებობს კიდევ ერთი გზა – მობილური ოპერატორი და მისი ანძა. როდესაც გამოძიებას სჭირდება, სწორედ იქიდან იღებს ხოლმე მონაცემებს. თუმცა, ვისაც პროკურატურის სეიფში შეღწევა შეუძლია, ის მობილურ ოპერატორსაც „მოაყომარებს“. რა რჩება ბოლოს ელისაშვილს, თუკი, სახელმწიფო მანქანა მუშაობს მის წინააღმდეგ? ერთადერთ საიმედო საყრდენად რჩება გადანახული ასლები, თუკი ასეთი რამ ბუნებაში არსებობს. ელისაშვილს ეჭვები ჯერ კიდევ მაშინ უნდა გასჩენოდა, როცა მთავარი პროკურორის მოადგილემ, გიორგი გოგაძემ უარყო, ჩვენ ამ თემაზე არ გვისაუბრია, შეხვედრები კი გვქონდა, მაგრამ სულ სხვა თემაზე, ანუ პირად საკითხებზე იყო მოსულიო. მაგალითად, მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, ნათია სუხიაშვილი ადასტურებს, რომ შეწყალების კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს, ალეკო ელისაშვილსა და მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძეს შორის შეხვედრა შედგა, რომელსაც ორგანიზება თავად გაუკეთა: „პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება, რომლის ფარგლებშიც დავიკითხე მოწმის სახით. მოვყევი ის, რაც იყო რეალურად, ალეკო ელისაშვილი დამიკავშირდა და მთხოვა, შემეხვედრებინა მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძესთან, რომელთანაც ჰქონდა თხოვნა პირად საკითხზე. ის აპირებდა გოგაძისთვის ეთხოვა, რომ პროკურატურა მის ერთ-ერთ ახლობელს, რომელიც იყო დაზარალებული, თანხის დაბრუნებაში დახმარებოდა. მე, რა თქმა უნდა, ბატონი გიორგი ჩავაყენე საქმის კურსში და მისი თანხმობის შემდეგ, ორგანიზება გავუკეთე აღნიშნულ შეხვედრას. პირადად მე დავუშვი ალეკო ელისაშვილზე ელექტრონული საშვი, დავხვდი პირველ სართულზე, ის იყო მარტო. ავიყვანე გიორგი გოგაძის კაბინეტში, სადაც დაგვხვდნენ ბატონი გიორგი, ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორი ნიკოლოზ სანიკიძე და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ირაკლი დონდოლაძე“.

მესიჯები თუ წაშლილია, ექსპერტიზა რას დაადგენს, არავინ იცის. „ბრალმდებელს“ მხოლოდ ერთი საიმედო გზა რჩება – როგორც თვითონ თქვა ამ დღეებში, თუ პროკურატურამაც რამე „გამიჩალიჩა“, მედიის საშუალებით ყველაფერს გამოვფენო. „ალია“ პროკურატურის განცხადების შემდეგ ცდილობდა, ელისაშვილს დაკავშირებოდა და ზემონახსენები შეკითხვები დაესვა, მაგრამ მას ტელეფონი გამორთული ჰქონდა, ამიტომ ტექსტური შეტყობინებები გავუგზავნეთ: „გაქვს თუ არა „მესიჯების“ ასლები? პროკურატურის განცხადების შემდეგ უცხადებ თუ არა უნდობლობას და გადადიხარ პრესით მათ მხილებაზე?“.

*თემის გაგრძელება მე-14 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ნოემბერში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა 18,3 პროცენტით შემცირდა



წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნოემბერში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა 18,3 პროცენტით შემცირდა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ნოემბერში ფულადი გზავნილების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, 2015 წლის ნოემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 85,2 მილიონი აშშ დოლარი, ანუ 204,6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2014 წლის ნოემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე, 18.3 პროცენტით (19,1 მილიონი აშშ დოლარით) ნაკლებია.

სებ-ის ინფორმაციით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 91,7 პროცენტი იმ 13 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ ნოემბერში 1 მილიონი აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 13 ქვეყანაზე გასული წლის ნოემბერში მთელი ფულადი გზავნილების 92,2 პროცენტი მოდიოდა.

იმ ქვეყნების ხუთეული, საიდანაც საქართველოში 2015 წლის ნოემბერში ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი შემოვიდა, ასე გამოიყურება: რუსეთი (33,4 მილიონი აშშ დოლარი), საბერძნეთი (8,7 მილიონი აშშ დოლარი), იტალია (8,6 მილიონი აშშ დოლარი), აშშ (8,2 მილიონი აშშ დოლარი), თურქეთი (5,0 მილიონი აშშ დოლარი).

სებ-ის ინფორმაციით, 2015 წლის ნოემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 14,7 მილიონი აშშ დოლარი (35,4 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 15,7 მილიონი აშშ დოლარისა (28,0 მილიონი ლარისა) გასული წლის ნოემბერში. (ინტერპრესნიუსი)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# რას აპირებენ ადვოკატები თუკი ლევან მურუსიძეს სააპელაციო სასამართლოში აირჩევენ?



**ზაზა ხატიაშვილი: „ახლა მურუსიძე რომ დანიშნონ სააპელაციოს მოსამართლედ, ეს დაახლოებით რა არის, იცით? კახი კახიშვილი რომ მოხსნან და ხათუნა კალმახელიძე დანიშნონ სასჯელაღსრულების მინისტრად, ეს ხომ არანორმალური იქნება, არა?! თუმცა, მე ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილისგან არც ეს გამიკვირდება“**

იუსტიციის საბჭო მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევას განაგრძობს. გუშინ იუსტიციის საბჭომ, ამავე საბჭოს მოქმედი მდივნის, ლევან მურუსიძის საკითხი განიხილა. განხილვა „ადვოკატთა ასოციაციისა“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტის ფონზე მიმდინარეობდა. მურუსიძე საქართველოს მართლმსაჯულების სამარცხვინო სახეა, ის კოტე კუბლაშვილის ყურმოჭრილი მონა იყო და რასაც დაუკვეთდნენ, უსიტყვოდ ასრულებდა. მურუსიძემ მიუსაჯა 8 წელი სულხან მოლაშვილს, მანვე დააფარა ხელი სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემკვეთებს და ასევე, წლები ჩამოაკლო მის მკვლელობაში ბრალდებულებს. ეს ორივე სკანდალური საქმე სტრასბურგის სასამართლომ განიხილა და ორივე შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება გაამტყუნა, საქართველოს სახელმწიფოს სულხან მოლაშვილისა და სანდრო გირგვლიანის მამის, გურამ გირგვლიანის სასარგებლოდ ფულადი კომპენსაციის გადახდა დააკისრა. სანდრო გირგვლიანის საქმეში კი, სტრასბურგის სასამართლომ დამნაშავედ სასამართლო ხელისუფლებაც ცნო, ანუ ლევან მურუსიძე. ამ ადამიანის სინდისზეა ე.წ. დაუმორჩილებელი მოსამართლეების სასამართლო სისტემიდან მოკვეთა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, ნინო გვენეტაძე, მერაბ ტურავა, თამარ ლალიაშვილი და მურმან ისაევი მოსამართლე ლევან მურუსიძემ მხოლოდ იმიტომ გაამტყუნა და სამსახურიდან გაათავისუფლა, რომ მათ კონკრეტულ საქმეზე კოტე კუბლაშვილის დაკვეთა არ შეასრულეს და კანონის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება არ მიიღეს. მარტო ეს ფაქტები საკმარისია საიმისოდ, რომ ლევან მურუსიძისთანა ადამიანები არა თუ კვლავ მოსამართლეობაზე ფიქრობდნენ, დიდი ხნის მოკვეთილნი უნდა იყვნენ ამ სისტემიდან. თუმცა, ეს ნორმალურ ქვეყნებში ხდება, ჩვენ კი ძალიან შორს ვართ ნორმალური სახელმწიფოსგან, ჩვენ ხომ ბიძინა ივანიშვილის „ზოოპარკში“ ვცხოვრობთ.

დიახ, ამ ხელისუფლების ბრალია, რომ დღეს მურუსიძე ისე გათავხედდა, იუსტიციის საბჭოს მდივნის პოსტს რომ მიატოვებს, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობა ნებავს უვადოდ. თანაც, დიდი იმედი აქვს, რომ დანიშნავენ.

თუ მურუსიძე უვადოდ დანიშნეს მოსამართლედ, ეს ქართველი ხალხის სულში ჩაფურთხება იქნება, ეს იქნება „ქართული ოცნების“ სრული უნიათობის გამოხატულება და ამის მერე სხვა გზა აღარ დარჩება – ქართველი ხალხი ახლა უკვე „ქართულ ოცნებას“ უნდა გამოენთოს და მოიშოროს.

**ლევან მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნის შესაძლებლობაზე და ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი მოვლენების შესახებ, „ალიას“ „ადვოკატთა ასოციაციის“ პრეზიდენტი, ზაზა ხატიაშვილი ესაუბრება:**

**— ბატონო ზაზა, ხომ ვერ გვეტყვით, რა განწყობაა იუსტიციის საბჭოში ლევან მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნის თაობაზე? რას ამბობენ საბჭოს წევრები?**

– ლევან მურუსიძისა და სხვა მისნაირი მოსამართლეების წინააღმდეგ მთელი საქართველო უნდა გაერთიანდეს, ეს ხალხი, მთელი 9 წლის მანძილზე რომ გვატერორებდა, უსამართლო განაჩენები გამოჰქონდა, უდანაშაულო ხალხით ციხეები რომ გაავსო, ხალხს ქონებას რომ ართმევდა, უნდა მოშორდეს სასამართლო სისტემას. უნდა აეკრძალოთ სასამართლო სისტემაში მუშაობა. ჯერ ერთი, მათგან ბევრი დასაჭერია, სავარაუდოდ, და კონკრეტული მოსამართლეების სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ, „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ ყველაზე მეტს წერდა, მეც ბევრს ვლაპარაკობდი ამის შესახებ. შე დალოცვილო, კარგი, პასუხს არ სთხოვ, არ იჭერ ამ ხალხს, მაგრამ მოსამართლეობა მაინც აუკრძალე კანონის ძალით. ახლა მურუსიძე რომ დანიშნონ სააპელაციოს მოსამართლედ, ეს დაახლოებით რა არის, იცით? კახი კახიშვილი რომ მოხსნან და ხათუნა კალმახელიძე დანიშნონ სასჯელაღსრულების მინისტრად, ეგეთი ამბავია. ეს ხომ არანორმალური იქნება, არა?! თუმცა, მე ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილისგან არც ეს გამიკვირდება, მაგათ ეს ქვეყანა უფსკრულისკენ მიჰყავთ და ჯერ სად ხართ, წინ უარესები გველის.

**— ლევან მურუსიძე საკმაოდ იმედიანად არის, იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრები მხარს დამიჭერენო, აცხადებს.**

– კი, იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრები მხარს ნამდვილად დაუჭერენ, მაგრამ ეგ არ შველის მურუსიძეს. თუ იუსტიციის საბჭოს „ქართული ოცნების“ წევრებმა მხარი არ დაუჭირეს მურუსიძეს, ისე ვერ დაინიშნება მოსამართლედ. ახლა ნახეთ, როგორ არის საქმე. იუსტიციის საბჭოში 15 წევრია. ლევან მურუსიძე მოსამართლედ რომ დაინიშნოს, 10 ხმა სჭირდება. თავად მურუსიძე საკუთარ თავს ხმას ვერ მისცემს და დარჩა 14 წევრი. უკვე ვიცი, რომ მურუსიძეს ხმას არ მისცემენ იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე და ვახტანგ მჭედლიშვილი. დარჩა საბჭოს 12 წევრი და აქედან მურუსიძეს 10 ხმა სჭირდება. მას 8 მოსამართლე წევრი ნამდვილად მისცემს ხმას, მაგრამ კიდევ 2 ხმა დასჭირდება. „ქართული ოცნებიდან“ საბჭოში არიან ევა გოცირიძე, კახა სოფრომაძე და ვახტანგ თორდია. აი, ამ 3 წევრიდან თუ ორმა მხარი არ დაუჭირა მურუსიძეს, ის ჰაერში დარჩება, თუ ეს 2 ხმა მისცეს, 10 ხმა მოუგროვდება და უვადოდ დაინიშნება სააპელაციოს მოსამართლედ. მოკლედ, „ქართული ოცნებისა“ და იუსტიციის საბჭოში მისი 3 წევრის ხელშია მურუსიძის ბედი.

**— დავიჯეროთ, ისე გამოშტერდებიან იუსტიციის საბჭოს ის წევრები, რომლებიც „ქართული ოცნების“ წყალობით მოხვდნენ იქ, რომ მურუსიძეს „მაშველ რგოლად“ მოევლინონ და უვადოდ დანიშნონ მოსამართლედ?**

– მე არაფერი გამიკვირდება. სააპელაციო სასამართლოში ახლახან რომ 6 ძველი, „ნაციონალების“ დროს მოსამართლედ ნამუშევარი ადამიანი დაინიშნა, ეს გაიგო ვინმემ? აკი იმათაც 10 ხმა სჭირდებოდათ დასანიშნად და ფაქტია, ნაციონალი“ მოსამართლე წევრების გარდა, ვიღაცებმაც მისცეს მათ ხმა. ვინ იყო ეს 2 წევრი – ევა გოცირიძე, კახა სოფრომაძე თუ ვახტანგ თორდია, ეს არ ვიცი. იქნებ სამივემ ერთადაც მისცა ხმა, არც ეს გამიკვირდება. არადა ისეთი მოსამართლეები დანიშნეს, რომლებთანაც საზოგადოებას სამართლიანი კითხვები აქვს, მათი ძველი გადაწყვეტილებები ბევრ ეჭვს აჩენს, მაგრამ ამით არავინ დაინტერესებულა, გააქანეს და ექვსივე უვადოდ დანიშნეს სააპელაციოს მოსამართლედ.

**— აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად შესაძლებელია, რომ ლევენ მურუსიძესაც შეაწიონ ის 2 ხმა იუსტიციის საბჭოში „ქართული ოცნების“ წყალობით მოხვედრილმა წევრებმა.**

– შესაძლებელი კი არა, ძალიან რეალურია, რომ ეს მოხდეს. გული მისკდება, კაცო, ლევან მურუსიძეს მოსამართლის მანტიაში რომ წარმოვიდგენ. ეგ კაცი სასამართლოს შენობას ახლოს არ უნდა გააკარო, 100 მეტრის მანძილზე მიახლოება უნდა აუკრძალო. ამ დროს, სააპელაციოს მოსამართლეობას აპირებს და თანაც, უვადოდ. მოდი, ახლა კარტი გავხსნათ. დავუშვათ, მურუსიძე დაინიშნა მოსამართლედ „ქართული ოცნების“ წყალობით, რა გარიგებასთან შეიძლება გვქონდეს საქმე? „ქართულ ოცნებას“ მურუსიძე და ზოგადად, ყველაფრის მკადრებელი, ყველა სახელისუფლებო დაკვეთის შემსრულებელი მურუსიძეები ძალიან სჭირდება. მურუსიძეს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში აქვს შეტანილი განცხადება. სად საჩივრდება არჩევნების შედეგები საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილების შემდეგ? სააპელაციოში, არა? კანონით, სააპელაციოს გადაწყვეტილება კონკრეტული ხასიათის დანაშაულზე, მათ შორის, საარჩევნო დარღვევებზე, უზენაესში არ საჩივრდება და გამოდის, სააპელაციოა ბოლო ინსტანცია. მის გადაწყვეტილებას წყალი აღარ გაუვა. ჰოდა, ეყოლებათ იქ მურუსიძე და 2016 წელს „ქართული ოცნება“ რომ გააყალბებს საპარლამენტო არჩევნებს, ამ გაყალბებული შედეგების ნაწილი აუცილებლად მოხვდება სააპელაციო სასამართლოში, მერე ამ საქმეებიდან ყველაზე მნიშვნელოვანს დააწერენ ლევან მურუსიძეს. ახლა თავად წარმოიდგინეთ, თუ მურუსიძე „ქართული ოცნებისგან“ დავალებული იქნება, იუსტიციის საბჭოში მათი წარმომადგენლების წყალობით გახდება მოსამართლე, რა გადაწყვეტილებებს გამოიტანს. ცხადია, ყველას „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, როგორც ამას „ნაციონალების“ დროს აკეთებდა. აი, შესაძლოა, სწორედ ამგვარ გარიგებასთან გვქონდეს საქმე და თუ ამაზე წავიდა „ქართული ოცნება“, მაშინ ესენი ერთი დღე აღარ იქნებიან ხელისუფლებაში გასაჩერებლები.

**— დავუშვათ და დაინიშნა ლევან მურუსიძე მოსამართლედ. თქვენ რას იზამთ?**

– სახლში არ გავჩერდები, კაცო, აქციას აქციაზე მოვაწყობ, სადარბაზოებში ვივლი და ხალხს ისე გამოვიყვან ამ აქციებზე. იუსტიციის საბჭოს სხდომაზე მახსენა ლევან მურუსიძემ, – ზაზა ხატიაშვილს რა ეკითხება, ჩემგან რა უნდაო. 20 არასამთავრობო იყო იმ აქციაზე და მე გავეჩხირე თვალში. პირველმა მე ავტეხე ამბავი მურუსიძის მოსამართლედ შესაძლო დანიშვნაზე „კვირის ქრონიკაში“, ამის მერე გამოფხიზლდნენ ზოგიერთები. იცის მურუსიძემ, რომ არ გავჩერდები, ქვეყანას შევძრავ და იმიტომ მახსენა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს კაცი სამუდამოდ მოსამართლედ არ დაგვინიშნონ და ახლა „ქართულმა ოცნებამ“ თავისი ბინძური საქმეები არ „აპრავებინოს“. არასამთავრობოები და მედია ერთად უნდა დავდგეთ და ეს ჭირი როგორმე უნდა მოვიშოროთ თავიდან.

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...**

## თბილისი-რუსთავის მარშრუტზე მოძრავი ტაქსებისა და მიკროავტობუსების მძღოლები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ




თბილისი-რუსთავის მიმართულებით მოძრავი ტაქსებისა და მიკროავტობუსების მძღოლებს შორის ინციდენტი მოხდა.

როგორც რუსთავიდან ვარკეთილისა და ვაკის მიმართულებით მოძრავი ტაქსის მძღოლები აცხადებენ, მათ კომპანია „ინტერტრანსში“ დასაქმებულმა 40-მდე მძღოლმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, ტაქსის აზრები დაუმტვრია და თბილისი-რუსთავის მიმართულებით მუშაობა აუკრძალა.

აღნიშნულ ფაქტს არ უარყოფენ „ინტერტრანსის“ მიკროავტობუსების მძღოლები, რომელთა განმარტებითაც, მას შემდეგ, რაც ვაკისა და ვარკეთილის მიმართულებით ტაქსის კომპანიამ მგზავრთა გადაყვანა დაიწყო, ისინი დღიურ ნორმას ველარ ასრულებენ. აღნიშნულის გამო მიკროავტობუსების მძღოლები საპროტესტო აქციებით იმუქრებიან. თავის მხრივ, პოლიციას მიმართეს ვაკისა და ვარკეთილის მიმართულებით მოძრავი ტაქსების მძღოლებმა.

ინციდენტი ე.წ. „ვაკე ტაქსისა“ და „ვარკეთილი ტაქსის“ გაჩერებებზე მოხდა. (ინტერპრესნიუსი)

## „საქართველოს საპატრიარქოს ბიუჯეტი ბოლო ათი წლის განმავლობაში 300-ჯერ გაიზარდა“



საქართველოს საპატრიარქოს ბიუჯეტი ბოლო ათი წლის განმავლობაში 300-ჯერ გაიზარდა: ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიის ბიუჯეტი 10 წლის წინათ 91 ათასი ლარი იყო, ამჟამად კი 25 მილიონ ლარამდე აღწევს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საპატრიარქოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ აქვს, ვინაიდან კანონით არ აქვს უფლება, შეამოწმოს, როგორ იხარჯება საპატრიარქოში საბიუჯეტო სახსრები.

არასამთავრობო სექტორი ყურადღებას იმ გარემოებაზეც ამახვილებს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, სახელმწიფო ყოველკვარტალურად ამოწმებს მუსლიმანების, კათოლიკეებისა და სხვა კონფესიების ფინანსურ მდგომარეობას.

ამასთანავე, როგორც მესამე სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, სრულყოფილი ინფორმაცია არც მათ აქვთ: მხოლოდ წელს მათ ოფიციალურ მიმართვას 72 მუნიციპალიტეტიდან 40 გამოეხმაურა, თუმცა საერთო სურათის შესაქმნელად, ამბობენ, რომ ესეც საკმარისია. (accent.com.ge)

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...**

## ვინ ეჩხუბა ინგა გრიგოლიას — „აღარ გაბედო, სიტყვა სექსის თქმაო“



ინგა გრიგოლია სოციალურ ქსელში წერს იმის შესახებ, რომ ნანუკა ჟორჟოლიანის შოუს ანონსის გამო დედა ეჩხუბა.

– მე ვუმტკიცებ დედაჩემს, გოგოები პატარა ასაკში სექსის გამო თხოვდებიანმეთქი. ნანუკა ჟორჟოლიანის ანონსი გავიდა და ამას მოჰყვა ჩვენი კამათი და დედაჩემი მეჩხუბება, რით ვერ გაიზარდე, რა ჯანდაბა გჭირს, რაებს იგონებ, მე მამაშენს იმიტომ გავყევი, რომ ინსტიტუტიდან რიცხავდნენო. ეჭვი მაქვს, ჟორჟოლიანის გადაცემა რომ გავა, ხმას აღარ გამცემს. არადა, აი, რა სილამაზე იყო დედაჩემი. უსექსესი ტასო გუნია. შენი ბრალია ეს ჩვენი ჩხუბი, მათრია სასტიკად, აღარ გაბედო, სიტყვა სექსის თქმაო, – წერს ინგა „ფეისბუკზე“ და დედის ახალგაზრდობის ფოტოს აქვეყნებს.

(musicbox.ge)

## ვასაძე: ზნეობისა და ოჯახის საკითხებში დასავლეთი პერსონა ნონ გრატა უნდა იყოს




ეს განცხადება ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ ქართული არხის ეთერში, გადაცემა „სინერგიაში“ სტუმრობისას გააკეთა.

– შენ შეიძლება, რომ იმ სფეროში, რომელშიც ინჩიბინჩი არ გაგეგება, რაც იცოდი, ისიც დაგავიწყდა, მოდიოდე და მე მაძალებდე, მოგბაძო? გავიგე, ასფალტი რატომ უნდა გადმოვიღო შენგან. გავიგე, თვითმფრინავის თუ ბორმანქანის კეთების ტექნოლოგია რატომ უნდა გადმოვიღო, მაგრამ შეგიძლია, ამიხსნა (იგივეა, ახლა რომ აჭარული ხაჭაპურის კეთება მასწავლო), შენ, შე მამაძაღლო, რომ მოდიხარ და განათლების სამინისტროში ამ შენი ჭინკა არასამთავრობოებით მინერგავ რაღაც საგნებს – როგორ გავზარდო ბავშვები, რა კომპეტენცია გაგაჩნია? შენს თავს შეხედე რა, სარკეში ჩაიხედე. ამიტომ, ეს არის ის, რასაც მე ვეძახი სელექციურ ვესტერნიზაციას, ანუ გამორჩევით გადასავლელებას ჩვენსას. არის სფეროები, რასაც ტაბუ უნდა დავადოთ არა მხოლოდ საზოგადოებრივ, არამედ პოლიტიკურ დონეზეც და ვთქვათ, რომ – აგერ, ძმაო, ვაღიარებთ, რომ ამაში მაგრები ხართ და გვინდა, ვიყოთ თქვენი შეგირდები და ნურც ერთი დემაგოგი და ფლიდი ნუ გვეტყვის ჩვენ, რომ ასფალტს კარგად აგებთ იმიტომ, რომ ამდენ ოჯახებს ანგრევთ, პატარა ბალღები ხომ არ ვართ, არა? ერთი-ორი წიგნი ჩვენც ხომ წაგვიკითხავს, არა? მაგრამ არის სფეროები, რომლებშიც პერსონა ნონ გრატა უნდა იყოს დასავლეთი, პირველ რიგში, ყველაფერში, რაც შეეხება მორალს, ზნეობას, ოჯახის აღწერას. (ტაბულა)

# არც გიორგი მღებრიშვილს, არც არჩილ თალაკვაძეს, არც უფლება არ აქვს, საკუთარი ხუშტურები რიგითი

## საგზაო წესების რომელ დარღვევაზე რამდენი

**მიხეილ სახვაძე**
599 93-28-03



არავინ იფიქროს, რომ წესრიგისა და კანონების დამრღვევთა დასჯას ვეწინააღმდეგები – არავითარ შემთხვევაში, მაგრამ ყველა „პეროგაყრილ“ და ერთადგილგასიებულს, რომელიც ხარობს შინაგან საქმეთა სამინისტროს არაადამიანური ინიციატივებით, სიამოვნებით ვეტყვი, პირდაპირ და დაუფარავად, რომ თქვენთვის მთავარი საკუთარი ღაბაბი, ღიპი და ჯიპია (ბიზნესკლასის სედანიც), უახლესი თაობის, „კაკ“ მინიმუმ 2010 წლის „ვიპუსკი“ და რა ბედი ეწევა აბსოლუტურ უმრავლესობას, აი, ეს ფეხებზე გკიდიათ – ურცხვად უთითებთ, „მარშრუტკებით“ იარონო!

ყველაზე საშინელი მაინც ის არის, რომ ავტომობილისტებისთვის მოსალოდნელი შეზღუდვები მხოლოდ ჩინოვნიკებს კი არ ახარებთ, რიგითი მოქალაქეების მდიდარი ნაწილიც ტაშს უკრავს, რადგან სულ მალე ის ფენა, რომელიც წელებზე ფეხს იდგამს, დღე და ღამ შრომობს და ელემენტარული პირობებით ცდილობს ოჯახის უზრუნველყოფას, ავტომობილის შეძენას „შუსუსუს“ არაადამიანური აკრძალვების გამო, უბრალოდ, ველარ შეძლებს, რაც ღიპიან ჯიპიანებს (ბიზნესკლასის სედანიანებსაც) საცობებისგან დაიხსნის. ჰოდა, მეტი რა უნდათ, გაილაღებენ და იშხუილებენ გემოზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საშუალო ფენის მძღოლების (რომლებიც აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ და რომლებიც რატომღაც ავიწყდებათ ინიციატივების ავტორებს, რომ პოტენციური ამომრჩევლები არიან) გასამწარებლად მოგონილი კიდევ ერთი სიახლეა 100-ქულიანი დაჯარიმების სისტემა, რომელსაც, დამერწმუნეთ, ყველაზე კანონმორჩილი მძღოლიც კი ჰა, ჰა, ერთ თვეში ისე ამოწურავს, როგორც არაფერი.

ქვემოთ დეტალურადაა მოყვანილი, რომელ დარღვევაზე რამდენი ქულა მოგაკლდებათ, თუმცა, სანამ ამაზე გადახვალთ, გეტყვით, რატომ მგონია, რომ 100 ქულა თვალის დახამხამებაში შემოგეხარჯებათ – თბილისის ცენტრალურ უბნებს თუ არ ჩავთვლით, გარეუბნებში, მით უმეტეს, ქვეყნის სხვა ქალაქების პერიფერიებში, ღერძულა ხაზები ასფალტს, ფაქტობრივად, არ ამჩნევია. გარდა ამისა, რაც არ უნდა გვარწმუნოს დავით ნარმანიამ, ორმოები აღარ გვაქვს დედაქალაქშიო, ხომ ყველამ ვიცით, რომ გზის საფარი უამრავ ქუჩაზე კვლავაც განადგურებულია. ჰოდა, ამ დანჯღრეულ გზებზე რომ იმოძრავებთ, ორმოში მანქანის მილეწვის ნაცვლად ღერძულა ხაზს არ გადაკვეთთ? კი, ნამდვილად ასე იზამთ და აი, მანდ დაუშვებთ შეცდომას, რომელსაც ტოტალური თვალთვალისთვის მოგონილი „შენიღბული პატრული“ არ გაპატიებთ, გამორიცხულია. მოგაკლებთ კონკრეტულ ქულას ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ და მორჩა – დაემშვიდობეთ მართვის მოწმობას! გარდა ამისა, უამრავ ადგილას საგზაო ნიშანი ისეა დამალული, ვერც მათ შეამჩნევთ და შედეგი, დიახ, ისევ ტოტალური თვალთვალისთვის მოგონილი „შენიღბული პატრულის“ მიერ თქვენთვის ქულების მოკლება იქნება...

აი, ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროს მზაკვრული გეგმის ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც, ვიმეორებ, პირველ რიგში, დაბალ ფენებს დაარტყამს, რასაც რა შედეგიც მოჰყვება, „ქართული ოცნება“ მინიმუმ 2016 წლის არჩევნებზე 100 პროცენტით იწვნევს საკუთარ თავზე და ხახამშრალი დარჩება!..

დასაწყისში ვთქვი და ახლაც გავიმეორებ – ვინც კანონებს არ ემორჩილება, ის უნდა დაისაჯოს, მაგრამ ვინც საგზაო მოძრაობის წესებს გარეშე ფაქტორების, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არღვევს – ღერძულა ხაზი არ ჩანს, ამკრძალავი ნიშნები ფოთლებშია მიმალული და ასე შემდეგ, იტყვიან, რომ მაინც დასასჯელ-დასაჯარიმებელია, აი, ამის მთქმელს აშკარად სერიოზული გონებრივი პრობლემები აქვს და თავს მიხედოს, ურჩევნია!

როცა გაუმართავია ინფრასტრუქტურა, არაადამიანობაა, ჯოხი მხოლოდ საშუალო ფენაზე კი არა, თუ გნებავთ, ცისფერსისხლიანებზე გადატეხო!

და რადგან 3 წელზე მეტი გავიდა, ჩემო ბატონო, და „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისთვის ელემენტარული პირობების შექმნაც კი ვერ შეძლო, ქვეყანა წინ ვერაფრით წაიყვანა, არც გიორგი მღებრიშვილს, არც არჩილ თალაკვაძეს, არც ირაკლი ღარიბაშვილს და არც არავის მორალური უფლება არ აქვს, რაღაც ხუშტურები რიგითი მოქალაქეების ხარჯზე დაიკმაყოფილოს!!!







**რაც შეეხება დანარჩენს, აგერ, ისიამოვნებთ — ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა მიხედვით ქულათა შემცირების სისტემა ასეთია:**

– სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის – 20 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 30 ქულა;

– სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის – 30 ქულა;

– იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) დადგენილი წესით, ან მესაკუთრის ან სხვა მართლზომიერი მფლობელის მიერ სხვა პირისთვის ასეთი სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა – 15 ქულა;

– ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა – 10 ქულა;

– მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა – 15 ქულა;

– მოპედით ან მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა – 5 ქულა;

– სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს მართვის მოწმობა, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, ან სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა – 5 ქულა;

– იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის სამართავი მექანიზმი ან მისაბმელი მოწყობილობა, ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები, უკანასაგაბარიტო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს, ან მინის საწმენდი მექანიზმი წვიმის ან თოვლის დროს, ანდა დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტულობა, – 5 ქულა;

– იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც გამონაფრქვევში აქვს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ისეთი შემცველობა, რომელიც აჭარბებს დადგენილ ნორმას, – 15 ქულა;

– იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც თვითნებურად არის გადაკეთებული – 15 ქულა;

– სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს იმ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა, რომელი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებასაც მართავს, – 15 ქულა;

– იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის მინები დამუქებულია ან მათი შუქგამტარობა შეზღუდულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის დარღვევით – 5 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 10 ქულა, ხოლო მისი მესამედ და შემდეგ ყოველი მომდევნო ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 15 ქულა;
"

– სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 20 ქულა;

– სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ციმციმა სიგნალის ან/და ხმოვანი სიგნალის ან/და სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს დაყენება ან/და ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებებისთვის განსაზღვრული შეფერილობის გამოყენება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესის დარღვევით – 15 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა წლის განმავლობაში – 20 ქულა; აღნიშნული სპეციალური ხელსაწყოს არადანიშნულებით გამოყენება, ან ასეთი ხელსაწყოთი აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების შეუფერხებლად გატარების წესების დარღვევა – 10 ქულა;

– იმ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალი ან რომელიც ახორციელებს ესკორტს ან რომელსაც მიაცილებენ, – 15 ქულა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძრო-სამაშველო ან პოლიციის შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალი – 20 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 40 ქულა;

– სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისთვის (გარდა იმ პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება) ან იმ პირისთვის, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისთვის – 15 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანს-

# ირაკლი ღარიბაშვილს და არც არავის, მორალური მოქალაქეების გამწარების ხარჯზე დაიკმაყოფილოს!!!

## ქულა დააკლდება მართვის მოწმობას




**მოდით, ახლა შევაჯამოთ ყველაფერი და შესაბამისი დასკვნაც გამოვიტანოთ — „შუსუსუს“ მთავარი მიზანია, მძღოლების აბსოლუტური უმრავლესობა გაამწაროს, „პრავის“ გარეშე დატოვოს, რითიც ერთი, რომ მოძრაობა განიტვირთება და ამით მდიდარ ლიპიან-ჯიპიანებს (ბიზნესკლასის სედანიანებსაც) თავისუფლად შხუილის საშუალება მიეცემათ და მეორე — ბიუჯეტი ხალხის გაყვლეფის ახალი ხერხების მეშვეობით შეივსება.**

პორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 25 ქულა; მისი განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 30 ქულა;

– „ბე“ კატეგორიის ან „ა1“ ან „ბე1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე 18 წლამდე ასაკის პირის მიერ მგზავრთა გადაყვანა შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით (მათ შორის, ტაქსით) ან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე მძღოლად მუშაობა – 20 ლარი;

– სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნით, ან სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე დამაგრებული სახელმწიფო სანომრე ნიშნით – 10 ქულა;

– სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც არ არის რეგისტრირებული დადგენილი წესით, – 20 ქულა;

– სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სხვისი ან შენიღბული სახელმწიფო სანომრე ნიშნით – 40 ქულა;

– საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა – 15 ქულა; სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას – 25 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან საგზაო მოძრაობის შეფერხება – 35 ქულა;

– სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით – 10 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს ადგილობრივ საქალაქო, საქალაქთაშორისო ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილ საერთაშორისო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას – 20 ქულა;

– სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება – 25 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 40 ქულა;

– ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა – 5 ქულა; აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 10 ქულა; მძღოლის მიერ საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი, ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შუქსიგნალიზაციით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან გზაზე მოძრაობის წესების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის ან/და საჟაპანო ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა, ან მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, რაც საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას – 5 ქულა;

– სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რა დროსაც სრულად არის დაკავებული გზის სავალი ნაწილი, – 10 ქულა;

– გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა – 10 ქულა;

– სატრანსპორტო საშუალებაზე საცნობი ნიშნის დამაგრების წესის დარღვევით მოძრაობა – 5 ქულა; " მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული („დაუთმე გზა“, „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია“) ან ამკრძალავი („შესვლა აკრძალულია“, „მოძრაობა აკრძალულია“) ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისთვის დაბრკოლების შექმნა – 10 ქულა;

– შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა – 10 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 20 ქულა;

– შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა და მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა – 30 ქულა;

– ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა – 5 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რომელმაც გამოიწვია საცობის შექმნა, – 20 ქულა;

– ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა, – 20 ქულა;

– საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 25 ქულა; ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 30 ქულა;

– საგზაო მოძრაობის მონაწილის (გარდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მძღოლისა) მიერ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა ან/და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი სიგნალისადმი დაუმორჩილებლობა, აგრეთვე, საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის მოთხოვნათა უგულებელყოფა – 10 ქულა; აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 15 ქულა;

– საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებითა და კონვენციებით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა – 25 ქულა; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ან ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა, ან არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) სატრანსპორტო საშუალებით გზაზე მოძრაობა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 30 ქულა; საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვა-გადაყვანის „საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ“ ევროპის შეთანხმების წესების დარღვევით განხორციელება – 15 ქულა;

– გზაზე იმ სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომლის თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება 44 ტონას ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება ნებადართულ მაქსიმალურ მასას – 15 ქულა;

თუ გეყოთ ნერვები და ბოლომდე გაეცანით ამ ყველაფერს, ალბათ, უამრავი კითხვა გაგიჩნდებოდათ. მაგალითად, მძღოლი მხოლოდ ქულების კლებით „დასაჩუქრდება“ თუ ფულად ჯარიმასაც გადაიხდის? დიდი ალბათობით, ფულად ჯარიმაზე „ოცნებაახდენილები“ უარს არ იტყვიან და შესაბამისად, ორმაგად გაგვამწარებენ.

გარდა ამისა, სად წავიდა და რატომ არ სურს, გამოიყენოს გიორგი მღებრიშვილმა ვანო მერაბიშვილის მინისტრობისას პატრულისთვის გადაცემული კომპიუტერები, რომლებიც იძლეოდა საშუალებას, მძღოლი მართვის მოწმობის თან არქონის გამო არ დაჯარიმებულიყო?

საამისოდ ხომ თავის დროზე ივანე მერაბიშვილმა საკმაოდ დიდი ფულიც გაისროლა და გიორგი მღებრიშვილი აპირებს, ბიუჯეტიდან გამოყოფილი ეს თანხები წყალს გაატანოს? ჰო, რა ენაღვლება, რო?!

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ როგორც კი 100 ქულას ამოწურავთ, მართვის მოწმობა 2 თვით ჩამოგერთმევათ, შემდეგ კი თეორიული და პრაქტიკული გამოცდების ხელახლა ჩაბარება მოგიწევთ. ჩააბარებთ თუ არა პირველივე ცდაზე, ეს კიდევ საკითხავია, ანუ რამდენჯერაც ვერ ჩააბარებს მძღოლი თეორიას, იმდენჯერ გარკვეული თანხის გადახდა მოუწევს. რა შედეგი ექნება ამას? რიგითი მოქალაქე გაიწეწება, ბიუჯეტი შეივსება და დარჩება კრება მხიარული!..

ჰო, „ოცნებაახდენილთა“ „კრება იმხიარულებს“ და დუმს კიდეც მთელი საპარლამენტო უმრავლესობა, მაგრამ ამ ოპოზიციამ რატომ ჩაიგუბა პირში წყალი, რატომ ხმას არ იღებს?! ან არასამთავრობო ორგანიზაციები სად არიან, არ არის ეს თემა მათთვის საინტერესო, საკბილოს ვერ ხედავენ ვერაფერს?! არ აწუხებთ ოპოზიციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ასობით ათასი ადამიანის ბედი?!

**მოდით, ახლა შევაჯამოთ ყველაფერი და შესაბამისი დასკვნაც გამოვიტანოთ — „შუსუსუს“ მთავარი მიზანია, მძღოლების აბსოლუტური უმრავლესობა გაამწაროს, „პრავის“ გარეშე დატოვოს, რითიც ერთი, რომ მოძრაობა განიტვირთება და ამით მდიდარ ლიპიან-ჯიპიანებს (ბიზნესკლასის სედანიანებსაც) თავისუფლად შხუილის საშუალება მიეცემათ და მეორე — ბიუჯეტი ხალხის გაყვლეფის ახალი ხერხების მეშვეობით შეივსება.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ФСБ-ს თანამშრომლებს სოციალურ ქსელში ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე შესვლა ეკრძალებათ




რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ სამშაბათს პირველი მოსმენით მიიღო კანონში დამატება, რომლის მიხედვითაც **ФСБ**-ს თანამშრომლებს საზღვარგარეთ აქტივების ქონა და სოციალურ ქსელში „საზღვარგარეთელ აგენტებთან“ ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე კონტაქტი ეკრძალებათ.

დეპუტატებმა კანონში აღნიშნული აკრძალვების დამატება მსოფლიოში გართულებული სიტუაციისა და რუსეთში მოსალოდნელი არეულობების თავიდან აცილების მიზეზით ახსნეს. (ნიუპოსტი)

## უკრაინის შს მინისტრი სააკაშვილთან ინციდენტის შემდეგ მოხსნეს



უკრაინის რადაში დარეგისტრირდა პროექტი-გადაწყვეტილება №2846 „ავაკოვ ა.ბ-ს შს მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“, – ამის შესახებ უკრაინული მედია წერს.

უკრაინის რადაში შს მინისტრსა და ოდესის გუბერნატორს მიხეილ სააკაშვილს შორის ურთიერთობა დაიძაბა. როგორც მიხეილ სააკაშვილი აცხადებს:

– ავაკოვმა არა მხოლოდ უცენზურო ლექსიკა გამოიყენა ჩემს მიმართ, არამედ ყველას თანდასწრებით პირდაპირ დამემუქრა. ეს არის ადამიანი, რომელიც რეალურად არაფორმალურ შეიარაღებულ დაჯგუფებებს ხელმძღვანელობს...

ავაკოვის თქმით, სააკაშვილთან კამათისას მან ოდესის გუბერნატორს წყალი შეასხა მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ავაკოვის მიერ დასმულ შეკითხვაზე, რატომ ხვდება ოდესის გუბერნატორი რუს ოლიგარქებს, ისტერიკა დაიმართა.

სააკაშვილის განცხადებით, ავაკოვი თანამდებობას ბოროტად იყენებს და კორუფციაშია გარეული.

გარდა ამისა, სააკაშვილმა თქვა, რომ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა, არსენ იაცენიუკმა მას „გასტროლიორი“ უწოდა.

– მინდა ვუპასუხო იაცენიუკს, რომელმაც გასტროლიორი მიწოდა. მე აქედან არსად არ ვაპირებ წასვლას, მე მათ არ მივცემ უფლებას, გაქურდონ ჩემთვის მხურვალედ საყვარელი უკრაინა, – განაცხადა სააკაშვილმა.

რადას დეპუტატის სერგეი ლეშენკოს თქმით, არსენ ავაკოვმა სააკაშვილს სახეში წყალი შეასხა და მიაძახა, წაეთრიე ჩემი ქვეყნიდანო. ლეშენკოს თქმით, „პოლიტიკური ომი ხურდება“.

უკრაინის პრეზიდენტმა სხდომის ვიდეოს გამოქვეყნებაზე უარი განაცხადა. (kvira.ge)

# პრეზიდენტო, დუმილი ამჯერად ოქრო არ არის!



**გუშინ საღამოს ალეკო ელისაშვილი გადაცემა „არჩევანს“ ტელეფონით ჩაერთო და შეწყალების სკანდალთან დაკავშირებით ისაუბრა:**

**გიორგი გაბუნია:** პირველ რიგში, ყველას აინტერესებს, რას იტყვი იმ მესიჯებზე, რომელიც პროკურატურამ შენს ტელეფონში ვერ აღმოაჩინა, იმიტომ, რომ მე მახსოვს, რამდენიმე დღის წინაც, როდესაც შენ შაბათის „კურიერის“ სტუმარი იყავი, მე სპეციალურად გკითხე კიდევაც იმის შესახებ, არსებობდა თუ არა ჯერ კიდევ ეს მესიჯი თქვენს ტელეფონში და თქვენ მითხარით, რომ დიახ, ეს მესიჯი იყო ტელეფონში, მაშინ, რატომ ვერ იპოვა ის პროკურატურამ?

**ალეკო ელისაშვილი:** ნუ, ამ კითხვაზე პასუხი, ალბათ... თავიდან ვიტყვი, რატომ არ ვჩანდი მე მედიასთან, ვინაიდან, მითქმა-მოთქმა მოჰყვა ამ ყველაფერს, რამდენადაც ვიცი... უბრალოდ, მამაჩემს წუხელ გავუკეთეთ ოპერაცია, განმეორებითი ოპერაცია გავუკეთეთ, ის წუხელ მთელი ღამე იმყოფებოდა რეანიმაციაში და დილით ჩამოვიყვანეთ პალატაში და ამდენად, ნამდვილად არ მქონდა თავი, რომ მით უმეტეს ძალიან ნერვიული ფონის შემდეგ და დამატებით ამ პრობლემის ნამდვილად არ მქონდა თავი, რომ ახლა მე მედიისთვის მთელი დღის განმავლობაში კომენტარები მეკეთებინა... ამდენად, ბოლოს რომ მივხვდი, რომ აუცილებელი იყო ჩემი... კითხვები არის აშკარად... როგორ უნდა ვენდო პროკურატურას, აი, გულწრფელად გეუბნებით, როგორ ვენდო პროკურატურას, რომელსაც ჩემი ხელით მივუტანე ტელეფონი, 7 საათის განმავლობაში ვიჯექი და დეტალურ ჩვენებას ვაძლევდი, პროკურორმა და მე, გამომძიებელმა დავლუქეთ ჩემი ტელეფონი, დავლუქეთ, რომ გადაგზავნილიყო ექსპერტიზაზე და საგამოძიებო პროცედურები ჩატარებულიყო, რომ წარმოჩენილიყო ეს მესიჯები.

**გიორგი გაბუნია:** მაპატიე, ალეკო, დალუქვამდე თქვენ ნახეთ ერთად ეს მესიჯები? აჩვენეთ თქვენ ეს მესიჯები იმ ადამიანებს, რომლებიც გკითხავდნენ?

**ალეკო ელისაშვილი:** აი, ის მესიჯები, რომლებიც ვიზუალურად ჩანს, არის მესიჯები, რომლებიც არ იშლება, ისე მაქვს შენახული. წელიწად-ნახევარი მედო ეს ტელეფონი სახლში, რაც გამოვცვალე მას შემდეგ და ეს მქონდა შენახული... და გამოძიებას ექსპერტიზის პასუხი ჩემთვის არ უცნობებია და დღეს (15 დეკემბერს. – რედ) უკვე დამირეკეს და მითხრეს, რომ პროკურატურის ამბავი თუ იცით და სიმართლე გითხრათ, ასეთ დღეში ვიყავი მთელი დღე, აი, ესე ირიბად ვადევნებდი ყველაფერს თვალყურს... და ამ დროს ვისმენ ასეთ რამეს, რომ პროკურატურამ თქვა, რომ ეს ყველაფერი ცნობილი არ არის... ერთ რამეს გეტყვით, ეს მესიჯები არის ერთი დეტალი ძალიან ბინძური, ძალიან დიდი საქმის... იქ მესიჯში ის კი არ იყო ნათქვამი, რომ ჩვენ 200 ათასი დოლარი ავიღეთ და ეხლა შენ თუ არ გამოუშვებ, თავს მოგაჭრით და ნაწლავებს გადმოგაყრევინებთო, კატეგორიული ტონით იყო მოთხოვნა, რომ შენ მერამდენედ გვაიგნორებ და რატომ არ გაგაქვს განსაკუთრებული წესით ეს განსახილველადო... ეს იყო და როგორც კი ეს მივიღე, შევედი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსთან, შევედი პრეზიდენტთან, შემდეგ ველაპარაკე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთ თანამშრომელს, შემდეგ ეს მესიჯი ასევე წავაკითხე ზვიად ქორიძეს, როცა საქმეები გადავაბარე შეწყალების კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ და... არ ვიცი უკვე, ვხედავ აშკარად, რომ პოლიტიკური თამაშის მოთამაშედ გადაიქცა პროკურატურა იმიტომ, რომ ამ ხნის განმავლობაში არაფერი საერთოდ არ უთქვამს არც ერთ საკითხთან დაკავშირებით და უცბად, ჯერ მესმის ჩვენებიდან ციტატები, პოლიტიკოსები საუბრობენ ციტატებით აშკარად ჩემი მესიჯებიდან, შემდეგ მესიჯები არ აღმოჩნდა, როცა ექსპერტიზა არ ჩატარებულა და... მე უბრალოდ მინდა ვთქვა და ახლა, რა თქმა უნდა, მე ველოდი, ისინი ეცდებოდნენ, რომ მთელი ისრები ჩემზე გადმოეტანათ, როგორღაც მე გავებანძებინე, მატყუარა წარმოვჩენილიყავი... მე უბრალოდ მინდა ძალიან ადამიანურად, მოქალაქეობრივად, ვთხოვო საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, დაადასტუროს, ან უარყოს, კი ბატონო, დაადასტუროს, ან უარყოს, წავაკითხე თუ არა ეს მესიჯები, გავაცანი თუ არა ჩემი ეჭვები ამ მესიჯების კონტექსტთან დაკავშირებით და შემდეგ დანარჩენი ყველაფერი უთხარით თუ არა... თუ მე მატყუარა და ცრუპენტელა ვარ, კი ბატონო, პრეზიდენტმა თქვას, ვინაიდან ამ საქმეში ჩახედულია და მიუკერძოებელია, თქვას, რომ არ იყოო და კი ბატონო, მე გამოვალ და ვიტყვი, რომ მატყუარა ვარ, დავიხურავ ქუდს და პოლიტიკიდან კი არა, ქვეყნიდან წავალ... აშკარაა, რომ ახლა „ქართული ოცნება“ აშკარად დაადგა „ნაციონალური მოძრაობის“ გზას და როგორც წინა ხელისუფლება ცდილობდა, ჩაეფარცხა გირგვლიანის საქმე რეალურად და სვანური კვალი იკვეთება, აი, ეს მესიჯები არ იკითხება... ზუსტად ისეთივე რამ ხდება... იმის ნაცვლად, რომ თავის თავში ძალა მოეძებნათ და აი, ეს ბინძური ხალხი თავისი რიგებიდან გაეწვიათ და აი, ეს ძალიან ბინძური საქმე გამოეძიებინათ, რეალურად, პირიქით, ჩემ გვერდში დამდგარიყვნენ ისინი, ყველანი დაირაზმნენ ერთი მოქალაქე ალექსანდრე ელისაშვილის წინააღმდეგ და მისი ტელეფონის წინააღმდეგ. ყველანი დაირაზმნენ, მთელი სახელმწიფო დაირაზმა ახლა ჩემ წინააღმდეგ, მე არაფრის არ მეშინია, იმიტომ, რომ მართალი ვარ, მაგრამ აი, ეს არის ფაქტი და ეს არის ძალიან დასანანი, მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია, რომ მე უკან დავიხევ, ძალიან ცდება... მესიჯებიც იქ იქნება ნაჩვენები და ყველაფერი იქ იქნება დადასტურებული, იმიტომ, რომ არავის არაფერს არ შევარჩენ, ეს მინდა ძალიან კარგად იცოდნენ...

**გიორგი გაბუნია:** ალეკო, მეტი სიცხადისთვის მე მინდა კიდევ ერთხელ დაგვიკონკრეტოთ, პრეზიდენტს უთხარით ამ მესიჯების არსებობის შესახებ და შინაარსი გააცანით, თუ საკუთარი თვალებით წაიკითხა მან? ნანახი აქვს ეს მესიჯები თქვენს ტელეფონში და შეუძლია, ეს დაადასტუროს?

**ალეკო ელისაშვილი:** პრეზიდენტს ეს მესიჯები აქვს საკუთარი თვალით ნანახი, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ პრეზიდენტს მე შევუტანე ტელეფონი... პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს წავაკითხე ჯერ, შემდეგ... პრეზიდენტმა წაიკითხა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა წაიკითხა და ზვიად ქორიძემ წაიკითხა... ძალიან მარტივია ამის გამოძიება, ამდენად, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ვინაიდან მთელი დარტყმა ახლა ჩემზე მოდის, ის, რომ როგორღაც ან ერთ მესიჯზე გადაიტანონ ყურადღება, რომელზეც ექსპერტიზა არ ჩატარებულა. პრეზიდენტს ვთხოვ, გამოვიდეს უბრალოდ და თქვას, ეს ასე იყო, რომ მე წავაკითხე და ერთ მესიჯზე კი არ არის საუბარი, აქ არის კონტექსტზე საუბარი, რომ ბინძური ადამიანები ცდილობდნენ ჩემზე ზეწოლას, რომ ძალიან მძიმე დანაშაულში ჩართული და ძალია მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული ადამიანები გამეთავისუფლებინა... მე რომ საქმეს ჩავხედე, გული გამისკდა, სიმართლე რომ გითხრათ და კატეგორიულ უარზე ვიყავი და მე ჩემზე ზემდგომს ავუტანე პრეზიდენტს და წავედი... ამდენად, საჯაროდ ვთხოვ, ძალიან ადამიანურად და მოქალაქეობრივად, ან ასე თქვას პრეზიდენტმა, ან ისე თქვას, ხომ აშკარაა, რომ პროკურატურამ... ამდენი ხანი ვიტოვებდი იმედს, რომ პროკურატურა არ წავიდოდა ფალსიფიკაციისა და გაყალბების და სხვადასხვა გზით, მაგრამ აშკარაა, რომ ეს ტენდენცია არის გამოკვეთილი, თან ნახეთ, პროკურორის მოადგილე, რომელიც მოქმედია და რომელსაც რატომღაც უფლებამოსილება თვითონვე არ შეუჩერეს, რას ამბობს, ელისაშვილს მე და ბადაშვილი არ შევხვედრივართო, მერე ბადაშვილი ამბობს, რომ ელისაშვილს შევხვდით, მაგრამ ამ საქმეზე არ გვილაპარაკია... ახლა გამოხტნენ და მესიჯები ვერ ვნახეთო, როცა ექსპერტიზა არ ჩაუტარებიათ და... აშკარაა, რომ პოლიტიკურ მოთამაშედ გადაიქცა და ახლა თქვენ გჯერათ, რომ პროკურატურა ნამდვილად ამით არის დაინტერესებული, რომ ეს საქმე გამოიძიოს?!.

**გიორგი გაბუნია:** ალეკო, თქვენ, აგრეთვე, მოისმენდით... კიდევ განმეორდა ჩვენს სტუდიაში, თქვენ გადანაშაულებენ იმაში, რომ შესაძლოა, თქვენ ხართ რაღაც დიდი თამაშის, წინასაარჩევნო თამაშის მონაწილე და ვიღაც-ვიღაცები, რომელიღაც ძალა, თქვენი საშუალებით ცდილობს ახლა „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციას...

**ალეკო ელისაშვილი:** მე ვარ ალექსანდრე ვალერის ძე ელისაშვილი, ერთი კაცი, თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი, არანაირი ძალა ჩემს უკან არ დგას, ჩემი ოჯახისა და ჩემი ახლობლების გარდა... არანაირი პოლიტიკური ძალა, „ნაციონალური მოძრაობა“ როგორც გულზე არ მეხატება, ზუსტად ასე არ მეხატება... ახლა უბრალოდ „ნაციონალური მოძრაობა“ ჩემთვის დამთავრდა 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს, ეს „ქართული ოცნებისთვის“ არ დამთავრდა და სულ მაგათთან კინკლაობაში და კოჰაბიტაციაში არიან, ჩემთვის „ქართული ოცნება“ არაფერს არ წარმოადგენს, მე ვარ ერთი მოქალაქე, რომელსაც სინდისმა არ მომცა უფლება, რომ რაღაცებზე თვალი დამეხუჭა. ჯერ ერთი, გავუძელი მაშინ ზეწოლას და არ გავიტანე ის საქმე, რომელშიც ფულის გაკეთება უნდოდა ზოგ-ზოგიერთს და მეორე, ახლა არ დავმალე და ეს ყველაფერი სიბინძურე, რაც ტრიალებდა „ქართულ ოცნებაში“, ზოგიერთი პოლიტიკოსი რითაც იყო დაკავებული, ეს ვთქვი, როცა დავინახე, რომ პატრიარქის ზურგსუკან შეიძლება ზუსტად იმ ადამიანებს გაეგრძელებინათ თავისი ბინძური საქმიანობა პატიმრებთან დაკავშირებით. ამდენად, არანაირი პოლიტიკური თამაშის მონაწილე მე არა ვარ, არანაირი პოლიტიკური ძალა ჩემს ზურგს უკან არ დგას... მე ვარ ერთი მართალი მოქალაქე, რომელიც ახლა ვცდილობ, რომ მთელ სახელმწიფოს მარტო დაპირისპირებულმა დავუმტკიცო ჩემი სიმართლე. აი, ამაში არის საქმე... და სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოებრივი პოზიცია გამოევლინა და წინა ხელისუფლების შეცდომები არ გაემეორებინა, გირგვლიანის, რობაქიძისა და იმ საქმეებთან დაკავშირებით, ზუსტად იგივე საკითხი...

**გიორგი გაბუნია:** რასაც თქვენ ამბობთ და რა ნაბიჯებსაც დგამს ვთქვათ, პროკურატურა, ან რა განცხადებები და მითითებებიც ისმის მმართველი გუნდის ზოგიერთი წარმომადგენლისგან, თქვენ გამორიცხავთ, რომ შესაძლოა, თქვენი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს? შეიძლება დაგიჭირონ?

**ალეკო ელისაშვილი:** იცით, როგორ არის? ისე მიჰყავთ საქმე, როგორც ჩანს, რომ მე ყველაფრისთვის მზადა ვარ და დღეს არ იქნება? ერთი თვის თავზე არ იქნება? დამიჭირონ, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ, ესე ბევრი ადამიანი ჰყავდათ ციხეში ჩასმული, სხვებისგან განსხვავებით, მე არც ფული მაქვს და არც არაფერს შევთავაზებ... ყველაფრისთვის მზად ვარ, თუ დამიჭერენ. სამი წლის მერე იქნება, ხუთი წლის შემდეგ იქნება, ათი წლის მერე იქნება, ხომ აუცილებლად ყველაფერს თავის სახელს დავარქმევ, ისე არ მოვკვდები მაგათ ჯინაზე, რომ დღეს თუ არა ხვალ, თავისი ადგილი არ მივუჩინო... წინა ხელისუფლებაშიც ეგონათ, რომ ბაირამობდნენ და ეგენი იყვნენ ყველაფერი და ზოგი გაქცეულია, ზოგი გამოქცეულია, ზოგი ციხეში ზის, ხო?.. უფრო მეტი რომ არ ზის, ამ ხელისუფლების ბრალია, მაგრამ ყველაფერზე მზად ვარ, კი ბატონო, ვხედავ, რომ მთელი სახელმწიფო ამხედრდა ჩემ წინააღმდეგ, მარა ნაბიჯს არ დავიხევ, სანტიმეტრს არ დავიხევ უკან... და დღეს ვერ დავამტკიცებ ჩემს სიმართლეს? ხუთი წლის შემდეგ დავამტკიცებ... ციხეში მომიწევს ამისთვის ჯდომა? ციხიდან გამოსვლის შემდეგ დავამტკიცებ... და რომ ჩამალპონ, მაინც დავამტკიცებ ჩემს სიმართლეს... იმას დავამტკიცებ, რომ ეს ბინძური პოლიტიკოსები ალავლავებულები რომ არიან ახლა, ფულს აკეთებდნენ პატიმრების გამოშვებაში და უნდოდათ, რომ... ეგონათ, რომ მე ერთი არიფი, მიამიტი ბიჭი ვიყავი, რომელსაც წარბებს რომ დაუწკიპავდნენ და თვალებს დაუბრიალებდნენ, ეგონათ, რომ მათ აი, ამ კორუფციულ სქემას პირდაპირ დავულაგებდი და ხელს შევუწყობდი მის განხორციელებაში... ვერ მივართვი მათ... ამდენად, რაც არ უნდა ქნან ჩემს წინააღმდეგ, ადრე თუ გვიან, მე ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ... ცამდე მართალი ვარ და ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვები ამ ყველაფერს...

**გიორგი გაბუნია:** ალეკო, თქვენ თქვით საუბრის დასაწყისში, რომ პროკურატურას აღარ ენდობით... ხომ არ დადგა, შესაბამისად, იმის დრო, რომ თქვენ პირდაპირ დაასახელოთ ის ადამიანები, ის პოლიტიკოსები, რომლების შესახებაც მიეცით ჩვენება პროკურატურას?

**ალეკო ელისაშვილი:** კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მთელი დღის განმავლობაში არ მეცალა, რომ რაიმე ამბებისთვის, მოვლენათა განვითარებისთვის მიმედევნებინა თვალ-ყური მამაჩემის გამო, უბრალოდ, როგორც ვატყობ, არის ის ტენდენცია, რომ მართლაც ძალიან მალე მე დავდგები და თავიდან ბოლომდე ვიტყვი ყველაფერს... და ვეცდები, რომ ყველაფერი დავამტკიცო და დავასაბუთო, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეხლა ერთადერთი პრეზიდენტი თუ დაადასტურებს, ან უარყოფს, კი ბატონო, უარყოს და მე ამისთვისაც მზად ვარ, კი, ძალიან გული დამწყდება, ადამიანს, რომელსაც ვენდობი, მაგრამ მე ყველაფრისთვის მზად ვარ, მე ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ და როგორც ჩანს, ახლოვდება დღე, როდესაც მე მედიას ყველაფერს ხელის გულზე დავულაგებ და ვეტყვი იმიტომ, რომ გეუბნები, მთელი ამ ხნის განმავლობაში, მე, როდესაც არ მქონდა ნდობა და ძალიან დაბალია პროკურატურისადმი ნდობა, ერთი სიტყვა ზედმეტი არ გამომიტანია პროკურატურიდან, ყველაფერი ვუთხარი პროკურატურას, ყველა გვარი, ყველა სახელი, ყველა ადგილი, სადაც შესაძლოა, მტკიცებულება მოეპოვებინათ, მანამდე რა გავაკეთე იმისთვის, რომ თავის დროზე თადარიგი დაეჭირათ და მტკიცებულებები მოეგროვებინათ, მაგრამ, როგორც ჩანს, არ ვიცი, ნელ-ნელა ვრწმუნდები, რომ ისინი ჩემს წინააღმდეგ არიან ამხედრებულები და დარაზმულები, კი ბატონო, წავალ მარტო წინააღმდეგ და არაფრის არ შემეშინდება და ჩემს სიმართლეს აუცილებლად – დღეს, ხვალ თუ ზეგ, აუცილებლად დავამტკიცებ... და ვიღაცებს რომ ჰგონიათ, რომ მე რაღაცებით შემაშინებენ, აი, ზოგ-ზოგიერთების გასაგონად მინდა ვთქვა, სუსში, განსაკუთრებით მომისმინონ უსაფრთხოების სამსახურში, რომ ჰგონიათ, რომ მე რაღაცებით შემაშინებენ, ვერაფრით შემაშინებენ და რაღაც-რაღაცებით რომ ფუთფუთებენ და აგროვებენ, ძალიან კარგად ვიცი, რასაც აგროვებენ და მშვიდობაში მოიხმარონ და მზით გაცვითონ ის ყველაფერი...

**გიორგი გაბუნია:** რას გულისხმობთ, შეგიძლიათ, დაგვიკონკრეტოთ?

**ალეკო ელისაშვილი:** ამას, როგორც ჩანს, ყველაფერს მალე ვიტყვი...

**გიორგი გაბუნია:** თქვენს მიმართ ყოფილა მცდელობა მუქარის ან რაიმე ასეთი... ჩვენ ვიცით, თქვენ გააკეთეთ განცხადება, რომ თქვენ გითვალთვალებენ...

**ალეკო ელისაშვილი:** კი, ეს ყველაფერი შემთხვევითი არ არის, ისედაც მათ მე ვალიზიანებდი, იმიტომ, რომ, როდესაც მე ვამბობდი რამეს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისგან განსხვავებით, ვერაფერს ვერ მპასუხობდნენ, ჩვენ 4 წელი რას ვუყურებთ, რომ რაღაცას ეტყვის „ნაცმოძრაობა“, ესენი ეტყვიან, 9 წლის განმავლობაში უარესები ხდებოდა, იტყვის რაღაცას „ნაცმოძრაობა“, – ესენი ეტყვიან 9 წლის განმავლობაში უარესები ხდებოდა, მე ვერავინ ვერაფერს მეუბნებოდა, იმიტომ რომ ვერავინ ვერაფერს წამომაძახებდა, ძალიან ბევრი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ჩირგვში რომ იჯდა, მე მაშინ ხმამაღლა ვლაპარაკობდი რაღაცებს... ამდენად, ჩემ მიმართ ადეკვატური პასუხი არ ჰქონდათ, ერთი იძახდნენ – ან პოპულისტია, ან დიდი ცხვირი აქვს... ორი არგუმენტი აქვთ და ახლა რომ ძალიან მტკივნეულად დავაჭირე, ძალიან მტკივნეულად, ნელ-ნელა რომ ვაჭერდი, მერე მომდიოდა ინფორმაცია, სუს-ში იყო ისეთი ჯგუფი შეკრული, რომ ეხლა ამ ადამიანის წინააღმდეგ იქნებ რაღაცა მოვაგროვოთო და არ ვიცი, ახლა ამას რას იზამენ, როგორ იზამენ, აგერ ვარ მე და აგერ არიან ისინი და დანარჩენი მე ჩემი ქვეყნის მოსახლეობას, ჩემი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, ახლაც აი, ტელეფონში ვერ დაინახავენ, მაგრამ თვალს ვუსწორებ და ვეუბნები, რომ მე, ალექსანდრე ელისაშვილი, არც უკან დავიხევ და ჩემს სიმართლეს დღეს თუ არა, ათი წლის მერე, ან ორმოცდაათი წლის მერე დავამტკიცებ, აი, ეს შემიძლია ვუთხრა... იმიტომ, რომ მე ვარ ცამდე მართალი იმაში, რასაც ვლაპარაკობ და პირიქით, იმის ნაცვლად ხელისუფლება დამეხმაროს და ერთად ნორმალური ქვეყანა ავაშენოთ, ამის მაგივრად ყველა დაირაზმა და ჩემზე აქვთ მთელი შტურმი და იერიში დაწყებული...

საინტერესო ამბები...

## სწავლულებმა ბილწსიტყვა ადამიანების ღირსებები დაამტკიცეს



ხშირად ამბობენ, რომ ადამიანებს, რომლებიც უცენზურო სიტყვებით საუბრობენ, ღარიბი ლექსიკური მარაგი აქვთ და, უბრალოდ, არ იციან, სხვანაირად როგორ გამოხატონ თავიანთი აზრი. სინამდვილეში კი ეს ასე სულაც არ არის.

ამერიკელმა ექსპერტებმა სტუდენტებს სთხოვეს, 60 წამის განმავლობაში მოეფიქრებინათ და ეთქვათ, რაც შეიძლება მეტი უცენზურო სიტყვა. ამასთანავე, შეეძლოთ, მოეფიქრებინათ ჩვეულებრივი სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად, კატის სახელი.

აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც შეძლო სხვადასხვა ტიპის (გინება, ტაბუირებული ლექსიკა, შეურაცხმყოფელი სიტყვები) ბევრი უცენზურო სიტყვის თქმა, ასევე, ყველაზე მეტი ჩვეულებრივი სიტყვა თქვეს, რამაც საბოლოოდ დაანგრია ჰიპოთეზა ბილწსიტყვა ადამიანების ლექსიკური მარაგის სიღარიბის შესახებ.

„ჩვეულებრივ, მიიჩნევა, რომ ბილწსიტყვა ადამიანები ზარმაცები, გაუნათლებლები და თავშეუკავებლები არიან. ჩვენმა კვლევამ კი აჩვენა, რომ ტაბუირებული სიტყვათა მდიდარი მარაგი მეტყველების განვითარებაზე მეტყველებს და არა პირიქით, მის ნაკლზე“, – აღნიშნა კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები...

## ადამიანებს ღამის ეშინიათ და არა სიბნელის



ახალგაზრდა ჩინელმა მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელშიც ასზე მეტი ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ ადამიანს ღამის, როგორც დროის გარკვეული მონაკვეთის, ეშინია და არა სიბნელის.

რამდენიმე საათის განმავლობაში ადამიანებს უფანჯრო ოთახში მარტო ტოვებდნენ. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ კი, საინტერესო დასკვნა გააკეთეს. მათი თქმით, ქალები განსაკუთრებული სიფხიზლით გამოირჩეოდნენ. ბნელ ოთახში სინათლის მცირე სხივის გამოჩენისთანავე ქალები ადგილიდან ხტებოდნენ, რითიც საბრძოლო მზადყოფნასა და მორალური პასუხისმგებლობის მაღალ დონეზე მეტყველებდნენ.

*globalscience.ru*

საინტერესო ამბები...

## აი, რატომ არ უნდა ავადუღოთ წყალი ორჯერ



ვინც დიეტას ხშირად იცავს, ეცოდინება, რომ დიეტის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი ადუღებული და შემდეგ გაციებული წყალია, ვინაიდან დუღილის დროს მავნე ნივთიერებები ორთქლდება და წყალი შედარებით უფრო ჯანსაღი ხდება და სასმელად უსაფრთხოა. მაგრამ, როცა ერთხელ ადუღებული წყალი მეორედ დუღდება, ყველა სასარგებლო თვისებას კარგავს და, პირიქით, მავნე ხდება. წყალი დუღილის დროს გემოს კარგავს. გადადუღების დროს კი, ძალიან ძალიან უგემური ხდება. არსებობს მოსაზრება, რომ გემო არც მტკნარ წყალს აქვს, მაგრამ ასე არ არის. ჩაატარეთ ექსპერიმენტი და თავად დარწმუნდებით.

ცოტახნიანი ინტერვალებით დალიეთ ონკანის წყალი, გაფილტრული წყალი, ადუღებული წყალი და გადადუღებული წყალი. გადადუღებული წყლის დალევის შემდეგ უსიამოვნო გემოს იგრძნობთ. დაახლოებით მეტალის ნარჩენების გემოს მსგავს შეგრძნებას დაგიტოვებთ.

ამასთანავე, წყლის გადადუღების დროს ყურადღება მიაქციეთ, რა დრო დასჭირდა პირველად ადუღებას. თუ ჩვეულებრივ დროს გადააჭარბა, სჯობს, წყალი გადაღვაროთ და ახალი აავსოთ. ვინაიდან, დამდგარ წყალში მავნე ნივთიერებები უფრო მარტივად იდგამს ფესვებს, თანაც შესაძლებელია, რომ მტვერი და სხვადასხვა ნაგავიც უფრო მარტივად მოხვდეს.

ასე რომ, გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

ყოველ ჯერზე, ასადუღებლად ახალი წყალი გამოიყენეთ;

სანამ აადუღებთ, აცადეთ ცოტა ხანი, რომ ნივთიერებები ფსკერზე დაილექოს;

ადუღებული წყლის თერმოსში ჩასხმის შემდეგ დაელოდეთ ცოტა ხანი და თავი შემდეგ დაახურეთ.

*factroom.ru*

საინტერესო ამბები...

## კლასიკური მუსიკა საფულის სისქეზე ზემოქმედებსო



სამწლიანი კვლევის შემდეგ მეცნიერებმა განაცხადეს, რომ კლასიკური მუსიკის კომპოზიტორების მოსმენა, ისეთების, როგორიცაა ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი, საგრძნობლად ზრდის საფულის სისქეს.

კვლევის ავტორების თქმით, თუ პაპსასა და სხვა სულელური მუსიკის ნაცვლად კლასიკურ მუსიკას მოვუსმენთ, გავმდიდრდებით. თანაც ამ სიტყვის არა გადატანითი, არამედ პირდაპირი გაგებით.

თუმცა დასკვნა არ ითვალისწინებს გამდიდრებას რამდენიმე შემთხვევაში. მაგალითად, თუ ძალიან დაბალ ანაზღაურებაზე ვმუშაობთ, ან საერთოდ არ ვმუშაობთ კლასიკური მუსიკა კი არა, ანგელოზების გალობაც ვერ გვიშველის. ასეთ შემთხვევაში მოვუსმენთ თუ არ მოვუსმენთ მეცნიერების მიერ შემოთავაზებულ მუსიკას, საფულეში მაინც არაფერი შეიცვლება.

*globalscience.ru*

საინტერესო ამბები...

## ვინ იმყოფება ინსულტის მაღალი რისკის ქვეშ?



ბრიტანეთის ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფი აცხადებს, რომ ინსულტი ახალგაზრდებს უფრო ხშირად ემართებათ, ვიდრე ხანშიშესულ ადამიანებს.

რამდენიმე მიზეზი არსებობს, რაც ინსულტს იწვევს. მათ შორის მოწინავე ადგილს მოწევისა და ჭარბი ალკოჰოლური სასმელების მიღების მავნე ჩვევა იკავებს. ასევე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად არაჯანსაღი, მავნე ნივთიერებების მქონე საკვები სახელდება, რომელიც ქოლესტერინს შეიცავს. როცა ახალგაზრდები არაჯანსაღი, ხშირად სწრაფი კვების პროდუქტებით იკვებებიან ინსულტის რისკი რამდენჯერმე იზრდება.

სწავლულები ამბობენ, რომ ინსულტის რისკის ქვეშ ყველაზე მეტად ინგლისელი ახალგაზრდები იმყოფებიან.

*globalscience.ru*

საინტერესო ამბები...

## საიდან ჩნდება თვალებში გამჭვირვალე, მცურავი ლაქები?



ალბათ, ყველას შეგინიშნავთ, როცა ძალიან განათებულ ოთახში ან გარეთ, ჩახჩახა მზეზე ხართ და შემდეგ ჩრდილში გადაინაცვლებთ, თვალწინ გამჭვირვალე ლაქები დაცოცავენ. ხშირად, ცოტა ხნით მხედველობაც გვებინდება ხოლმე. თუ რომელიმე ერთზე თვალის მიდევნებას გადაწყვეტთ, ვერ მიხვდებით, როდის ქრება და როდის ჩნდება იმავე ადგილას ახალი.

რა ლაქებია და საიდან ჩნდებიან? ეს არის სისხლის წითელი სხეულაკები, ცივილიზებული დაგროვებები და სხვა ქსოვილების ნაწილაკები. ისინი, უბრალოდ, ჩრდილს თვალის ბადურის გარეთ გამოდევნიან, რაც წარმოდგენას გვიქმნის, რომ თვალებში ყველაფერი რიგზე ვერ გვაქვს.

*factroom.ru*




– თუ შეიძლება, გაზეთში განცხადება მინდა გამოვაქვეყნო: „ვინც ჩემი მეუღლის საყვარელ კატას იპოვნის, 2 მილიონით დავასაჩუქრებ...“

– ძალიან დიდი საჩუქარი ხომ არ არის?

– ეგ არაფერი, წუხელ ჩემი ხელით ჩავახრჩვე მდინარეში...

*****

ხელქვეითები შეფს ტელეფონზე ურეკავენ:

– კონსტანტინოვიჩ, 8 მარტს გილოცავთ!

– სულ გააფრინეთ? რომელი ქალი მე მნახეთ?!

– ქალი არა, მაგრამ მაგარი ბოზი კი ხარ...

*****

შვილიშვილი ბაბუას ეკითხება:

– ბაბუ, ვინ გაიმარჯვა იმ ომში – თეთრებმა თუ წითლებმა?

– რასაც ახლა ვუყურებ, შვილო, ცისფერებმა!..

*****



სექსის შემდეგ მამაკაცი ლოგინიდან ადგა:

– წავედი მე, ცოლს დავპირდი, რომ დღეს ადრე მივიდოდი...

ქალი მოწყენილი ჩაილაპარაკებს:

– რა თქმა უნდა, ძვირფასო, წადი... ეეე, მოიცა, მე ვარ შენი ცოლი!!!

*****

კომკავშირლები ლენინთან მივიდნენ:

– ამხანაგო ლენინო, გახსოვთ, ანდერძი დაგვიტოვეთ: სწავლა, სწავლა და სწავლა.

– თქვენ რა, გამოშტერდით?! უბრალოდ, კალამს ვამოწმებდი...

*****

სასულიერო პირმა ქადაგება დაამთავრა და მრევლს მიმართა:

– ვისაც სამოთხეში მოხვედრა სურს, ფეხზე წამოდგეს!

ყველა ადგა, ერთის გარდა.

– შენ რა, არ გინდა სამოთხეში?!

– კი მინდა, ოღონდ ჯერ არა...

*****



პანიკის გამომწვევი სამი ფრაზა:

1. მომხმარებლის სახელი ან პაროლი არასწორია!

2. შენთან სერიოზული სალაპარაკო მაქვს!

3. ნუ გეშინია, არ გეტკინება!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



დედა მერი ყანჩაველი, ძმა დათო ყანჩაველი, რძალი ხათუნა ჯანხოთელი-ყანჩაველი, ძმისშვილები ნინუცა და გიორგი ყანჩაველები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## კობა ყანჩაველი

**პანაშვიდები:** 15 და 16 დეკემბერს;
**მისამართი:** თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ვერხანის შესახვევი №6;
**გამოსვენება:** ხუთშაბათს, 17 დეკემბერს, 14 საათზე;
**მისამართი:** პაატა საძაკიძის ქუჩა №14 (სვანეთის უბანი), წმინდა მეფეების არჩილისა და ლუარსაბის სახელობის ტაძრიდან.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## დეპრესიის დაძლევას ლაზერის გამოყენებით შეეცდებიან



ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ქრონიკული დეპრესიისგან მთელ მსოფლიოში დაახლოებით 95 მილიონი ადამიანი იტანჯება, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ უსიამოვნო მოვლენის შედარებით იოლ ფორმებზე.

სწორედ აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს ავსტრალიელი სპეციალისტების გამოგონებას, რომელიც დეპრესიის განკურნებას სპეციალური ლაზერის დახმარებით გულისხმობს.

ცნობილი ხდება, რომ მწვანე კონტინენტზე წარმატებით დასრულდა ექსპერიმენტების სტადია, რომელსაც დეპრესიის მკურნალობის ეფექტიანობის უსაზღვროდ ამაღლება შეუძლია. კერძოდ, იქაურმა ფსიქოლოგებმა ექსპერიმენტში 10 ადამიანი ჩართეს, რომლებსაც სხეულის კონკრეტულ 4 წერტილზე ინფრაწითელი ლაზერი მიანათეს, რის პარალელურადაც მიმდინარეობდა მაგნიტორეზონანსული დაკვირვება თავის ტვინზე და მის ცვლილებებზე.

შედეგად, ავსტრალიელმა მეცნიერებმა მოხალისეებში წინა შუბლისა და ლიმბური ქერქის და ასევე, შუბლის მიდამოების ფუნქციონირების გამოკვეთილი ნორმალიზაცია აღმოაჩინეს, რაც, თავის მხრივ, დეპრესიული შეტევებისთვის უდიდესი წინააღმდეგობის გაწევას ნიშნავს.

ჯერჯერობით, ახალ ლაზერულ მოწყობილობაზე ავსტრალიელ სწავლულებს მუშაობა არ დაუსრულებიათ და დაგეგმილია კიდევ რამდენიმე ექსპერიმენტი, თუმცა პირველადი შედეგები მაინც დიდი იმედების მომცემია.

*saphris.ru*



## გრიპის ვაქცინას ძაღლის თირკმლებისგან ამზადებენ

სულ ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ამერიკელმა ფარმაცევტებმა გრიპის საწინააღმდეგო ინოვაციური ვაქცინა შეიმუშავეს, რომელიც სხვა პრეპარატებისგან განსხვავებით გაცილებით მცირე დროში მზადდება და უფრო მეტ დადებით ეფექტსაც იძლევა.

იმის გამო, რომ ახალი პრეპარატის დამზადებას მცირე დრო სჭირდება, ამერიკელები გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის წარმოების მხრივ პირველობის მოპოვების იმედსაც გამოთქვამენ.

ცნობილია, რომ პრეპარატში გამოიყენება ქათმის კვერცხი და ასევე, ძაღლის თირკმლების უჯრედები, რაც აჩქარებს კიდეც ვაქცინის დამზადების პროცესს.

ახალი ვაქცინა უკვე მიღებულია არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ ევროპაშიც. ბაზარზე კი ის უახლოეს მომავალში „ოპტაფლუს“ სახელით გამოჩნდება.

*medkarta.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**16 დეკემბერი:** არ დახარჯოთ ენერგია საქმეზე, რომლის გაკეთებაც არ გიღირთ და ყურადღებას ნუ მიაქცევთ, რას გეტყვიან ამის გამო.

**კურო 22.04-21.05**
**16 დეკემბერი:** საკმაოდ ნაყოფიერი დღე გელით, საინტერესო ადამიანებს გაიცნობთ. მომავალში ისინი ბევრ საქმეში გაგიმართლებენ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**16 დეკემბერი:** მხოლოდ იმის გამო, რომ ვიღაცა თავიდან მოიშოროთ, ფუჭი დაპირებები არ გასცეთ. ისე მწარედ შეგახსენებენ, სანანებელი გაგიხდებათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**16 დეკემბერი:** ყოველთვის არ ღირს პრობლემების საგულდაგულო დამალვა. თუ დახმარება შემოგთავაზეს, უარი არ უთხრათ, ამას უანგაროდ გააკეთებენ.

**ლომი 23.07-22.08**
**16 დეკემბერი:** დიდი ალბათობით, სასიყვარულო საქმეებში უნდა გაგიმართლოთ. ფრთხილად იყავით და ზომაზე მეტად არ გარისკოთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**16 დეკემბერი:** მარტოობითაც შეიძლება ტკბობა, მაგრამ ძალიანაც ნუ მიეჩვევით ასეთ სიტუაციას, ახლობლების გარეშე გაგიჭირდებათ.

**სასწორი 23.09-22.10**
**16 დეკემბერი:** სიტუაციის შესაცვლელად ზედმეტად არ იაქტიუროთ. მოვლენები ისე განვითარდება, ბევრი რამე თქვენს გარეშეც შეიცვლება.

**მორიელი 23.10-21.11**
**16 დეკემბერი:** მეგობარს თქვენი დახმარება დასჭირდება. ამ მხრივ, თქვენი მზადყოფნა მისთვის მნიშვნელოვანი იქნება. შეეცადეთ, საქმე ბოლომდე მიაყვანინოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**16 დეკემბერი:** თუ ბირჟის მოთამაშე ხართ, თქვენი დღეა. თუ არა, შეეცადეთ, ფინანსური მანიპულაციებისგან თავი შეიკავოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**16 დეკემბერი:** სულ მცირედი ფინანსური ოპერაციების დროსაც კი წინდახედულება გმართებთ. უმჯობესია, ამ საქმეს ხვალ მიხედოთ, უფრო სარფიანად დახარჯავთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**16 დეკემბერი:** უცნაური იდეები მოგივათ თავში და რომელიღაცა მათგანის განხორციელება მოგიწევთ. შედეგით კმაყოფილი დარჩებით.

**თევზები 19.02-20.03**
**16 დეკემბერი:** ვიღაც ნაცნობი შეიძლება შეგიჩნდეთ და მისი თავიდან მოცილება ადვილი არ იქნება. შეიძლება მის გამო საქმეებში პრობლემები გაგიჩნდეთ.


## გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.


## 300 წლის შემდეგ მოსკოვი ერთ დიდ უდაბნოდ იქცევა?



სულ რაღაც სამი ასწლეულის შემდეგ მსოფლიოს ყველაზე დიდი მეგაპოლისები უდაბნოებად იქცევა, სადაც აღარავინ იცხოვრებს.

ასეთი საშინელი დასკვნა ახალი უელსის უნივერსიტეტის (ავსტრალია) სპეციალისტებმა გამოიტანეს, რომელთა გათვლებითაც, განადგურება ემუქრება არა მხოლოდ სიდნეის, არამედ ებრაულ თელ-ავივს, ბრაზილიურ რიო-დე-ჟანეიროს, ინდურ დელის, ამერიკულ ჰიუსტონს, ჩინურ შანხაის და ჩვენი აგრესიული მეზობლის დედაქალაქსაც.

– მსოფლიოს უზარმაზარ მეგაპოლისებში ჰაერის იმდენად მაღალი ტემპერატურა იქნება, რომ ადამიანები იძულებულები გახდებიან, უკეთესი პირობების მოსაძიებლად საკუთარი სახლები სამუდამოდ მიატოვონ, – ნათქვამია ავსტრალიელი მეცნიერების დასკვნაში.

მათივე თქმით, ასეთი უბედურების მიზეზი კლიმატის ანომალიური ცვლილებები გახდება, რაც უკვე დღეს აშკარად ყველასთვის შესამჩნევია.

სხვათა შორის, ამ უარყოფითი ინფორმაციიდან ერთი დადებითი ფაქტის გამოწურვაც შეიძლება – რაკიღა ავსტრალიელი მეცნიერები ამბობენ, რომ 300 წლის შემდეგ ადამიანები მეგაპოლისებს სიცხეების გამო დატოვებენ, გამოდის, რომ მინიმუმ 23-ე საუკუნემდე კაცობრიობას სრული გადაშენების საფრთხე არ ემუქრება.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ორი ქალი დოღზე მივიდა. მსჯელობენ, რომელ ცხენზე დადონ ფსონი.

– რა ნომერი მკერდი გაქვს?

– 3.

– მე კი – 4. მოდი, 7 ნომერზე დავდოთ.

დადეს და ფინიშზე პირველი სწორედ 7 ნომრით მოასპარეზე ცხენი მივიდა.

იღბლიანი ქალების დიალოგი შემთხვევით ორმა მამაკაცმა მოისმინა:

– ცოლთან ერთ ღამეში სექსი რამდენჯერ გაქვს?

– 4-ჯერ.

– მე 5-ჯერ. ჰოდა, 9 ნომერზე დავდოთ.

პირველი ფინიშზე ნომერი 1 მივიდა.

მორალი: ნუ ატრა...ბთ, რა!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

» 211359457

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: ააკადემქალაქი, I კვარტალი მ0-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.46